„ბერეზოვსკის რევანში“ A3

ძალოვანი უწყებები კვლავ ფინანსურ დიეტაზე არიან A3

კვირის TV პროგრამა B4-B5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 19 ივლისი, 2002 წელი. №47

ფასი 50 თეთრი

# თორმეტი დღე დარჩა ომამდე, რომელზეც ყველა საუბრობს, მაგრამ არავინ იცის, ვინ იწყებს

ზაზა წულაძე

*1 აგვისტოს, აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ქართულ პარტიზანულ რაზმებს ოფიციალურად აცნობებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროებითმა შეჩერებამ შედეგი ვერ გამოიღო და შეუძლიათ, დაუბრუნდნენ თავიანთ საქმიანობას. ნადარეიშვილი ამბობს, რომ პირადად ის არ აპირებს, სათავეში ჩაუდგეს პარტიზანულ მოძრაობას და სამხედრო ოპერაციების დაგეგმვას. სრულიად განსხვავებული აზრი აქვთ პარტიზანებს. ნაწილი აგვისტოდან ბრძოლის განახლებას საერთოდ არ აპირებს. ნაწილი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გააქტიურდება, თუ ნადარეიშვილი საჭმელსა და ტყვია-წამალს მიაწვდის და პარტიზანებს აფხაზეთისკენ გაუძღვება.*

**“1 აგვისტოს გამოვალ ტელევიზიით, ყველას გადავუხდი მადლობას, ვინც დამიჯერა და ამ ხნის მანძილზე გაჩერებული იყო. მათ ვეტყვი, რომ მორატორიუმმა არაფერი მოგვცა და ყველა პარტიზანს შეუძლია, გააგრძელოს თავისი საქმიანობა, ისე, როგორც ჩათვლის საჭიროდ. ახლა გაგრასა და ბიჭვინთაში პლაჟები გადატენილია დამსვენებლებით, გვაწყობს ეს ჩვენ? მე ვფიქრობ, რომ რომელიმე პარტიზანმა, ერთი-ორი ისეთი უნდა ბუთქოს იქ, რომ იმ დამსვენებელს იქ ჩამოსვლა აღარ მოუნდეს, ეს იქნება კარგი საქმე,”** - გვითხრა გუშინ თამაზ ნადარეიშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

“სამართლიანი არჩევნები” პოლიციას უპირისპირდება A2

სავალუტო ფონდი საქართველოს დახმარებას უზრდის A4

მორიგი ტერორისტული აქტი თელ-ავივში A5

რამდენიმე რჩევა თბილისის გასამრიცხველიანებელ უბნებს A6

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი გამორთვებს იწყებს A6

განკიცხულნი A8

ფრანგები ქართველებს აკვირდებიან B7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 34 |
| ქუთაისი | 33 |
| ბათუმი | 32 |
| სოხუმი | 32 |
| ფოთი | 33 |
| თელავი | 32 |
| ზუგდიდი | 34 |
| გორი | 32 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2050 |
| ევრო | 2.2196 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4521 |
| რუბლი | 0.0699 |

# „ცივი მშვიდობა„ და პოლიტიკური კანკანი

## რელიგიური თანამშრომლობა - სასურველი არჩევანი თუ გადაუდებელი აუცილებლობა



*რელიგიურ წინამძღოლთა კავკასიური ფორუმი.* იური ლობოდინის ფოტო

გიორგი გახელაძე

“დგას ცივი მშვიდობის ჟამი, რომლის განვითარება და შედეგები შეიძლება სავალალოდ გადაიქცეს კაცობრიობისათვის”, – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ეს წინადადება მოკლედ განსაზღვრავს რელიგიურ წინამძღოლთა პირველი კავკასიური ფორუმის - “თანამშრომლობა კავკასიაში მშვიდობისათვის” - მიზეზს.

დღეს მთელი კავკასიის, რუსეთის, ირანის, თურქეთის, სირიის, ქუვეითისა და აშშ-ის სარწმუნოებრივი ლიდერები, მოღვაწეები და მეცნიერი თეოლოგები გამოაცხადებენ ცივილიზაციათა ურთიერთობის საერთაშორისო ცენტრის დაფუძნებას თბილისში. კონფერენციის ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ, ექსდეპუტატმა მამუკა არეშიძემ გუშინვე პირდაპირ თქვა, რომ ამ ცენტრის ხელმძღვანელი იქნება ლელა ჯეჯელავა. იგი კონფერენციის ორგანიზატორი და ეთნიკურ თუ კონფესიურ ურთიერთობათა ცენტრის - “შერიგება” პრეზიდენტია. სწორედ მისი თქმით, პრაქტიკულად შექმნილია საკოორდინაციო ჯგუფი რელიგიური ლიდერების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტების, მეცნიერების შემადგენლობით, რომელიც აღჭურვილი იქნება უფლებამოსილებით, ერთი წლის განმავლობაში აწარმოოს მონიტორინგი კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე.

გაგრძელება A6 გვერდზე

# ცივილიზაციათაშორისი ომის მასშტაბურობა კრწანისის რეზიდენციის სიმყუდროვეში ვერ აღწევს

ავთო ჯოხაძე

ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც ცივი ომის დამთავრების შემდეგ დამყარდა, მშვიდობიანი მომავლის უტოპიით დაიწყო, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, ცხელი ომით გაგრძელდა. ცივი ომის ხანაში მსოფლიო ბიპოლარული იყო. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ერთპოლუსიან მთლიანობად გამოცხადდა, მაგრამ ვითარების ეს შეფასება საკამათოა; ერთპოლუსიანი არაფერია სამყაროში, ერთპოლუსიანი სამყაროს მოაზრებაც კი შეუძლებელია. სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება სურათი, რომ საერთაშორისო სისტემა მრავალპოლუსიან წარმონაქმნად ფორმირდება და ამ პოლუსების, როგორც პოლიტიკური ცენტრების, გარშემო განსხვავებული ცივილიზაციებია შემოკრებილი. ცივილიზაციებს შორის დაძაბულობა კი იქამდე გამძაფრდა, რომ უკვე გლობალური მასშტაბის შეტაკებამდე მივიდა: აშშ და კოალიცია საერთაშორისო ტერორიზმთან ომში ჩაება, რომელიც „რუხი ომის“ სახელით მოინათლა.

ასე დავემშვიდობეთ მშვიდობას, - როგორც ეტყობა, კარგა ხნით.

იმის შეგნება, რომ ომი, რომელშიც აშშ და ანტიტერორისტული კოალიციაა ჩაბმული, არ არის მსოფლიო ომი კლასიკური გაგებით და რომ ერთი მებრძოლი მხარე მეორეზე აშკარად ძლიერია, თითქოს გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, მაგრამ ვითარება მაინც უფრო შემაშფოთებელია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. როგორ რუხად და უფერულადაც არ უნდა მონათლონ ეს ომი, მაინც ვერაფერი გააბათილებს იმ ფაქტს, რომ ის აბსოლუტურად უკომპრომისო, სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაა: ეს არის ომი მოწინააღმდეგის სრული განადგურებისათვის, რადგან ის, რაც „საერთაშორისო ტერორიზმის“ კოდური სახელის ქვეშ იგულისხმება, მეტია, ვიდრე უბრალოდ ტერორი, ეს არის ფენომენი, რომელიც დასავლური ცივილიზაციის თვით საძირკველს უქმნის საფრთხეს.

გაგრძელება A8 გვერდზე

# პოლიციელთა მარტივი გათვლა

## ”თავისუფლების ინსტიტუტის” დამრბეველი იელოველთა დამწიოკებლებს შორის იპოვეს

სოფიკო ჩხაიძე

როდესაც თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში დაკავებულის ამოსაცნობად მიყვანილმა “თავისუფლების ინსტიტუტის” წარმომადგენლებმა მათ წინაშე მდგომი ოთხი კაციდან დამრბევად არც ერთი არ დაასახელეს, ერთ-ერთმა ამოსაცნობმა, მადლობის ნაცვლად, აღშფოთებით მიმართა სოზარ სუბელიანს: **“როგორ არ გახსოვარ, შენ არ იყავი, სკამი რომ მესროლეო?”**.

ასეთი გულახდილობა აქამდე მხოლოდ საერთაშორისო ტერორისტებისგან თუ გვსმენია, ოღონდ ისინი, როგორც წესი, დანაშაულის მოხდენისთანავე იღებენ ხოლმე მომხდარს საკუთარ თავზე.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ვის გაეჩხირება ყელში „ფოთის გემთსაშენი„?

## კანცელარიაში ხელს ერთმანეთისკენ იშვერენ

**“ფოთის გემთსაშენი” უცხოური ფირმის ზურგსუკან ამოფარებულმა, კარგად ორგანიზებულმა ქართველ საქმოსანთა ჯგუფმა შეიძინა. ამ პროცესში მონაწილეობდნენ საქართველოს კანცელარიის მაღალჩინოსნები, “ინტელექტბანკი”, ქონების მართვის სამინისტრო,”** - მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს იმ დასკვნის შინაარსი, რომელიც, პრივატიზების ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ანტიკორუფციულმა საბჭომ მოამზადა. განსაკუთრებით არის ხაზგასასმელი, რომ საბჭომ ამ საკითხის შესწავლა უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის დავალებით დაიწყო.

ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მოწოდებული მასალები რამდენიმე მიმართულების განვითარების საფუძველს იძლევა:

1998 წელს “ფოთის გემთსაშენი”-ს 99, 39 პროცენტი მართვის უფლებით გადაეცა **ოფშორულ ფირმა “დარლინგუორთ ლიმიტედს”**. ამ ფირმის კავშირს სამრეწველო-საფინანსო ჯგუფ “ჰიუნდაისთან”, რომლის შვილობილი კომპანიის სახელითაც ის მოქმედებდა, ანტიკორუფციული ბიუროს მონაცემებით, ადასტურებს მხოლოდ შპს **“ვილიამა მოტორსის”** იმჟამინდელი გენერალური მმართველი **დავით გიორგობიანი.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## შაბათს, 20 ივლისს „24 საათის“ დამატებაში „სამყარო“

# ინტერვიუ ოთარ ჭილაძესთან



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**“თქვენს “ხაფანგში” კი მოვხვდი, მაგრამ ფარხმალს მაინც არ დავყრი და შევეცდები, ყველაფერზე გიპასუხოთ, ანუ, ბოლომდე დავიცვა თავი, რამდენადაც ნებისმიერი შეკითხვა გარკვეული თვალსაზრისით ბრალდებაცაა და სულერთია, რა გედება ბრალად: გზა, რომელზედაც ამდენი ხანია მიდიხარ, თუ თვითონვე რომ არ იცი წინასწარ, რას იპოვი ამ გზაზე”.**

# ო`ნილი საქართველოს კმაყოფილი ტოვებს

## ქართული ეკონომიკის პრობლემებზე დუმილი მან ბოლომდე შეინარჩუნა

გვანცა კვინიკაძე

*ამერიკის ფინანსთა მინისტრმა, **პოლ ო`ნილმა** საქართველო ქვეყნის ეკონომიკური და ბიზნეს-გარემოს შეფასების გარეშე დატოვა. უეჭველია, რომ ამ საკითხების შესახებ ამერიკელი სტუმარი თავის შენიშვნებს პრეზიდენტ შევარდნაძესა და სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრებზე გამოთქვამდა, მაგრამ პრესასთან საუბრისას მათ დაფიქსირებას დიპლომატიურად აარიდა თავი. მასმედიასთან ოთხშაბათს გადადებული შეხვედრა ო`ნილმა გუშინ რუსთავში მდებარე ელექტროლიტური მანგანუმის ორჟანგის მწარმოებელი კერძო საწარმო **“ჯორჯია ინჯინერინგის”** მონახულების შემდეგ გამართა. ამერიკელი მაღალჩინოსანი საქართველოსთან ურთიერთობების განვითარების მთავარ მიმართულებად რეალური შემოსავლის მომტანი სამუშაო ადგილების შექმნაში დახმარებას მიიჩნევს.*

პოლ ო`ნილის ბრიფინგი არც თუ ისე ინფორმაციული აღმოჩნდა. აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ზოგადად ისაუბრა საქართველოს უმაღლეს ხელისუფალთან შეხვედრის ნაყოფიერებაზე. მისი განცხადებით, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რადგან სწორედ ეს მოუტანს ქვეყანას ახალ სამუშაო ადგილებს და, შესაბამისად, მის ეკონომიკას – წარმატებას. **“მთავარია, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარდეს, რაც იმ რეალურ სამუშაო ადგილებს გააჩენს, სადაც მართლაც ღირებული პროდუქცია იწარმოება. საქართველოში ხალხი მომზადებულია იმისთვის, რომ თავად შექმნას თავისი ეკონომიკური მომავალი და არ ელოდოს სახელმწიფოს ქმედებას,”** – განაცხადა ო`ნილმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 რეკლამა B4 TV პროგრამა B5 TV პროგრამა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

**თბილისი.** "საქართველოს არ სჭირდება ასე დიდი რაოდენობით დეპუტატები, "- თქვა ფრაქცია , , დემოკრატების" ლიდერმა გიორგი ბარამიძემ და იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტის საშემოდგომო სესიებზე - საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატთა რიცხვის შემცირების საკითხი დადგება. იგი მომხრეა, რომ დეპუტატთა რაოდენობა 235-დან 100-მდე შემცირდეს.

ამასთან, ბარამიძის აზრით, აუცილებელია, რომ თითოეულ დეპუტატს ჰყავდეს თავისი თანაშემწე. დღეს კომიტეტების აპარატის თანამშრომელთა ხელფასი 80-დან 100 ლარამდეა, მაღალკვალიფიციური იურისტი და ეკონომისტი კი ასეთი ხელფასით არ იმუშავებს. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**ახალქალაქი.** ახალქალაქში დისლოცირებული რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობა ბაზის სრული რადიაქტიული უსაფრთხოების გარანტიას იძლევა. ისინი აცხადებენ, რომ ბაზაზე რეგულარულად საკუთარი ძალებით ხორციელდება სათანადო შემოწმება და არავითარი რადიაციული საფრთხე არ არსებობს. ეს რომ ასე არ იყოს, პირველ რიგში რუსი სამხედროები დაზარალდებოდნენ.

ეს გახლდათ გამოხმაურება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნინო ჩხობაძის განცხადებაზე ახალქალაქის ბაზის რადიაქტიულ უსაფრთხოებაზე შემოწმების აუცილებლობის შესახებ. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** მალე ტენდერით გამოვლინდება ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ 3 მილიონ ლარს გამოიყენებს ქართული ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად

ტენდერს ფინანსთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ერთობლივად ატარებენ. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი აცხადებს, რომ საქართველომ უკვე გადაადგილა თურქი-მესხების რეპატრიაციის შესახებ კანონის მიღების ვადას, მაგრამ ევროპის საბჭო მისგან არ მოითხოვს ამ პროცესის ფორსირებას. ამჟამად არა მხოლოდ პარლამენტი, არამედ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიც მუშაობენ თურქი-მესხების რეპატრიაციის შესახებ კანონპროექტზე, თუმცა, პარლამენტართა დიდი ნაწილის დამოკიდებულება კანონპროექტისადმი ნეგატიურია. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**ცხინვალი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოსახლეობამ ნებაყოფილობით ჩააბარა 57 ერთეული იარაღი და საბრძოლო მასალა. რუსმა მშვიდობისმყოფელებმა ცხინვალის მახლობლად მდებარე პოლიგონზე 8 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება გაანადგურეს. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, წლეულს მაის-ივნისში ფასების საერთო დონე შარშანდელთან შედარებით 7, 6 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის სურსათზე - 10, 4 პროცენტით, არასასურსათო საქონელზე კი - 1 პროცენტით.

სტატისტიკოსთა ცნობით, მომსახურების სახეობებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად ფასები ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე, საგარეუბნო მატარებლით მგზავრობაზე, უცხო ენების შესწავლის კურსებზე გაიზარდა. რაც შეეხება პროდუქტს, შარშანდელთან შედარებით, ფასებმა კარტოფილზე, სიმინდის ფქვილზე, ბროწეულზე, იმპორტირებულ ლუდზე და ხაჭოზე მოიმატა.

ექვსი თვის მანძილზე საქართველოს სასურსათო, სამრეწველო და შერეული საქონლით მოვაჭრე ბაზრებსა და ბაზრობებზე 817, 0 მილიონი ლარის საქონელი გაიყიდა.

ბაზრობებზე ყველაზე დიდი რაოდენობით სასურსათო და საყოფაცხოვრებო საქონელია რეალიზებული. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** „ვიდრე მინისტრი ვიქნები, ამ ხელშეკრულების პროექტს ხელს არ მოვაწერ. სამინისტრომ პროექტი „ტაჰალს" ბევრი შენიშვნით დაუბრუნა. ახლა პასუხს ველოდებით", — განაცხადა ქონების მართვის მინისტრმა პავლიაშვილმა.

მისი თქმით, კომპანიამ სატენდერო კომისიის მიერ მოწონებულ ბიზნეს-გეგმასთან შედარებით, კაბალური ხელშეკრულება წარმოადგინა.

მინისტრი ირწმუნება, რომ ზამთრისათვის „თბილგაზის" პრობლემა გადაწყდება და კომპანიას პატრონი გამოუჩნდება. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**ლენტეხი.** ლენტეხსა და ცაგერში თითქმის ერთთვიანმა გადაუღებელმა წვიმებმა დიდი ზარალი მიაყენა რეგიონს.

*ლენტეხში* ოთხჯერ განმეორდა ღვარცოფი, რამაც საცხოვრებელი სახლები დააზიანა. ამჟამად იქ გზები გადაკეტილია. წვიმებმა 300 ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობი წალეკა. *ცაგერში* ადიდებულმა ცხენისწყალმა ორი ხიდი წაიღო; ათი სოფელი მთლიანად მოწყვეტილია ცენტრს. წინასწარი მონაცემებით, ლენტეხსა და ცაგერში ზარალი 5 მილიონ ლარს აღწევს.

მთავრობა ლენტეხსა და ცაგერში სტიქიური უბედურების შედეგებს განიხილავს. და თუ დადასტურდება მათ ხელთ არსებული ახლანდელი მონაცემები, შესაძლებელია გარემოს დაცვის სამინისტრომ პრეზიდენტს თხოვნით მიმართოს, რათა ლენტეხისა და ცაგერის გარკვეული ტერიტორიები ეკოლოგიური კატასტროფის ზონად გამოცხადდეს. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** 22-26 ივლისს ბერლინში არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის XXI მსოფლიო კონგრესი "არქიტექტურა-რესურსი" გაიმართება.

კონგრესის ფარგლებში სხვადასხვა თემაზე საპროექტო სემინარების ჩატარება იგეგმება. გარდა ამისა, კონგრესის ფარგლებში ბერლინის საგამოფენო ცენტრში სავაჭრო ბაზრობა და არქიტექტურული პროექტების საერთაშორისო გამოფენა გაიმართება.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას ქართველ არქიტექტორთა დელეგაციაც მიიღებს.

ქართველი არქიტექტორები უკანასკნელ წლებში შესრულებულ არქიტექტურულ პროექტებს და ნამუშევრებს წარადგენენ. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**კახეთი.** კახეთის და ქვემო ქართლის რაიონებში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დაიწყო.

14 900 ჰექტარზე აღებული მოსავლიდან 26 000 ტონა მარცვლეულია მიღებული (საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე - 1, 7 ტონა).

კახეთში ივნისის თვეში უხვი ნალექების შედეგად გამოწვეულმა სტიქიამ ასაღებად გამზადებული თავთავიანი კულტურის ყანები საგრძნობლად დააზიანა.

მარტო გურჯაანის რაიონში სტიქიის შედეგად 5 800 ჰექტარი ერთწლიანი კულტურების სავარგულები დაზიანდა. ანალოგიური მდგომარეობაა სიღნაღის, ლაგოდეხისა და ახმეტის რაიონებშიც, რაც გადარჩენილი მოსავლის აღებას საგრძნობლად ართულებს. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**გურჯაანი.** პანკისის ხეობაში ხადორჰესის მშენებლობის მეორე ეტაპი სექტემბერში დაიწყება, განაცხადეს კახეთში ვიზიტით მყოფმა ჩინეთის "სიჩუანის" კორპორაციის წარმომადგენლებმა.

წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში, ქართულ და ჩინურ მხარეებს შორის დახურულ კარს მიღმა ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა მოლაპარაკებები. შეხვედრის ძირითადი თემა კახეთში ჩინური ენერგოკორპორაციების საქმიანობის გაგრძელება იყო.

ყვარლის რაიონის მდინარე ჩელეფზე 24 მეგავატიანი ელექტროსადგურის მშენებლობაა დაგეგმილი.

საქართველოში ჩინეთის ელჩის სოი დიან გოს განცხადებით, კახეთში ჩინური კორპორაციების მიერ დაწყებული საქმე დასრულდება. მანვე იმედი გამოთქვა, რომ ქართული მხარე მშენებლობების მაქსიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მოლაპარაკებებში ავთანდილ ჯორბენაძე მიიღებს მონაწილეობას. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**ახმეტა.** სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე პანკისის ხეობის სოფელ საკობიანოში ჩავიდა და დაწყებითი სკოლის აღსადგენად სკოლის ადმინისტრაციას მოქალაქეთა კავშირის ფონდიდან 25 ათასი ლარის გამოყოფას დაჰპირდა.

სახელმწიფო მინისტრი პანკისის ხეობას მოქკავშირის რაიონული ორგანიზაციების დასაფუძნებლად ეწვია და ადგილობრივ მოსახლეობას მოქალაქეთა კავშირში გაერთიანებისკენ მოუწოდა.

აღსანიშნავია, რომ "მოქკავშირში" 400-მდე ადგილობრივი მცხოვრები გაწევრიანდა. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი, ვლადიმირ პუტინის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში ვლადიმირ ლოშჩინინი ბათუმში გამგზავრებამდე, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა. იგი თბილისში შევარდნაძისა და პუტინის სატელეფონო საუბრის შემდეგ ჩამოვიდა.

ვლადიმირ ლოშჩინინს კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ მთავარ პირობად დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთნდობის მოპოვება და ეკონომიკური თანამშრომლობა მიაჩნია. მისი აზრით, კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკურ ძალისხმევას ხელს შეუწყობდა აფხაზეთში რიგი ეკონომიკური პროექტების, მაგალითად, ენგურჰესის რეაბილიტაცია და აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა. მისი თქმით, აფხაზეთის კონფლიქტის დასრულება რუსეთის ფედერაციის ინტერესებშიც შედის, თუმცა აღნიშნავს, რომ ცხრაწლიანმა პოლიტიკურმა მოლაპარაკებებმა ჯერ რეალური შედეგები არ გამოიღო.

ლოშჩინინმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შევარდნაძის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში - ასლან აბაშიძე უნდა მოინახულოს. იგი აღნიშნავს, რომ მას და აბაშიძეს ერთმანეთის კარგად ესმით, რამდენადაც აფხაზეთის საკითხში ერთი მიზნით და საერთო ინტერესებით ხელმძღვანელობენ. (მედია-ნიუსი)

# ვის გაეჩხირება ყელში "ფოთის გემთსაშენი"?

## კანცელარიაში ხელს ერთმანეთისკენ იშვერენ



ანტიკორუფციული ბიუროს სხდომა



მარიკა ამურველაშვილის ფოტოები

პირველი გვერდიდან

ანტიკორუფციულმა ვერ მოახერხა, დაედგინა "დარლინგუორთ ლიმიტედის" დამფუძნებლის ვინაობა, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ფირმის წარმომადგენლობას საქართველოში იგივე დავით გიორგობიანი ხელმძღვანელობს. საინტერესოა, რომ დავით გიორგობიანი მარტიდან სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს უფროსია. არანაკლებ საინტერესოა ის, რომ მას ქონებრივ დეკლარაციაში, რომელიც სახელმწიფო სამსახურში ჩადგომის დროს შეავსო, დამალული აქვს გემთსაშენის მართვის უფლებით მფლობელი კომპანიის ხელმძღვანელად ყოფნის ფაქტი. გუშინ სასამართლოდან კიდევ ერთხელ გამოთხოვილი საბუთების თანახმად კი იგი დღესაც ამ თანამდებობას ითავსებს (ამ ფაქტიდან გამომდინარე, ანტიკორუფციულმა ბიურომ პრეზიდენტს რეკომენდაცია მისცა გიორგობიანის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი მცირედი დეტალია გემთსაშენის პრივატიზებაში დაშვებული დარღვევების ჯაჭვისა).

შემდეგ მიმართულებას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომდე მივყავართ, რომელსაც მართვის უფლებით ქონების მფლობელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გაკონტროლება ევალებოდა. საპრივატიზაციო პირობების თანახმად, "დარლინგუორთ ლიმიტედი" ვალდებული იყო, 3 წლის განმავლობაში 9 მილიონი დოლარის ინვესტიციები განეხორციელებინა.

ქონების მართვის სამინისტროს კომისიამ, გიორგი მაჩაიძის ხელმძღვანელობით, 1999 წელს შეისწავლა მდგომარეობა და დაასკვნა, რომ პირობები სრულდება. ანტიკორუფციულმა საბჭომ მოახერხა მხოლოდ იმ დოკუმენტების ასლების მიღება, რომელზე დაყრდნობითაც ასეთი დასკვნა იქნა გაკეთებული. ამ დოკუმენტაციის თანახმად, "დარლინგუორთ ლიმიტედს" 1999 წელს წარმოებაში ჩადებულად ნაჩვენები აქვს სულ 1 მილიონი დოლარი. კონტრაქტს გერმანულ ფირმა "ანგ"-თან, რომელსაც, დოკუმენტაციის თანახმად, ეს თანხა 12 კატერისა და იახტის საპროექტო დოკუმენტაციის ფასად გადაეცა, ხელს დავით გიორგობიანი აწერს. დოკუმენტაციის თანახმად თანხა გადაუხადეს "ანგ"-ს წარმომადგენელს, დავით ბარდაველიძეს ნაღდი ფულის სახით (!). დოკუმენტებში არ არის მითითებული თანხის მიმღების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. ქონების მართვის კომისია კი აღნიშნავს, რომ ბარდაველიძე არის გერმანიის მოქალაქე. ანტიკორუფციულმა გადაამოწმა ეს ინფორმაცია და აღმოაჩინა, რომ ბარდაველიძე საქართველოს მოქალაქეა.

ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ "დარლინგუორთ ლიმიტედს" და "ვილიამა მოტორსს" ანგარიშები "ინტელექტბანკში" აქვთ. "დარლინგუორთ ლიმიტედის" საბანკო ვალდებულებების გარანტადაც ასევე "ინტელექტბანკი" გვევლინება. "ინტელექტბანკი" ამ გარანტიის საფუძვლად ასახელებს "ბრითიშბანკის" საგარანტიო წერილს, მაგრამ თვითონ ეს წერილი ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოდგენილი არ იქნა.

საბჭოს აზრით, "ინტელექტბანკის" მჭიდრო კავშირს ამ საქმესთან ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სააქციო საზოგადოება "ფოთის გემთსაშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა "ინტელექტბანკის" თანამშრომელი შ. წაქაძე. ასევე, საპრივატიზაციო პირობების თანახმად, "დარლინგუორთ ლიმიტედმა" 1998 წლის ნოემბერში 80 000 ლარი გადაურიცხა ფოთის ბიუჯეტს "ინტელექტბანკიდან" ისე, რომ თანხის წარმოშობის დამადასტურებელი საბუთების მოძიება ანტიკორუფციულმა ბიურომ ვერ შესძლო.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე ასკვნის ანტიკორუფციული საბჭო, რომ "ფოთის გემთსაშენი" ქართულმა ორგანიზებულმა ჯგუფმა ჩაიგდო ხელში და არა ცნობილმა კორპორაციამ "ჰიუნდაიმ".

მორიგ მიმართულებას კანცელარიამდე მივყავართ. 1998 წლის 26 თებერვლის მთავრობის სხდომამ მოიწონა "ფოთის გემთსაშენის" პრივატიზების პროექტი, რომელიც საწარმოს 51 პროცენტის გაყიდვას ითვალისწინებდა. ანტიკორუფციულის დასკვნაში ნათქვამია, რომ "სხდომის ოქმში 51 პროცენტი გადასწორებული იქნა 99 პროცენტად იმ მოტივით, რომ, თითქოს, თავდაპირველ ვარიანტში გაიპარა "მექანიკური შეცდომა". ეს ფაქტი ანტიკორუფციულს დაუდასტურა მრეწველობის მაშინდელმა მინისტრმა, თამაზ აგლაძემ და განაცხადა, რომ მაშინ, როცა მან ამ შესწორებულ საბუთს ხელი მოაწერა, მასზე უკვე იყო კანცელარიის თანამშრომელთა და ავთანდილ სილაგაძის ხელმოწერა. აქვე აღნიშნულია, რომ, საბჭოს მონაცემებით, მთავრობის სხდომის ოქმში შესწორების შეტანის მიზნით, მართლაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პეტრე მამრაძის ხელმძღვანელობით, თუმცა შესწორებული ვარიანტის მოპოვება ანტიკორუფციულმა საბჭომ, მიუხედავად მოთხოვნისა, ვერ შესძლო. **"კანცელარიიდან შესწორებული საბუთები არ გადმოგვიგზავნეს"**, - აცხადებს საბჭო და ხელს, ფაქტობრივად, პეტრე მამრაძეს ადებს.

"24 საათთან" ამ საკითხის კომენტირებისას, კანცელარიის ხელმძღვანელმა პეტრე მამრაძემ განაცხადა, რომ სამი დღის წინ ანტიკორუფციულ ბიუროს საბუთები გადაუგზავნეს, თუმცა, თუ ამ საბუთებს რამე დააკლდა, ეს მათი სამსახურის პრობლემა არ არის, რადგან მოთხოვნაში არ იყო დაფიქსირებული მათი კონკრეტული სახეობა. მთავრობის სხდომის ოქმის შესწორების ისტორიის გახსენებისას კი ამბობს, რომ ამ ინიციატივით მთავრობის სხდომის დღესვე, საღამოს, ავთანდილ სილაგაძე შემოვიდა. ქონების მართვის მაშინდელმა მინისტრმა განაცხადა, რომ მექანიკური შესწორების შეტანა სურდა ოქმში. მამრაძის ინფორმაციით, შესწორებული ოქმის შემოწმება თემურ ბასილიას სამსახურს დაევალა, რომელმაც საკითხი შეისწავლა და განაცხადა, რომ პრობლემა მოხსნილია.

"24 საათმა" გუშინ სცადა დაკავშირებოდა თემურ ბასილიას, თუმცა, მან განგვიცხადა, რომ გვიან ღამემდე დაკავებული გახლდათ და ამ მიზეზით კომენტარისაგან თავი შეიკავა.

"24 საათი" ესაუბრა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელს, მიხეილ ოსაძესაც, რომელიც ამ საკითხს ასევე სწავლობდა. მისი თქმით, ამ საქმეში ძალიან ბევრი მხარის ძალიან სერიოზული ინტერესები იკვეთება და იგი, რეალურად, საგანგებოდ დაინტერესებას მართლაც იმსახურებს.

ანტიკორუფციული საბჭო ამ თემაზე შეხვედრას ერთი კვირის შემდეგ ისევ გეგმავს. ამ შეხვედრაზე მოწვეული იქნება საქმეში დასახელებული ყველა მხარე. მანამდე კი "24 საათი" ამ თემით კვლავ დაინტერესდება და უფრო დეტალური ინფორმაციის მოძიებას შეეცდება.

# "სამართლიანი არჩევნები" პოლიციას უპირისპირდება

თამარ მჭედლიშვილი

***საერთაშორისო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" დასავლეთ საქართველოს რეგიონული ოფისი გაქურდეს. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია კრიმინალის მსხვერპლი ხდება.***

პირველად "სამართლიან არჩევნებს" ზუგდიდში აყაჩაღებენ. არჩევნების წინა საღამოს, როცა ქალაქს პოლიციის გაძლიერებული რაზმები და "სპეცნაზი" აკონტროლებს, არასამთავრობო ორგანიზაციის კუთვნილ მანქანას სამი შეიარაღებული პირი თავს ესხმის. ორგანიზაციის წევრებს ართმევენ პირად ნივთებს, ფულს და თავად ავტომანქანას. ამ თავდასხმის შემდეგ უკვე ექვსი დღეა გასული და თავდამსხმელები ჯერაც არ არიან დაკავებულები.

ეს საქმე თავად შინაგან საქმეთა მინისტრმა აიყვანა კონტროლზე. მისივე თქმით, ავტომანქანა ორგანიზაციას უმოკლეს ვადაში დაუბრუნდებოდა. საინტერესოა ისიც, რომ ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობამ აქეთ დაადანაშაულა ორგანიზაციის წევრები, თუ ამდენი ფული გქონდათ წამოღებული, ჩვენთვის წინასწარ უნდა გეცნობებინათო.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ორგანიზაციის ოფისს ქუთაისში ძარცვავენ და კომპიუტერულ ტექნიკას იპარავენ. სამართლიანი არჩევნების წევრის, ნუგზარ კუპრეიშვილის თქმით, **ქუთიასის პოლიციამ, ზუგდიდელი კოლეგების მსგავსად, ბრალი დასდო დაზარალებულებს და განუცხადა, რომ მატერიალური ფასეულობების ფლობისას პოლიცია წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული და მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მათი კრიმინალისაგან დაცვა.**

გუშინ ქუთაისელი პოლიციელები მთელი დღე დაზარალებულების დაკითხვით იყვნენ დაკავებულები. თბილისიდან ქუთაისში გაემგზავრა "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელი დავით ყიფიანი, თუმცა კონკრეტული ინფორმაცია პოლიციას არც მისთვის შეუტყობინებია. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, რომ მთლიანობაში, პოლიცია საკმაოდ გვიან შეუდგა საქმის გამოძიებას, შემთხვევის ადგილის დათვალიერებას და ანაბეჭდების მოძიებას.

რამდენიმე დღის წინ ზუგდიდის ინციდენტი "სამრათლიანი არჩევნების" წევრებმა რიგით კრიმინალად შეაფასეს. გუშინ კი მათი განწყობა აშკარად შეიცვალა.

**"სამართლიანი არჩევნები" პროტესტს გამოთქვამს მის წინააღმდეგ განხორციელებული კრიმინალური ქმედებების გამო, პასუხისმგებლობას აკისრებს ხელისუფლებას და მოითხოვს, უმოკლეს ვადებში გამოიძიონ ორივე დანაშაული. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაბუთდება ჩვენი ეჭვი, რომ ეს აქციები მიზანმიმართულად ხორციელდება ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ ,** - განუცხადა "24 საათს" ნუგზარ კუპრეიშვილმა.

# თავდაცვის ეროვნული აკადემია ნატო-ს სტანდარტებზე გადადის

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია სწავლების ახალ მოდელზე გადადის. რამდენიმე წელიწადში სასწავლებლის ინფრასტრუქტურა მთლიანად შეიცვლება და სრულ შესაბამისობაში მოვა ნატოს სტანდარტებთან. ამ საქმეში სამხედრო სასწავლებლის ხელმძღვანელობას დახმარებას გაუწევენ თურქი კოლეგები, რომლებიც სამხედრო აკადემიაში, ქართველ ოფიცრებთან ერთად, ჩაატარებენ მეცადინეობებს. გარდა ამისა, თურქეთის მხარემ ეროვნული აკადემიის მოდერნიზაციისთვის, მარტო მიმდინარე წელს, უკვე 1,5 მილიონი დოლარი გაიღო და თუ შედეგს დაინახავს, მზად არის, ინვესტირება განაგრძოს.*

**"ჩვენს კურსანტებს ექნებათ ისეთი პირობები, როგორიც საქართველოს არც ერთი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის მოსწავლეებს არ ჰქონიათ. აქ გაიზრდებიან ელიტარულად აღზრდილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეები,"** - აცხადებს თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი, გენერალ-ლეიტენანტი ომარ ლეკვეიშვილი.

ამ სასწავლო წელს აკადემიაში 17-21 წლის ასაკის 220 კურსანტს მიიღებენ. ისინი სექტემბერში ვაზიანში გაივლიან ერთთვიან კურსებს და ვინც მას წარმატებით დასძლევს, სასწავლებელში ჩაირიცხება. სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე იქნება. ამასთან, კურსანტები გაივლიან ინგლისური და თურქული ენების გაძლიერებულ კურსებს.

**"აკადემიის არსებობის ისტორიაში პირველად ხდება, რომ კურსანტები მთლიანად არიან სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილნი. აქამდე ისინი მხოლოდ მასწავლებლების კონსპექტებით მეცადინეობდნენ,"** - კმაყოფილებით აღნიშნავს სასწავლებლის ხელმძღვანელობა.

სწავლის სრული კურსი ხუთწლიანია: ოთხი კურსის დასრულების შემდეგ კურსანტები მიიღებენ ლეიტენანტის წოდებას და გაივლიან ერთწლიან სპეციალურ კურსს, რის შემდეგაც მათზე გაიცემა სისტემური ინჟინრის დიპლომი. მის მფლობელს შეეძლება იმუშაოს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სფეროში. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ აკადემიაში შესაძლებელია, მივლინებულნი იყვნენ შინაგანი და სასაზღვრო ძალების წარმომადგენლებიც, რომლებიც, სათანადო განათლების მიღების შემდეგ, თავიანთ უწყებებში დაბრუნდებიან.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ზექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# „ბერეზოვსკის რევანში„

## ბორის ბერეზოვსკი ლონდონიდან აჩემეზ გოჩიაევთან ინტერვიუს გვიჩვენებს

რუსიკო ნიკურაძე
საკ.კორ.მოსკოვში

“ადამ დეკუშევი საქართველოში ისე გაასუქეს, რომ კამერაში გადაადგილება უჭირს,”- უთხრეს გუშინ მოსკოვში ჟურნალისტებს “ლეფორტოვოს” იზოლატორის წარმომადგენლებმა. მათივე ინფორმაციით, “ციხე ტირის” დანარჩენ პანკისელ ვაჰაბიტებზე - ანუ მოუთმენლად ელოდება აჩემეზ გოჩიაევსა და იუსუფ კრიმშამხალოვს.

მოსკოვში ამტკიცებენ, რომ ეს უკანასკნელიც “თურმე ისე მოუკეთებია საქართველოს ჰავას, რომ რუსეთში შემოსასვლელად პლასტიკური ოპერაციის გაკეთებაც არ დასჭირდება”. რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ გოჩიაევი, კრიმშამხალოვი და მათი თანამებრძოლები საქართველოში გადასვლის დროს ულელტეხილზე კინაღამ გაიყინენ. იგივე წყაროების ცნობით, “გოჩიაველები საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებთან დაახლოებული გარკვეული ძალების ვერტმფრენს აღმოუჩენია და ქუთაისში გადაუყვანია. ცოტა ხნის შემდეგ ისინი პანკისში აღმოჩნდნენ.”

რუსული პრესის მონაცემებით, რუსეთმა უკვე შეიყვანა ინგუშეთის ჯეირახის ხეობაში დამატებითი სამხედრო კონტიგენტი, ხოლო ითუმკალეს სასაზღვრო რაზმში ბოლო დღეებში გაძლიერებული დაცვა გადაისროლეს. რუსი სამხედროები ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად მათ უფლება არ აქვთ, სამხედრო ან სხვა სახის ოპერაციები აწარმოონ. “უნდა დაბომბონ თუ არა საქართველო, ეს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის საქმე არ არის. სანამ ცოცხალია და გაუსამართლებებია გოჩიაევი, ომი ჩეჩნეთში არ დასრულდება და თუ საქართველოს ხელისუფლებას ამ პრობლემის გადაწყვეტის თავი არ აქვს, მას უნდა დავეხმაროთ.”- ასეთი კატეგორიული მოთხოვნით გამოდის გაზეთი “ვერსია”.

“შევარდნაძე საკუთარ ტერიტორიაზე მოკალათებული ტერორისტების დაჭერისა და რუსეთისათვის გადაცემის მაგივრად, ამ ხალხის აღწერას გვთავაზობს, ეს არის ცინიზმის უმაღლესი გამოვლინება,”- აცხადებს რუსი პოლიტოლოგი ნიკონოვი ერთ-ერთ ტელეინტერვიუში.

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პანკისის პრობლემის პროპაგანდისტულ დამუშავებას აგრძელებენ და საზოგადოებრივი აზრის მობილიზებაში ისეთი საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგიით მანიპულირებენ, როგორიცაა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებების დაცვა და დასავლეთის სტრუქტურების თვალში საქართველოს, როგორც ტერორიზმის ბუდის, შერყეული იმიჯი. ასეთი არგუმენტების წინაშე უძლურია ოფიციალური მოსკოვი, რომლის პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და პანკისის პრობლემის წმინდა ქართულ შიდაპრობლემად მიჩნევაზე, ამ გაურკვეველ ვითარებას უფრო ამძიმებს. რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყება დიდი ხანია, აღარ ერევა საქართველოს შიდაპოლიტიკურ მოვლენებში, ანუ ხელები დაუბანია, რადგანაც დღეს ორი ქვეყნის დიპლომატები ახალ “ჩარჩოზე” მუშაობენ და ყურადღების გაფანტვა არ სურთ. ამით მოსკოვი ხაზს უსვამს, რომ პანკისი ისევე, როგორც ჩეჩნეთი, სპეცსამსახურების პრეროგატივაა. და თუ ქართულ სპეცსამსახურებს არ შეუძლიათ, მარტო გაუმკლავდნენ კრაზანების ბუდეს, რუსი კოლეგები მზად არიან. მთავარია, ვინმემ დაუსტვინოს. “ლეფორტოვოში” კი ჩვენებების მიცემას აგრძელებს ადამ დეკუშევი. სამართალდამცავი ორგანოების გადამღები ჯგუფის მიერ გავრცელებული ვიდეოკადრები მეტყველებს, რომ მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში ეჭვმიტანილი დეკუშევისათვის მოსკოვში ჩამოყვანისთანავე თავზე ხელი არ გადაუსვამთ.

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბორის ბერეზოვსკის მარჯვენა ხელმა და დიდმა მეგობარმა, ფსბ-ს ყოფილმა პოდპოლკოვნიკმა ალექსანდრ ლიტვინენკომ იმის შესახებ, რომ აჩემეზ გოჩიაევმა მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქების დავალება რუსეთის სპეცსამსახურებისაგან მიიღო. ლიტვინენკო ის კაცია, ვინც რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს აუწყა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა მას ბერეზოვსკის მოკვლა დაავალა. ასე გადაბარგდა ლიტვინენკო ცნობილი ოლიგარქის ბანაკში და მას ლონდონშიც გაჰყვა. ლიტვინენკომ ორი დღის წინათ დარეკა რადიო “ეხო მოსკვის” რედაქციაში და ჟურნალისტებს აცნობა, რომ მან მიაკვლია აჩემეზ გოჩიაევს და მასთან ინტერვიუ ჩაიწერა, რომლის დემონსტრირებასაც ლიტ-



აჩემეზ გოჩიაევი

ვინენკო მოსკოვში, 25 ივლისს ლონდონიდან პირდაპირი ტელეხიდის მეშვეობით აპირებს. როგორ და სად იპოვა ფსბ-ს ყოფილმა პოდპოლკოვნიკმა და დღეს ბერეზოვსკის თანამებრძოლმა გოჩიაევი, არავინ იცის. ბორის ბერეზოვსკის პარტია “ლიბერალნაია როსსია”-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი პარლამენტარი ალექსანდრ იუშენკოვი აცხადებს, რომ ლიტვინენკოს ფსბ-ში საკმაოდ მაღალი პოსტი ეკავა და ასეთი ინფორმაციის მიღება არ გაუჭირდებოდა. როგორც ცნობილია, ბერეზოვსკიმ მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისია შექმნა. მისი ერთ-ერთი წევრი ასევე რუსი პარლამენტარი იური შჩეკოჩიხინი ამბობს, რომ იგი დარწმუნებულია, რომ გოჩიაევი, რომელსაც ამდენი ხანია უშედეგოდ ეძებენ რუსეთის სპეცსამსახურები, ძველი კავშირების წყალობით სწორედ ლიტვინენკომ აღმოაჩინა. რა კავშირებზეა ლაპარაკი, ქართველ მკითხველს ამის მიხვედრა არ უნდა გაუჭირდეს. “ყველაზე საშინელი, რასაც საზოგადოებრივი კომისია გოჩიაევისაგან მოისმენს, იქნება მოსკოვის სახლების აფეთქებაზე სპეცსამსახურებისაგან მიღებული დავალების აღიარება,”- აღნიშნავენ რუსული წყაროები. პრინციპში, იგივეს ამტკიცებს ბორის ბერეზოვსკიც თავის ფილმში “რუსეთზე თავდასხმა”, რომლის დემონსტრირებაც ხსენებული პარტიის ყრილობაზე შედგა. ამ ფილმით ბერეზოვსკი ამტკიცებს, რომ მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქება და მრავალი მხსვერპლი სპეცსამსახურებს ვლადიმირ პუტინის გასაპრეზიდენტებლად დასჭირდა.

როგორ დაითანხმა ლიტვინენკომ გოჩიაევი, იგივე ამტკიცოს და რატომ გადაწყვიტა თავად აჩემეზ გოჩიაევმა ბერეზოვსკის თანამოაზრე ყოფილი ჩეკისტისათვის ინტერვიუს მიცემა დღეს, როცა რუსეთის სპეცსამსახურები მის კვალს პანკისში ეძებენ და საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებენ ტერორისტების მფარველობაში, ეს ის შეკითხვებია, რაზედაც დღეს ნამდვილად ღირს სერიოზულად დაფიქრება.

“24 საათი” გუშინ დაუკავშირდა მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქების მიზეზების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისიის ერთ-ერთ წევრს, დეპუტატ **იური შჩეკოჩიხინს**, რომელმაც გვითხრა, რომ “მისთვის უცნობია, კონკრეტულად რას ამბობს ლიტვინენკოსათვის მიცემულ ინტევრიუ-ჩვენებაში აჩემეზ გოჩიაევი”. პარლამენტარი არ გამორიცხავს, რომ “შეიძლება ტერორისტულ აქტში ეჭვმიტანილი საერთოდ უარყოფს ამ ბრალდებას”.

რუსული წყაროები უცნაურ დამთხვევას უწოდებენ “ბერეზოვსკის რევანშამდე” თბილისის მიერ მოსკოვისათვის დეკუშევის გადმოცემას. დამკვირვებლების მოსაზრებით, “საქართველოს სპეცსამსახურებმა მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქებაში ეჭვმიტანილი დოკუშევი სწორედ ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის უშუალო მითითებით აიყვანეს და მოსკოვს გადაულოცეს”. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ “პრაქტიკულად ამ გზით მოახერხა ლიტვინენკომ გოჩიაევთან ინტერვიუს ჩაწერაც”.

რუსეთის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამხედრო ექსპერტმა “24 საათისათვის” მიცემულ კომენტარში აღნიშნა, რომ “ტერორისტების რუსეთისათვის გადმოცემის დაწყებული პროცესი ორი ქვეყნის სპეცსამსახურების ერთობლივი ოპერაციის პირველი ეტაპის კონტექსტშია და ამაში არაფერია მოულოდნელი. პირიქით, ამ მოვლენას რუსეთში და საქართველოში უნდა მიესალმონ”.

უბრალო დამკვირვებლებს კი მეტად აინტერესებთ მთელ ამ ისტორიაში ბორის ბერეზოვსკის როლი და მიზნები, რაც მოსკოვში 25 ივლისს დაგეგმილი ლონდონიდან პირდაპირი ტელეარხის დროს გაირკვევა, სადაც ბერეზოვსკი და ლიტვინენკო კომისიას გოჩიაევთან ინტერვიუს ჩანაწერს მოასმენინებენ. ტელეხიდზე “24 საათის” მოსკოველი კორესპონდენტიც მიიპატიჟეს.

# თორმეტი დღე დარჩა ომამდე, რომელზეც ყველა საუბრობს, მაგრამ არავინ იცის, ვინ იწყებს

პირველი გვერდიდან

ამასთან, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ენგურსგამოღმა, აფხაზეთის ომით დაბრუნების მთავარი ლობისტია, არ აპირებს პარტიზანული მოძრაობის კოორდინირებას. **“მე არ ვაპირებ ამ თემის განვრცობას, ეს პარტიზანებმა უნდა გააკეთონ. 2000 წლის 16 ივლისს, საქართველოს ხელისუფლებამ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვით, ყველა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც აფხაზეთის კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაჭრისკენ მოუწოდებს, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. ამიტომ ჩვენი საუბარი ვერ იქნება გულწრფელი, იმ წუთში ომისკენ მომწოდებლის იარლიყს მომაწებებენ, ამიტომ ოპერაციები პარტიზანებმა უნდა დაგეგმონ,”** – აცხადებს ნადარეიშვილი.

პარტიზანული მოძრაობის ცნობილი ლიდერები სიტუაციის განვითარების სხვა სცენარებს ემხრობიან. **“ღმერთმა ქნას, რომ ნადარეიშვილმა დაიწყოს იქ რამე და აგერ არ ვართ?! თუ დაგვეხმარა, მოვახერხებთ რაღაცას, ჩვენ არაფერი არ გვჭირდება, ცოტა სასმელ-საჭმელი და ტყვია-წამალი გვინდა და თუ მოგვაწვდის ნადარეიშვილი, ამას რა სჯობია. ომის დაწყება და მოგება თუ უნდა, იქაც თუ უნდა მეთაურობა, მაშინ დაგვეხმაროს უნდა, ისე არაფერი გამოვა. ჩვენ რაც შეგვიძლია, გავაკეთებთ, გლობალურ ომს ვერ დავიწყებთ, მარა ცოტას შევუფუცხუნებთ აფხაზებს და ეგ იქნება, მარტო მე არაფრის დაწყებას არ ვგეგმავ,”** – გვითხრა პარტიზანთა ერთ-ერთმა ლიდერმა რუზგენ გოგოხიამ.

გაცილებით კონკრეტული და კატეგორიული იყო “ტყის ძმების” ლიდერი დავით შენგელია. **“აგვისტოში მე და ჩემი რაზმი არაფერს არ ვგეგმავთ, გარწმუნებთ, აფხაზეთში არაფერი არ დაიწყება,”** –გვაცნობა დავით შენგელიამ.

“უაზრო ბაქიბუქს” უწოდებს აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განცხადებებს ზუგდიდში დისლოცირებული ქართული სამშვიდო ბატალიონის მეთაურის მოადგილე კლიმენტი თევზაძე. **“მუშტების ქნევას თბილისიდან სათავისოდ ისევ აფხაზები იყენებენ. ახლაც, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამთო ბატალიონების წვრთნებს ატარებენ კოდორის მისადგომებთან. დღეს ჭუბურხინჯის შეხვედრაზე საინტერესო ის იყო, რომ არც რუსეთის სამშვიდობოებს, არც გაერო-ს და არც თავად აფხაზებს ამ წვრთნების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა არ უცდიათ. მათმა თავდაცვის მინისტრმა რაულ ხაჯინბამ პირდაპირ თქვა, რომ ეს ინფორმაცია საიდუმლოა და ყველაფერს მომავალ კვირას გაცნობებთო. ვერც შეეწინააღმდეგები, ეგრევე გეუბნებიან, შენ მემუქრები და მე თავი არ დავიცვაო? ვერ გავიგე, ამ უაზრო მუქარებით რა ახალ პოლიტიკას ვაწარმოებთ, რას ვიგებთ ამით?”** – კითხულობს კლიმენტი თევზაძე.

# დაცვის კერძო სამსახური

ვერიკო თევზაძე

*დღეისათვის საქართველოში, დაახლოებით, 70 დაცვის კერძო სამსახურია. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ არეგულირებს მათ საქმიანობას და ისინი, შეიძლება ითქვას, ჰაერში არიან გამოკიდებულნი. დაცვის კერძო სამსახურები, კარგა ხანია, სერიოზულ კონკურენციას უწევენ სახელმწიფო დაცვის სამსახურებს. ეს მაშინ, როცა თავად სახელმწიფო დაცვის სამსახურსა და დაცვის პოლიციას შორისაც არსებობს კონკურენცია. უფრო მეტიც, სიტუაციები ისეა ჩახლართული, რომ ძნელი გასარკვევია, სად იწყება და სად მთავრდება კერძო და სახელმწიფო დაცვის სამსახურების ინტერესები. დღეს არავისთვის არის უცნობი, რომ დაცვის ბევრ კერძო სამსახურს ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები ლობირებენ. კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, შემოდგომისთვის დაცვის პოლიციაში იმდენად ძირეული გარდაქმნებია მოსალოდნელი, რომ იგი თითქმის დაშლის პირამდე მივა. რატომღაც ამ საკითხს უშუალოდ უკავშირებენ ჯერჯერობით გაუხმაურებელ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მომავალში ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს ერთ-ერთი სერიოზული კერძო დაცვის სამსახურის მეპატრონედ ვიხილავთ. კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ დაცვის პოლიცია კერძო სტრუქტურად გადაკეთდება და მას კახა თარგამაძე.*

რადგან სიტყვა კახა თარგამაძეზე ჩამოვარდა, იმასაც ვიტყვით, რომ საზოგადოებაში ეჭვს იწვევს თარგამაძის ცვალებადი დამოკიდებულება დეტექტიური საქმიანობის შესახებ კანონპროექტზე, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო და მისი შემდგომი განხილვა გაურკვეველი დროით გადაიდო. დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარებოდა, რომ მინისტრი თარგამაძე კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდიოდა, ხოლო ექსმინისტრ თარგამაძის შესახებ გავრცელდა ხმები, რომ იგი ამ კანონპროექტს ლობირებს.

უპრიანი იქნება, შევეშვათ თარგამაძეზე საუბარს და დავუბრუნდეთ საკანონმდებლო ვაკუუმის სერიოზულ პრობლემას, რომლის შესახებაც კარგა ხანია საუბრობენ კერძო დაცვის სამსახურის წარმომადგენლები. **“ჩვენ კანონი არ გვკრძალავს და ამიტომაც ვარსებობთ”**, - აცხადებს კერძო დაცვის სამსახურის “გორდას” მენეჯერი გოჩა ცუცქირიძე. “გორდას” გენერალურ დირექტორს გია მერაბიშვილს ძალიან ეეჭვება, რომ პარლამენტი კანონს დეტექტური საქმიანობის შესახებ დროულად მიიღებს. თანაც, მერაბიშვილის აზრით, ამ კანონის მიხედვით, კერძო დაცვის სამსახურები მთლიანად იქნებიან დამოკიდებულნი სახელმწიფო სტრუქტურებზე: **“კანონპროექტით, დაცვის კერძო სამსახურის თანამშრომელს მოეთხოვება პოლიციაში მუშაობის სამწლიანი სტაჟი, თანრიგი, მართვის მოწმობა და სხვა ბევრი რამ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ლიცენზიები ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა მოგვცენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათთან მისვლა და თავის დახრა მოგვიწევს.”**

დაცვის კერძო სამსახურის თანამშრომელთა უმეტესობა ოდესღაც ძალოვან სტრუქტურებში იყო დასაქმებული, თუმცა “გორდას” მენეჯერი ცუცქირიძე ფიქრობს, რომ კანონმა მათ მაინც არ უნდა დაუწესოს ჩარჩო პოლიციაში სამწლიანი სამსახურის შესახებ, ვინაიდან ისინი დამოუკიდებლადაც კარგად არჩევენ პროფესიონალ კადრებს. “თანამშრომლებს მკაცრი კონკურსის წესით ვიღებთ. 1,80 მეტრზე ნაკლები სიმაღლის ახალგაზრდები ჩვენთან არ ირიცხებიან. მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სპორტული აღნაგობა და სპორტული მონაცემები. კონკურსისას მნიშვნელოვან ყურადღებას ვაქცევთ პიროვნების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. ჩვენს თანამშრომელთა 99 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს. რაც მთავარია, “გორდა” აპოლიტიკური ორგანიზაციაა, ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს სამსახურში არ ვიღებთ.”

თბილისში მოქმედი დაცვის კერძო სამსახურები ამ ეტაპზე რეგიონებში იწყებენ წარმომადგენლობების გახსნას. “გორდა” ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს დაცვის სამსახურისათვის საკმაოდ სარფიანი ქალაქის - ფოთის ხელმძღვანელობასთან, იქაურ ბიზნესმენებთან. სხვა საკითხებთან ერთად საქმე ეხება სხვადასხვა ქვეყნებში მიმავალი ტვირთების, ტრაილერების გაცილებას. თუმცა, “გორდას” ხელმძღვანელობა ამ თემაზე დაწვრილებითი საუბრისგან თავს იკავებს და აცხადებს: “თამამად იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჩვენ პირველები შევედით ფოთში და უკვე ადგილობრივ ტელევიზიას ვიცავთ.” რეგიონებში წარმომადგენლობები ე. წ. აბესაძის დაცვის ფირმასაც აქვს. სხვათა შორის, ეს ფირმა თბილისში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს, ამის აღიარება არც მის კონკურენტებს უჭირთ. “გორდა”, სხვა კერძო სამსახურების მსგავსად, უცხოელ ბიზნესმენებსაც იცავს, თუმცა ამის თაობაზე ინფორმაცია კონფიდენციალურია და ფირმის დირექტორი გია მერაბიშვილი გვარ-სახელებს არ აკონკრეტებს. ყოველ შემთხვევაში, ისინი პიტერ შოუს არ იცავდნენ.

“გორდას” მესვეურები ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებენ, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მათ ჰქონდათ აჭარაში წარმომადგენლობის გახსნის მცდელობა, რაც, რასაკვირველია, უშედეგოდ დასრულდა. აჭარაში დღეისათვის კერძო დაცვის სამსახურების არც ერთი წარმომადგენლობა არ ფუნქციონირებს(და, ალბათ, არც მომავალში იფუნქციონირებს).

დეტექტიური საქმიანობის შესახებ კანონპროექტის განხილვისას პარლამენტის კულუარებში იმასაც ამბობდნენ, რომ კერძო დაცვის სამსახურების გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვები, სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურების სასარგებლოდ, ერთი გარემოებითაც არის გამოწვეული. ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ აჭარაში სერიოზული კერძო დაცვის სამსახურის გაჩენის საშიშროებაზე, რომლის მართვაც, შეიძლება, თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებას ოდესღაც გაუჭირდეს. რამდენად სერიოზული მოსაზრებაა, სხვა საქმეა, მაგრამ ფაქტია, რომ შიში (მოჩვენებითი თუ რეალური) ნამდვილად არსებობს. სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, რომლებიც, ბუნებრივია, დაცვის კერძო სამსახურის ინტერესებს ნაკლებად იცავენ, ხშირად აცხადებენ: **“თუ კერძო ფირმებს იარაღის ტარების უფლება მივეცით, შეიძლება შეიარაღებული ფორმირებებიც კი გაჩნდეს (დღეისათვის კერძო სამსახურის თანამშრომლები თავიანთ კლიენტურას გაზის იარაღით იცავენ. დაცვის ფირმებს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება არ აქვთ).”**

თავის მხრივ, დაცვის კერძო სამსახურები საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში თავს შეზღუდულად გრძნობენ. “მართალია, კლიენტურის ნდობის ფაქტორი ჩვენდამი უფრო მაღალია, მაგრამ იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც სახელმწიფო სტრუქტურები გვჩაგრავენ. მათ ხელშია ძალაც და კანონებიც. დღეს ჩვენ კანონი არ გვკრძალავს, მაგრამ, იმედია, მომავალში დაგვიცავს კიდეც”, - აცხადებენ კერძო დაცვის სამსახურის წარმომადგენლები. კანონის მიღების გაჭიანურება კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, სავარაუდოდ, სახელმწიფო დაცვის სამსახურებში მოსალოდნელ რეფორმებსა თუ ძალთა გადანაწილებებს უკავშირდება. რამდენად არიან საქმის კურსში კერძო სამსახურები ამის შესახებ? – დღეისათვის მათი უმეტესობა ამ თემაზე საუბარს, რატომღაც, დუმილს ამჯობინებს.

# ძალოვანი უწყებები კვლავ ფინანსურ დიეტაზე არიან

გიორგი ასანიშვილი

*ხელისუფლებას ძალოვანი უწყებები ისევ ფინანსურ დიეტაზე ჰყავს: 2002 წლის პირველ ნახევარში მთავრობამ არ შეასრულა მათ მიმართ ნაკისრი საბიუჯეტო ვალდებულებები - თავდაცვის სამინისტრო დაფინანსდა 80 პროცენტით, უშიშროების სამინისტრო - 86 პროცენტით, დაზვერვის სამსახური - 77 პროცენტით, შინაგანი ჯარი - 85 პროცენტით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი - 76 პროცენტით, სახელმწიფო დაცვის სამსახური - 96 პროცენტით...*

პარლამენტარი ირაკლი ბათიაშვილი არ გამორიცხავს, რომ დესტაბილიზაცია, რომლის საშიშროების რეალურობაზეც დღეს ბევრი საუბრობს, სწორედ ძალოვანი სტრუქტურების მიმართ გამოჩენილი “სიძუნწის” გამო დაიწყოს.

**“არანორმალურია, როდესაც ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული და ამ საქმეში პარტნიორი სახელმწიფოები უზარმაზარ ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას გვიწევენ, ამ დროს კი ჩვენი მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო ელემენტარულ ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებენ,”** - აღშფოთებული საუბრობდა ბათიაშვილი გუშინ გამართული საკომიტეტო მოსმენის დროს, რომელზეც ძალოვანი უწყებების ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების საკითხი იხილებოდა.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა თხოვნით, ეს სხდომა, რატომღაც, დახურულად გამოცხადდა. ისე, ცოტა გაუგებარია, რა აქვს გასასაიდუმლოებელი უწყებას, რომელსაც წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ რაღაც 19 მილიონი ლარი უნდა მიეღო, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ თანხის მხოლოდ ოთხი მეხუთედით დაკმაყოფილდა. ასევე უცნაურია დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ავთანდილ იოსელიანის განცხადებაც იმის თაობაზე, რომ “რასაც აძლევენ, იმითაც კმაყოფილია.” არადა, მისმა სამსახურმა განვლილ ექვს თვეში სახელმწიფოსგან მხოლოდ 1,5 მილიონი ლარი მიიღო. თუ იოსელიანი ახერხებს, ამ ფულით დაზვერვის ნორმალური ფუნქციონირება უზრუნველყოს - ბარაქალა მის მოხერხებას.



ირაკლი ბათიაშვილი საკომიტეტო მოსმენაზე

ბესო გულაშვილის ფოტო

ძალოვანი სტრუქტურების და, საერთოდ, აღმასრულებელ უწყებათა ხელმძღვანელების თვითკმაყოფილებით და შექმნილი ვითარებისადმი მათი შემგუებლობით გაოცებულია პარლამენტარი ჯამბურ ბაკურაძე. **“ჯერ არ მინახავს მინისტრი, რომელიც იტყვის, ასეთ პირობებში ვერ ვიმუშავებ და სამსახურს ვტოვებო,”** - აღნიშნავს ფრაქცია “მრეწველების” წარმომადგენელი. მისივე თქმით, ძალოვანი უწყებების დაუფინანსებლობის მთავარი მიზეზი ბიუჯეტის შეუსრულებლობაა, რასაც, თავის მხრივ, კონტრაბანდის მაღალი დონე განაპირობებს.

**“ოფიციალური მონაცემებით, 2001 წელს საქართველოში სულ 41 პალტო არის შემოტანილი. თუ ამავე მონაცემებს ბოლომდე დავუჯერებთ, გამოვა, რომ, წესით, საქართველოში დღეს საცვალი არავის უნდა ეცვას,”** - დასძენს ბაკურაძე.

“უპალტოო და უსაცვლო ქვეყანაში” კი ძნელია ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. **“როდესაც სახელმწიფო ძალოვან სტრუქტურებს მინიმალური სახსრებითაც ვერ უზრუნველყოფს, როგორ უნდა მოვთხოვოთ პასუხი ამ უწყებებს ან მუშაობის რა ხარისხზე შეიძლება ვილაპარაკოთ?”** - გამოუვალ მდგომარეობაში გრძნობს თავს ირაკლი ბათიაშვილი.

მიუხედავად ამისა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე აპირებს, რკინის ქალამნები ჩაიცვას და ძალოვანი უწყებების დაუფინანსებლობისთვის დამნაშავე პირებს პასუხი მოსთხოვოს. ირაკლი ბათიაშვილს მიზანში, უპირველესად, ფინანსთა სამინისტრო ჰყავს ამოღებული და საკითხის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გატანას აპირებს.

**“ერთად გავბრაზდეთ ყველა, ჩვენც და პრეზიდენტიც,”** - შესთავაზა მან საკომიტეტო მოსმენის მონაწილეებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ძალოვნებისთვის ფინანსური დიეტა არც ისე უცხო ხილია, გავკადნიერდებით და გაბრაზების “აქციის” მონაწილეებს ერთ კეთილ რჩევას მივცემთ - ცივი წყალი ახლოს იქონიონ.

## "პრაისუოტერჰაუს კუპერსი" დააჯარიმეს

მსოფლიოს აუდიტორულ კომპანიათა შორის ერთ-ერთი უმსხვილესი – "პრაისუოტერჰაუს კუპერსი" ამერიკელებმა არასწორი აუდიტისა და დამოუკიდებლობის სტანდარტების დარღვევისათვის დააჯარიმეს. ამერიკის ფასიანი ქაღალდების კომისიამ კომპანია აუდიტის პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებაში – კლიენტთათვის ფინანსური კონსულტაციების გაწევაში დაადანაშაულა.

ეს ხდება მეორე აუდიტორული გიგანტის – "არტურ ანდერსენის" "სიცოცხლისათვის ბრძოლის" ფონზე. "არტურ ანდერსენმა" ზარალი მას შემდეგ განიცადა, რაც "ენრონის" დაცემასა და სხვა ახლო წარსულის სკანდალებში მისი მონაწილეობა დადასტურდა.

"პრაისუოტერჰაუს კუპერსი" დღემდე ამერიკულ სკანდალებს მიღმა რჩებოდა. მაგრამ ახლა აუდიტორული ფირმა დათანხმდა 5 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდაზე, რაც მას რამდენიმე კომპანიის ანგარიშების არასწორი შემოწმების გამო დაეკისრა. ამ კომპანიათა შორის კოსმეტიკის ცნობილი მწარმოებელი "ავონ"-იც აღმოჩნდა.

ახლა "ავონის" მთელი ბუღალტერია თავიდან უნდა გადამოწმდეს. აუდიტორთა თანხმობით, ხარჯები ისე ითვლებოდა, რომ რეალურად არსებულზე ნაკლები გამოჩენილიყო.

მოზრდილი ჯარიმის გადახდასთან ერთად, "პრაისუოტერჰაუს კუპერსი" თავისი პროცედურების გამკაცრებითაც "დაიმუქრა".

"ენრონის" დაცემით დაწყებულ სკანდალებში საერთო ტენდენცია შეინიშნება. აუდიტორული კომპანიები "არტურ ანდერსენი" და მისი უფრო დიდი კონკურენტი "პრაისუოტერჰაუს კუპერსი", როგორც ჩანს, ძალიან უახლოვდებიან საკუთარ კლიენტებს და მათ შემოსავლების "გალამაზებაში" ეხმარებიან.

"პრაისუოტერჰაუს კუპერსი"-ს ბოლო დარღვევა, როგორც ჩანს, არც ისეთი მნიშვნელოვანია, როგორც "ანდერსენისა" და "ენრონის" შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ის მსხვილ კომპანიებსა და იმ აუდიტორებს შორის, ვინც ამ კომპანიებს საზოგადოების მხრიდან თვალყური უნდა ადევნოს, გარიგების გარკვეული კულტურის არსებობას ადასტურებს.

## "ნესტლემ" რუსული წყალი იყიდა

კომპანია "ნესტლე ვოთარს გრუპმა" წყლის ჩამომსხმელი რუსული წარმოება "სვიატოი ისტოჩნიკი" შეისყიდა. ამ გარიგების ფინანსური კონსულტანტი კომპანია "რენესანს კაპიტალი" გახლდათ. თუმცა, გარიგების ღირებულება უცნობია.

კომპანია "სვიატოი ისტოჩნიკი" 1994 წელს დაარსდა და რუსეთში ჩამოსასხმელი წყლის ყველაზე დიდ მწარმოებლად იქცა. "ნესტლე ვოთარს გრუპი", რომელიც შედის მსოფლიოს უმსხვილეს ჰოლდინგში "ნესტლე", აკონტროლებს ჩამოსასხმელი წყლის ისეთ დიდ წარმოებებს, როგორებიცაა "ვიტელი" და "პერიერი".

## "ფილიპსი" რეკორდულ ზარალს ითვლის

"როიალ ფილიპს ელექტრონიქსის" ფინანსური შედეგების ანგარიშის მიხედვით, მეორე კვარტალში კომპანიის სუფთა წაგებამ 1,36 მილიარდი ევრო შეადგინა. 2001 წლის იმავე პერიოდის წაგება კი, 770 მილიონი ევრო იყო.

კომპანიის პრესრელიზში ნათქვამია, რომ ზარალის მიზეზი უკავშირდება მედია-ჰოლდინგ "ვივენდი უნივერსალში" "ფილიპსის" კუთვნილი სამპროცენტიანი წილის ჩამოწერას. როგორც ცნობილია, "ვივენდი უნივერსალი", აღმასრულებელი დირექტორის ჟანამარი მესიეს თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, კომპანიის ბიზნესის რეორგანიზაციის სტადიაში იმყოფება. "ფილიპსის" ჩამოწერილი წილის მთლიანმა რაოდენობამ 1,65 მილიარდი დოლარი შეადგინა. "ფილიპსის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ აქტივების ჩამოუწერლობის შემთხვევაში, 2002 წლის მეორე ნახევარი 171 მილიონი დოლარის მოგებით დასრულდებოდა.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2002 წლის მეორე ნახევარში "ფილიპსის" გაყიდვები ოთხი პროცენტით გაიზარდა.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 13-19 ივლისის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6394 | 0.6424 | 0.0055 |
| US$ | 1.564 | | 1.0048 | 0.0086 |
| €uro | 1.5568 | 0.9952 | | 0.0085 |
| ¥en | 182.21 | 116.56 | 117.03 | |

### 2002 წლის 19 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.2196 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4521 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5152 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2050 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3356 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1890 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0699 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4518 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3899 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1387 ლარი |

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
ჯორჯიან რისარჩი სატელევიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მაისიდან.
ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

## სავალუტო ფონდი საქართველოს დახმარებას უზრდის

წელს ქვეყანამ ფონდისგან, შესაძლოა, 60 მილიონი დოლარი მიიღოს

ზვანცა კვინიკაძე

*საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისია გუშინ საქართველოს ხელდამშვენებული ეწვია: მისიის ხელმძღვანელმა,* ***დევიდ ოუენმა*** *ფონდის დირექტორთა საბჭოს მიერ ერთი კვირის წინ გამოყოფილი 30 მილიონ დოლარიანი კრედიტის საქართველოს ეროვნულ ბანკში გადმორიცხვის თარიღი დაასახელა. ამ ნანატრ, მაგრამ, ამავე დროს, მოულოდნელად, საკმაოდ უპრობლემოდ გამოყოფილ კრედიტს, საქართველო 26 ივლისს მიიღებს. თუმცა, ეს არ იყო ქართული მხარისთვის ერთადერთი სასიამოვნო სიურპრიზი. სსფ-ს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ფონდმა საქართველოს წლიური დახმარების მოცულობა დაგეგმილი 50 მილიონიდან 60 მილიონამდე გაუზარდა. ასე რომ, თუ საქართველო წლის მეორე ნახევარშიც ასევე გულდასმით შეასრულებს ფონდის მოთხოვნებს, ნოემბერ-დეკემბერში მეორე 30 მილიონიან ტრანშს მიიღებს.*

პირველი სამუშაო შეხვედრა დევიდ ოუენმა, ტრადიციულად, ეკონომიკური რეფორმების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველთან, **თემურ ბასილიასთან** გამართა. საქართველოსთვის პროგრამის აღდგენის ძირითად მიზეზად, ოუენი საქართველოს მთავრობის მიერ წლის პირველ ექვს თვეში მიღწეულ ეკონომიკურ შედეგებს, კერძოდ კი, საგადასახადო შემოსავლების პარამეტრის შესრულებას ასახელებს, რითაც სსფ-ს დირექტორთა საბჭო კმაყოფილი დარჩა. გარდა ამისა, მისიის ხელმძღვანელის თქმით, პროგრამის აღდგენით, ფონდი საქართველოს რთული საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის ნეგატიური გავლენისგან დაცვას შეეცადა.

ქართული მხარის აზრით, სსფ-ს პროგრამის აღდგენისთვის საგადასახადო შემოსავლების პარამეტრების შესრულება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა იყო. თემურ ბასილიას განცხადებით, ფონდის გადაწყვეტილებაზე პარლამენტის მიერ მიღებულმა იმ საგადასახადო შესწორებებმაც იქონიეს გავლენა, რომლებიც ამ საფინანსო ინსტიტუტის მოთხოვნებს შეესაბამებოდა. თუმცა, იგი სსფ-ს გადაწყვეტილებაზე არც სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, პოლიტიკური ფაქტორების გავლენას გამორიცხავს.

ჯერჯერობით, სსფ-ს მისიის ხელმძღვანელი საქართველოს ხელისუფლებისადმი წასაყენებელ ახალ მოთხოვნებზე არ საუბრობს. კონკრეტული შენიშვნები და რეკომენდაციები ვიზიტის დასასრულ, ანუ მომავალი კვირის ბოლოს ჩამოყალიბდება. ცნობილია, რომ მისია განსაკუთრებულ ყურადღებას მომდევნო თვეების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და ენერგოსექტორის ვალების დაფარვის საკითხებს, აგრეთვე 2003 წლის ბიუჯეტის პარამეტრების განხილვას დაუთმობს. მომდევნო წლის ბიუჯეტზე მისიასთან მუშაობა ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა, სადაც სამუშაო შეხვედრებს დევიდ ოუენი დღეიდან დაიწყებს, თუმცა, თავდაპირველად იგი სახელმწიფო მინისტრს შეხვდება.

## ო`ნილი საქართველოს კმაყოფილი ტოვებს

ქართული ეკონომიკის პრობლემებზე დუმილი მან ბოლომდე შეინარჩუნა

პირველი გვერდიდან

"24 საათის" კითხვაზე, თუ როგორ აფასებს იგი საქართველოს ბიზნეს-გარემოს, ბიზნესის გამჭვირვალობის ხარისხს და ფულის გათეთრების მხრივ არსებულ მდგომარეობას, აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. ასეთი თავშეკავება მართლაც გასაკვირია იმ მკაცრი ტონის გათვალისწინებით, რითაც ო`ნილი უკრაინის ხელისუფალთ საქართველოში ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ესაუბრა. უკრაინისგან ო`ნილმა არა მხოლოდ ბიზნეს-გარემოსა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის გაუმჯობესება, არამედ მსოფლიოს წესებით თამაშიც მოითხოვა. იგივე პრობლემები საქართველოსაც აქვს, თუმცა ამერიკელებს მათ შესახებ პრეტენზიები (ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ) არ დასცდენიათ.

ეფექტური სამუშაო ადგილების შექმნის საუკეთესო მაგალითად ო`ნილმა გუშინ მონახულებული მანგანუმის მარილების მწარმოებელი საწარმო - "ჯორჯია ინჯინერინგი" დაასახელა. ეს საწარმო, რომლის 20 პროცენტის მფლობელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტია, დანარჩენი კი კერძო მეწარმეთა ხელშია, შარშანდლიდან საკმაოდ ძვირადღირებულ ქიმიკატებს აწარმოებს და მისი პროდუქციის ასივე პროცენტი ექსპორტზე ევროპის ბაზრებზე გადის. აშშ-ს ფინანსთა მინისტრის მხრიდან საწარმოს მონახულების სურვილის გამოთქმა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, თამაზ აგლაძისთვის მოულოდნელი იყო. თუმცა, მისი განცხადებით, ამერიკელთა ინტერესს სერიოზული საფუძველი აქვს. საქმე ის არის, რომ "ჯორჯია ინჯინერინგში" ინვესტირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია (EBRD) დაინტერესებული. საუბარია, დაახლოებით, 1.5-2 მილიონი დოლარის ინვესტიციაზე,


*ო`ნილი*
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რაც საწარმოს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და წარმოების მოცულობის გაზრდაში დაეხმარება. მნიშვნელოვანია, რომ EBRD, ამ ინვესტიციის მეშვეობით, საწარმოს მეწილე გახდება. ეს იქნება პირველი შემთხვევა საქართველოსთვის, როცა ეს მძლავრი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ქართული სამრეწველო საწარმოს (EBRD რამდენიმე ქართული ბანკის აქციონერი უკვე არის) მეწილე სახელმწიფო გარანტიების მიღების გარეშე გახდება. იმის გამო, რომ აშშ EBRD-ში ქართული წილის მმართველია, ამ ქვეყნის ფინანსთა მინისტრის დაინტერესება საწარმოსადმი, რომელშიც საკმაოდ სოლიდური ინვესტირება ამერიკის დასტურით უნდა განხორციელდეს, ბუნებრივია. აგლაძის განცხადებით, ო`ნილი, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მისვლამდე ალუმინის წარმოებაში მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კომპანია Alcoa-ს ხელმძღვანელობდა, საქმის არსს კარგად ჩაწვდა და საწარმოს მიერ გაწეულ სამუშაოს საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა. ო`ნილის განწყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ევრობანკს "ჯორჯია ინჯინერინგში" ინვესტირების განხორციელების რეკომენდაციას, ალბათ, მისცემს. ასეთ შემთხვევაში, ქართულმა საწარმომ EBRD-ს ინვესტიცია, შესაძლოა, უკვე წლის ბოლოს მიიღოს.

ამრიკის მთავრობის მაღალჩინოსანს გუშინ, საქართველოდან გამგზავრებამდე "ჯორჯია ინჯინერინგზე" გაცილებით წვრილი ობიექტის, მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე მაღაზიის მონახულებაც არ დავიწყებია. მისი ინტერესი მცირე ბიზნესის ამ წარმომადგენლის მიმართ იმით აიხსნება, რომ მაღაზია მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში გაცემული კრედიტით გაიხსნა.

## არასამთავრობოები პრივატიზაციის პროცესში ჩაერთვებიან

მთავრობასა და არასამთავრობო სექტორს შორის გაერთიანება შედგა

სოფო კვინტრაძე

**"მე დავრწმუნდი, რომ საჭიროა ინფორმაციის მეტი გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან უფრო აქტიური თანამშრომლობა,"** - ამ სიტყვებით შეხვდა ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი სამინისტროში შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებს. სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის საჯაროობისა და გამჭვირვალობის მიზნით, ქონების მართვის სამინისტრო და არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებრივი თანამშრომლობის სათათბირო საბჭოს ქმნიან.

**"ჩვენი თანამშრომლობა შეეხება ქონების მართვის სამინისტროში მიმდინარე ყველა პროცესს, ანუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების პრივატიზაციას და მართვას, დივიდენდების განაწილებას, სახელშეკრულებო ვალდებულებათა კონტროლს. არასამთავრობოები მიიღებენ სრულ ინფორმაციას და, რაც მთავარია, იქნება ამ პროცესების გამჭვირვალობა,"** – აცხადებს სოლომონ პავლიაშვილი.

სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორის ერთობლივი მუშაობა საკონსულტაციო ხასიათის იქნება. სათათბირო საბჭო თვეში ერთხელ შეიკრიბება და ქონების მართვის სამინისტროს საქმიანობას გაეცნობა.

ქონების მართვის მინისტრი არ გამორიცხავს, რომ სამინისტროსა და არასამთავრობოებს შორის საკმაოდ მწვავე ურთიერთობა იქნება, რადგან სამინისტროს მიერ სახელმწიფო ქონების გაყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები საზოგადოებაში საკმაოდ არაპოპულარულია.

**"მე უკვე ვგრძნობ, რომ ხშირად მათ არ დავეთანხმები, მაგრამ ჩემთვის მთავარია, სამინისტროს მიერ მიღებული ობიექტური გადაწყვეტილებები სწორად იქნას გაგებული საზოგადოების მიერ,"** – აცხადებს სოლომონ პავლიაშვილი.

ქონების მართვის სამინისტროში საკმაოდ მრავალფეროვანი პროფილის ასამდე არასამთავრობო ორგანიზაცია შეიკრიბა, ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანის დასახელებაც კი კმარა: "საქართველოს არასამთავრობო სექტორისა და მთავრობის ურთიერთობათა ეროვნული ცენტრი," "საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი," "საოჯახო განვითარების საბჭო," "ახლაგაზრდობის განვითარების ცენტრი," "ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი," "ვაკის გონებრივი განვითარება," "საქართველოს იურისტთა კავშირი," "ღვთისშვილთა კავშირი," "ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია," "ქალი და ბიზნესი" და სხვა. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, შეხვედრაზე მისული ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ერთხმად ეთანხმებოდა ქონების მართვის სამინისტროს ინიციატივას. მეტიც, ბევრმა წარმომადგენელმა სახალხოდ ხოტბა შეასხა სოლომონ პავლიაშვილს და სანამ საქმიანი შეხვედრა მის ბენეფისად გადაიქცეოდა, მინისტრმა არასამთავრობოებს მემორანდუმზე ხელის მოწერა შეახსენა.

**"მთავარია, რომ ქონების მართვის მინისტრს აქვს ნება, ითანამშრომლოს საზოგადოებრივ სექტორთან, რაც გვაძლევს იმედს, რომ ეს მემორანდუმი, რომელსაც ახლა ხელი მოვაწერეთ, არ დარჩება მარტო ქაღალდზე ხელმოწერილი და რეალურად განხორციელდება,"** - აცხადებს "საქართველოს არასამთავრობო სექტორის და მთავრობის ურთიერთობის ეროვნული ცენტრის" თავმჯდომარე ნიკა გელაშვილი.

ასე რომ, შეთანხმება მთავრობასა და არასამთავრობოებს შორის შედგა. საინტერესოა, რამდენად გამართლდება მხარეების ოპტიმიზმი და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება რეალურად მოხდება თუ არა.

## დოლარის დაცემა ყველაზე მძიმედ იაპონიაზე მოქმედებს

თორნიკე შარაშენიძე

*ამერიკაში განვითარებულ კორპორაციულ სკანდალებსა და დოლარის კურსის დაცემას თავად აშშ-ზე არ უმოქმედია ისე უარყოფითად, როგორც იაპონიაზე. იენის კურსის გამაგრებამ დოლართან მიმართებაში ამომავალი მზის ქვეყანა დააზარალა. საქმე ისაა, რომ ადგილობრივი ვალუტის სისუსტე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, რაც რეცესიაში მყოფი იაპონიის ეკონომიკისათვის უდიდესი შვებაა. მაგრამ მიმდინარე მოვლენების ფონზე იაპონური ექსპორტი არამც თუ გაიზრდება, არამედ, ალბათ, მკვეთრად დაეცემა (მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამომავალი მზის ქვეყნის ექსპორტის უდიდესი ნაწილი სწორედ ამერიკის ბაზარზე მოდის). თუკი ჯერ კიდევ წლის დასაწყისში 1 დოლარი 135 იენს უტოლდებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 16-ზე ჩამოვიდა. ეს სარეკორდო მაჩვენებელია ბოლო 17 თვის განმავლობაში. საქმეს ვერ შველის ვერც იაპონიის ბანკის ინტერვენციები, რომელიც აშშ-სა და ევროპის ცენტრალურ ბანკებთან ერთად (ისინიც თავის მხრივ დოლარის დაცემით არიან შეშფოთებულნი) დიდი რაოდენობით იენებს ყიდის და დოლარებს ყიდულობს.*

ამერიკული ვალუტის დაცემა ევროპაზეც საკმაოდ მძიმედ მოქმედებს – ამ უკანასკნელის ეკონომიკა ამერიკისას საკმაოდ ჩამორჩებოდა (და ჩამორჩება კიდეც) და ამ ფაქტორის ერთგვარ კომპენსირებას ძველი კონტინენტი სწორედ ექსპორტის ხარჯზე ახდენდა. სწორედ ამის წყალობით ასცდა შარშან რეცესიას გერმანია – მაშინ ევრო გვარიანად ჩამორჩებოდა ამერიკულ ვალუტას.

თუმცა, ევროპის პრობლემები იაპონიასთან მოსატანი მაინც არაა, რადგან ამომავალი მზის ქვეყანა ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებული და ახლა იენის გამაგრების გამო ექსპორტი გვარიანად გაძვირდა. განსაკუთრებით ზარალდებიან ელექტროგიგანტები, რაც საფონდო ბირჟაზე მომენტალურად აისახება: მაგალითად, "სონის" აქციათა კურსი უკვე 5 პროცენტით დაეცა. ამ კომპანიის ორი მესამედი სწორედ ექსპორტზე მოდის. "სონიმ" გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ წელს მისი შემოსავალი სულ მცირე 8 მლრდ დოლარით შემცირდება.

იაპონური და საერთოდ არაამერიკული ექსპორტიორების ამგვარი გასაჭირი, ცხადია, მშვენიერ შანსს უქმნის აშშ-ის კომპანიებს, რომელთაც გვარიანად ავიწროებდა უცხოური საქონელი. აქედან გამომდინარე, ამერიკა არც ისე შეწუხებული უნდა იყოს დოლარის დაცემით. შეიძლება, დოლარის დაცემამ დიდად არ იმოქმედოს, დავუშვათ, ჩინურ ექსპორტზე, რომელიც ისედაც მეტისმეტად იაფია, მაგრამ ევროპულ და, მითუმეტეს, იაპონურ საქონელს აშკარად დიდი პრობლემა შეექმნება. თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ორიოდე წლის წინ ვაშინგტონმა ლამის ულტიმატუმით მიმართა ტოკიოს, რათა მას რაიმე ეღონა იენის გასამაგრებლად და ამგვარად აღეკვეთა იაპონური საქონლის მიერ ამერიკის ბაზრის წალეკვა, აშშ დიდად დადარდიანებული არ უნდა იყოს ადგილობრივი ვალუტის პრობლემებით.

# მორიგი ტერორისტული აქტი თელ-ავივში

კიდევ ერთი ტერორისტული აქტი მოხდა ოთხშაბათს ღამით ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში. ორი პალესტინელი კამიკაძე-ტერორისტის მიერ განხორციელებულ აფეთქებას ნევე შაანანის ქუჩაზე 5 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ორმა ტერორისტმა ერთმანეთისაგან 15 მეტრის დაშორებით, დაახლოებით, ნახევარწუთიან მონაკვეთში აიფეთქა თავი. მათთან ერთად აფეთქებას კიდევ 3 ადამიანი შეეწირა, რომელთაგან ერთი უცხოელია. 40-მდე ადამიანი, ძირითადად, უცხოელები, დაიჭრა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა აიღო.

ტერაქტი დაგმეს როგორც აშშ-სა და ისრაელის მთავრობებმა, ისე თავად პალისეტინის ადმინისტრაციამ. ოღონდ, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ისრაელი დამნაშვეა ისეთი გარემოს შექმნაში, რომელიც ექსტრემიზმის გაღვივებას უწყობს ხელს.

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ისრაელის მთავრობა აცხადებდა, რომ მისი ჯარების მიერ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ქალაქების ოკუპაციამ შედეგი გამოიღო და ტერაქტების სერია შეწყდა. შარონი თავს იწონებდა იმით, რომ მისმა უკომპრომისო პოლიტიკამ გაამართლა. ამ განცხადებების შემდეგ, სამშაბათს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ემანუელის ებრაულ დასახლებაში ავტობუსი დაცხრილეს, რასაც 8 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ოთხშაბათს კი ხსენებული ტერაქტი მოხდა.

ამასობაში ვაშინგტონში სამშვიდობო მოლაპარაკებები გრძელდება, რომელშიც, ამერიკასთან ერთად, ეგვიპტე და იორდანია მონაწილეობენ. ბევრი მიიჩნევს, რომ ეს მოლაპარაკებები თავიდანვე განწირულია, რადგან აშშ-სა და ისრაელის პოზიციას, არაფატის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შესახებ, სხვა ქვეყნები არ იზიარებენ იმ მოტივით, რომ იგი დემოკრატიულად არჩეული მმართველია. ევროკავშირის ხელისუფლება წინ აღუდგა არაფატის კორუფციაში დადანაშაულების მცდელობასაც და განაცხადა, რომ პალესტინისათვის გაწეული დახმარება ძალზე ეფექტურად არის გამოყენებული.

შარონს "ბე გეგმაც" აქვს იმ შემთხვევისათვის, თუ სამშვიდობო პროცესი ჩავარდა. გეგმა ისრაელსა და დასავლეთ სანაპიროს შორის კედლის მშენებლობას ითვალისწინებს. მაგრამ თუ კედელი ისე აშენდა, რომ პალესტინის სახელმწიფო არ გამოცხადდა, საერთაშორისო ორგანიზაციები შემთხვევას არ გაუშვებენ ხელიდან, ისრაელი აპარტეიდის პოლიტიკაში დაადანაშაულონ.

**ტერაქტი თელ-ავივში**

ოთხშაბათს ღამე, ისრაელის სანაპირო ქალაქ თელ-ავივში ორმა პალესტინელმა თავი აიფეთქა. აფეთქების შედეგად დაიღუპა 5 და დაშავდა 40-ზე მეტი ადამიანი.




© GRAPHIC NEWS



*ტერაქტს 5 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა* REUTERS

# მოლდოვა: ფედერალური სახელმწიფო სამი მეურვით?

შოთა უტიაშვილი

რუსეთმა, უკრაინამ და ეუთო-მ მოლდოვის ხელისუფლებასა და დნესტრისპირეთის სეპარატისტულ მთავრობას კონფლიქტის მოგვარების საბოლოო გეგმა წარუდგინეს. გეგმა მოლდოვას ფედერალიზაციას ითვალისწინებს, შეთანხმების გარანტად და მხარეებს შორის არბიტრად კი რუსეთს, უკრაინასა და ეუთო-ს ასახელებს.

ფედერალურ მოლდოვას, სავარაუდოდ, ორი სუბიექტი ეყოლება: დნესტრისპირეთი და საკუთრივ მოლდოვა. ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: თავდაცვა, უსაფრთხოება და საზღვრების კონტროლი, საგარეო პოლიტიკა, მოქალაქეობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ენერგეტიკა და კავშირგაბმულობა, საბაჟო, სახელმწიფო ქონების მართვა და შიდა ბაზრის რეგულირება, ფულის ემისია და იარაღით ვაჭრობა. სხვა საკითხები ავტონომიური ერთეულების კომპეტენციაში რჩება. მართალია, საგარეო პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, მაგრამ ცენტრს საერთაშორისო ურთიერთობებში მაინც მოუწევს "დნესტრისპირეთის ინტერესების გათვალისწინება".

ქვეყნის ფედერალიზაცია, ბუნებრივია, მის პოლიტიკურ მოწყობაზეც აისახება. კერძოდ, ერთპალატიანის ნაცვლად, შეიქმნება ორპალატიანი პარლამენტი. სუბიექტებს, ე.წ. ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ ერთეულებს, ეყოლებათ საკუთარი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, თუმცა, ფედერალური კონსტიტუცია ყველა ერთეულის უზენაესი კანონი იქნება.

რაც შეეხება არმიას, ამჟამად, დნესტრისპირეთს 7000-იანი არმია ჰყავს. ეს ჯარი რუსების მიერ არის გაწრთვნილი და შეიარაღებული და უფრო ბრძოლისუნარიანია, ვიდრე მოლდოვას არმია. შეთანხმების თანახმად, ახალ სახელმწიფოს, გარდამავალი პერიოდის მანძილზე, ორი ჯარი ეყოლება, რომელიც ბოლოს ერთიან არმიად უნდა ჩამოყალიბდეს. ექსპეტები ერთხმად მიანიშნებენ იმ საფრთხეზე, რომელიც დნესტრისპირეთის უკანონოდ აღიარებული არმიის ლეგიტიმაციას შეიძლება მოჰყვეს, მით უმეტეს, რომ ხსენებული გარდამავალი პერიოდი როდის დასრულდება, არავინ არ იცის. დოკუმენტი არ განსაზღვრავს დნესტრისპირეთის უშიშროების სამსახურის მომავალს, რაც მის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

გარდამავალ პერიოდში გათვალისწინებულია ქვეყანაში რუსეთის სამშვიდობო ძალების დარჩენა, რომელსაც უკვე ეუთო-ს სამშვიდობო მისია დაერქმევა. მასში შეიძლება მცირე უკრაინული კონტიგენტიც შევიდეს, თუმცა, დასავლეთის ქვეყნების სამშვიდობო ჯარების შესვლას რუსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მართალია, თეორიულად, სამშვიდობო ძალების ყოფნა სავსებით კანონიერია, მაგრამ, პრაქტიკულად, იგი საერთაშორისო სტატუსს ანიჭებს რუსულ კონტიგენტს და, რაც მთავარია, საშუალებას აძლევს მას, გვერდი აუაროს ეუთო-ს სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებას, რომელიც რუსეთს წლის ბოლომდე რეგიონიდან ჯარების გაყვანას ავალდებულებს.

რაც შეეხება ახალი ორპალატიანი პარლამენტის არჩევნების ჩატარებასა და "გარდამავალი პერიოდის" ხანგრძლივობას, დოკუმენტი მიახლოებით ვადებსაც არ ასახელებს. როგორც ჩანს, პროგრესი მხარეთა კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, ხაზს უსვამენ ერთ გარემოებასაც, რაც ცენტრალური ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. თუ დნესტრისპირეთში არჩევნები ჩატარდა, სავსებით რეალურია, რომ გაიმარჯვონ მოლდოვას კომუნისტი პრეზიდენტის, ვორონინის მომხრეებმა და არა სეპარატისტების ლიდერების, სმირნოვისა და ანტიუფიევის მხარდამჭერებმა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელნი მთლიანად მოსკოვზე არიან დამოკიდებული და მაშინ "გავლენ პენსიაზე", როდესაც კრემლი მოითხოვს. ორივე მათგანმა საკმაოდ მოითბო ხელი კონტრაბანდული ვაჭრობითა და რუსული სუბსიდიებით.

ექსპერტთა გაოცება გამოიწვია საერთაშორისო გარანტთა სიის შემადგენლობამაც. აქ რუსეთი წარმოდგენილია როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ, ეუთო-ს მეშვეობით, მაშინ როდესაც დასავლეთი და ნატო მხოლოდ არაპირდაპირა არის წარმოდგენილი. აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტებისაგან განსხვავებით, სადაც დასავლეთი, თუნდაც სიმბოლურად, მაგრამ მაინცაა წარმოდგენილი (ყარაბაღში "მინსკის ჯგუფისა" და საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიისა და საქართველოს საკითხებში გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის სახით), მოლდოვაში რუსეთმა თავიდანვე კატეგორიულად უარყო დასავლეთის ყოველგვარი როლი. მედიატორთა ჯგუფში არათუ აშშ ან ევროკავშირი, მოლდოველების "ეთნიკური ბიძაშვილები", რუმინელებიც კი არ შედიან. პროდასავლური უკრაინის მონაწილეობა ბევრს არაფერს ცვლის, რადგან დნესტრისპირეთის საკითხში უკრაინას ნეიტრალური დამკვირვებლის პოზიცია უკავია. ერთი სიტყვით, რუსეთი კონფლიქტის დასრულებას და ამ პროცესზე კონტროლს, შეიძლება ითქვას, მთლიანად თავის თავზე იღებს. ამან კი, შეიძლება, არა დნესტრისპირეთის მოლდოვაში დაბრუნება, არამედ მოლდოვის დნესტრისპირეთთან (როგორც რუსეთის ექსკლუზიური გავლენის ზონასთან) მიერთება გამოიწვიოს, თუკი, რა თქმა უნდა, ამ დოკუმენტის მიღებას რაიმე გაგრძელება მოჰყვება.

# "მანდელა იუნაიტედის" აღსასრული

დღეს სამხრეთ აფრიკის ქალაქ პრეტორიის სასამართლო განიხილავს თაღლითობისა და ქურდობის საქმეს, რომელშიც მთავარი ეჭვმიტანილი ვინი მანდელაა. მას ბრალი ედება, ყალბი ხელმოწერების გამოყენებით, არარსებული პიროვნებების სახელზე კრედიტების აღებაში. ამ გზით ყოფილმა პირველმა ლედიმ 100 ათას დოლარზე მეტი მიითვისა.

27 წლის მანძილზე, რომელიც ნელსონ მანდელამ ციხეში გაატარა, მისი მეუღლე ვინი მანდელა მის ყველაზე ერთგულ მეგობრად და თანამებრძოლად ითვლებოდა. 50-იანი წლებიდან მოყოლებული იგი აქტიურად იბრძოდა ქალებისა და შავკანიანების უფლებების დაცვისათვის. იგი ერთხელ სიკვდილმისჯილთა სიაშიც კი მოხვდა. მან დააფუძნა აფრიკის ეროვნული კონგრესის ქალთა ლიგა – პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც დღემდე დიდი გავლენით სარგებლობს. აპარტეიდის დროსა და მისი დასრულების შემდეგ, როდესაც ნელსონ მანდელა პრეზიდენტი გახდა, წყვილის საერთაშორისო ავტორიტეტმა პიკს მიაღწია. სამხრეთ აფრიკაში ვინის "ერის დედას" უწოდებდნენ. მას შემდეგ ათი წელი გავიდა. მანდელას საერთაშორისო ავტორიტეტი კვლავინდებურად ურყევია, მისი მეუღლის რეპუტაციისაგან კი აღარაფერი დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ვინი სასამართლოში მოხვდა. 80-იანი წლების ბოლოს მან შექმნა გასამხედროებული გაერთიანება, რომელსაც "საფეხბურთო კლუბი მანდელა იუნაიტედი" დაარქვა. ეს მაფიოზური ჯგუფი სასტიკად უსწორდებოდა აპარტეიდის მხარდამჭერებს და "პირველი ლედის" ყველა ოპონენტს. 1989 წელს მათ გაიტაცეს და მოკლეს ერთ-ერთი მოწინააღმდეგე. მაშინ ვინი მანდელა ციხისაგან მხოლოდ უზარმაზარი ჯარიმის გადახდამ იხსნა. მანდელას მთავრობაში იგი მინისტრის მოადგილე გახდა, მაგრამ მალე გაათავისუფლეს ქედმაღლობისა და სუბორდინაცის დარღვევისათვის. მას, როგორც დეპუტატს, პრობლემები შეექმნა პარლამენტის ეთიკის კომისიასთანაც. ნელსონ მანდელა იძულებული გახდა, ცოლს გაშორებოდა. იმასაც ამბობენ, რომ ვინი მას ერთ-ერთ პირად მცველთან ღალატობდა. მეორე მხრივ კი, ვინც ვინი მანდელას ახლოს იცნობს, ამბობს, რომ ის გრაციისა და მომხიბვლელობის განსახიერებაა, ქალი, რომლის იგნორირებაც შეუძლებელია.

ყველაფრის მიუხედავად, ქალბატონი მანდელა მოითხოვს, რომ მას ისევ ისე მოეპყრან, როგორც "პირველ ლედისა" და "ერის დედას". იგი დასცინის მოწმეებს, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, მოითხოვს, რომ მისი შეიარაღებული დაცვა სასამართლო დარბაზში დაუშვან და ძალზე უკვირს, რამდენიმე ასეული ათასისთვის მისი გასამართლება როგორ გაბედეს. არადა, მას 15 წლით პატიმრობა ემუქრება, რასაკვირველია, თუ სასამართლო სამხრეთ აფრიკელი ლუმპენების "დედის" ციხეში გაგზავნას გაბედავს.



*ნელსონ მანდელა მეუღლესთან ერთად* REUTERS

ამბები

# რას ფიქრობენ ამერიკელები პრეზიდენტ ბუშსა და მის ადმინისტრაციაზე?

11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ამერიკელების ნდობა მთავრობისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ბოლო პერიოდის კორპორატიული სკანდალებისა და ეკონომიკური პრობლემების შედეგად, ამერიკელების დამოკიდებულება პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის მიმართ იცვლება. CBS News-მა ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ჩაატარა.

გამოკითხვის შედეგებით, მთავრობას, ყოველთვის ან ხშირ შემთხვევაში, ამერიკელთა მხოლოდ 38 პროცენტი ენდობა. აღსანიშნავია, რომ 2001 წლის ოქტომბერში ეს მაჩვენებელი 55 პროცენტს შეადგენდა. 61 პროცენტი ზოგჯერ ენდობა ან საერთოდ არ ენდობა მთავრობას, მაშინ, როდესაც 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, ასე მხოლოდ 44 პროცენტი ფიქრობდა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ბოლო პერიოდში შეიცვალა ამერიკელების დამოკიდებულება ქვეყნის განვითარების მიმართულების საკითხთან დაკავშირებით. ისევე, როგორც 11 სექტემბრამდე, გამოკითხულთა თითქმის 50 პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის. 2001 წლის ოქტომბერში ასე მხოლოდ 35 პროცენტს მიაჩნდა.

ბოლო პერიოდის კორპორატიულმა სკანდალებმა ამერიკული პარტიების იმიჯზეც მოახდინა გავლენა. ორივე პარტიის პოპულარობა მოსახლეობაში თითქმის თანაბარია, განსხვავებულია დამოკიდებულება კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. თუმცა, ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ დემოკრატებიცა და რესპუბლიკელებიც დიდი ბიზნესის ძლიერი გავლენის ქვეშ არიან, მაგრამ ეს გავლენა რესპუბლიკელებზე გაცილებით უფრო დიდია. გამოკითხულთა 53 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბიზნესი უფრო ძლიერ გავლენას ახდენს რესპუბლიკელებზე, მხოლოდ 17 პროცენტი კი – დემოკრატებზე. გარდა ამისა, 58 პროცენტი თვლის, რომ რესპუბლიკელები უფრო დაინტერესებულნი არიან კორპორატიული ინტერესების დაცვით, ვიდრე რიგითი ამერიკელების ინტერესებისა. ჩვეულებრივი მოქალაქეების პრობლემებს უფრო დიდი გულისყურით დემოკრატები ეკიდებიან – ასე მიაჩნია გამოკითხულთა 51 პროცენტს. დემოკრატები უფრო კარგად უმკლავდებიან საშინაო პრობლემებსაც, როგორებიცაა: ჯანდაცვა, სოციალური უსაფრთხოება და გარემოს დაცვა, მაშინ, როცა რესპუბლიკელები ეროვნული თავდაცვითი პოლიტიკის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჩათვლით, უკეთესი ოსტატები არიან.

კითხვარის ერთი ბლოკი ეხება პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას. ამერიკელები პრეზიდენტ ბუშს უფრო ენდობიან, ვიდრე მის ადმინისტრაციას. 68 პროცენტს მიაჩნია, რომ პრეზიდენტი ბუში რიგით მოქალაქეებზე ზრუნავს. მხოლოდ 46 პროცენტს თვლის, რომ მოსახლეობის პრობლემები ადმინისტრაციასაც აღელვებს. შემდეგი კითხვა ამერიკული მორალური ფასეულობებისადმი ბუშისა და ადმინისტრაციის დამოკიდებულებას ეხება. 80 პროცენტს მიაჩნია, რომ ბუში ამ ფასეულობებს იზიარებს. იმას, რომ მორალურ ფასეულობებს ადმინისტრაციაც იზიარებს, გამოკითხულთა 63 პროცენტი ეთანხმება. რაც შეეხება დიდი ბიზნესის გავლენას პრეზიდენტსა და ადმინისტრაციაზე, ბიზნესი უდრო დიდ გავლენას ახდენს ადმინისტრაციის წევრებზე (66 პროცენტი), ვიდრე პრეზიდენტზე (58 პროცენტი).

გამოკითხვის შედეგებით, ტერორიზმი და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ამერიკელებისთვის დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს (22 პროცენტი). რაც შეეხება დანარჩენ პრობლემებს, აქ დასახელდა ეკონომიკის, ბირჟების და დასაქმების საკითხები (19 პროცენტი), კორპორატიული სკანდალები (6 პროცენტი), განათლება (5 პროცენტი), სოციალური სფერო, ჯანდაცვა (3 პროცენტი).

ყოველი ათი გამოკითხული ამერიკელიდან ექვსი მიიჩნევს, რომ ეკონომიკა ამჟამად უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე ორი წლის წინ. გარდა ამისა, 2000 წელთან შედარებით გაუარესდა თითოეული ოჯახის ფინანსური მდგომარეობაც.

ამგვარად, გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ ამერიკელების ნდობა მთავრობისადმი საკმაოდ შერყეულია. კორპორატიულმა სკანდალებმა იმდენად ავნო რესპუბლიკელების იმიჯს, რომ ადვილი შესაძლებელია, შემოდგომაზე დაგეგმილ კონგრესის ქვედა პალატის არჩევნებში დემოკრატებმა გაიმარჯვონ.

# შვეიცარიას გაერო-ს წევრობა სურს

შვეიცარიამ გაერო-ს გაწევრიანების თხოვნით ოფიციალურად მიმართა. მიმდინარე წლის მარტში ამ საკითხისადმი დამოკიდებულება შვეიცარიის მოქალაქეებმა სახალხო რეფერენდუმზე გამოხატეს. ფორმალური განცხადება გაწევრიანების სურვილის თაობაზე და სხვა დოკუმენტები გაერო-ს გენერალურ მდივანს, კოფი ანანს გაერო-ს შვეიცარელმა დამკვირვებელმა, შტაელინმა გადასცა. შვეიცარიის გაწევრიანების საკითხი გაერო-ს 15-წევრიანმა უშიშროების საბჭომ და 189-წევრიანმა გენერალურმა ასამბლეამ უნდა გადაწყვიტოს.

1815 წლიდან შვეიცარია ნეიტრალური სახელმწიფოა, ხოლო ოფიციალურად მისი ნეიტრალური სტატუსი ქვეყნის 1848 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირდა. შვეიცარია ყოველთვის თავს იკავებდა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისგან, რათა მისი ნეიტრალური სტატუსი არ დარღვეულიყო. შტაელინმა გენერალური მდივნისთვის ოფიციალური წერილის გადაცემისას განაცხადა: "შვეიცარია შეიძლება გაწევრიანდეს გაერო-ში, როგორც ნეიტრალური სახელმწიფო და ამ ორგანიზაციის საქმიანობაში თავის წვლილსაც მხოლოდ ამ სტატუსით შეიტანს".

გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი მიესალმა შვეიცარელი ხალხის ამ გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ სულმოუთმენლად ელის იმ მომენტს, როდესაც შვეიცარიასთან, როგორც გაერო-ს წევრთან, ითანამშრომლებს. კოფი ანანის შეფასებით, "შვეიცარია არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რისკენ მიისწრაფვის გაერო – დემოკრატიულ ფასეულობებზე აგებული ტოლერანტული, მშვიდობისმოყვარე, მულტიკულტურული საზოგადოება". 1950-იანი წლებიდან შვეიცარია აქტიურად მონაწილეობდა გაერო-ს სხვადასხვა სააგენტოების საქმიანობაში. ერთი წლის წინ კი ამ ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში შვეიცარიელი ჯარისკაცების მონაწილეობის შესახებ.

შვეიცარიის გარდა, გაერო-ში გაწევრიანების სურვილი აღმოსავლეთ ტიმორმაც გამოთქვა, რომელმაც დამოუკიდებლობა მაისში მიიღო. მას შემდეგ, რაც ორივე ქვეყანა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდება, გაერო-ს გარეთ დარჩენილი ერთადერთი სახელმწიფო ვატიკანი იქნება. (Associated Press)

# აშშ პაკისტანს კვლავ დაეხმარება

აშშ-მ განაახლა "პაკისტანის დახმარების პროგრამა", რომელსაც 1952 წელს ჩაეყარა საფუძველი და 7 წლის წინ მას შემდეგ შეწყდა, რაც პაკისტანმა ატომური იარაღის შექმნის მიზნით კვლევების წარმოება დაიწყო.

ისლამაბადში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე პროგრამის დირექტორმა, მარკ უორდმა განაცხადა, რომ დახმარების თანხა წელიწადში 50 მლნ. დოლარს შეადგენს და ორ წელიწადში 80 მლნ. დოლარამდე გაიზრდება. გამოყოფილი დახმარება მოხმარდება განათლების სფეროს, ხელისუფლების დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ეკონომიკის განვითარებას. გარდა ამისა, პროგრამა სინდისა და ბელუჯისტანის პროვინციების სოფლებში ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებასაც მოიცავს.

პაკისტანის მიმართ ყველა სანქციის მოხსნა (მათ შორის, სამხედრო თანამშრომლობაზეც) პაკისტანის პრეზიდენტის, ფერვეზ მუშარაფის მიერ ანტიტერორისტული კოალიციისთვის უპირობო მხარდაჭერის გამოხატვის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამგვარად, პაკისტანი სამხრეთ აზიაში აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე ახლო მოკავშირე კვლავ გახდა, რის შემდეგაც დასავლეთმა ისლამაბადს "აპატია" 1998 წელს მსოფლიოს ბირთვულ კლუბში დე ფაქტო გაწევრიანება (1998 წლის მაისში პაკისტანმა ურანისა და პლუტონის მოწყობილობების ცდები ჩაატარა) და 1999 წლის ოქტომბერში მომხდარი სამხედრო გადატრიალება. ("რია ნოვოტი")

## ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი გამორთვებს იწყებს

19 ივლისს, დილის 10 საათზე, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს შეუწყდება ელექტროენერგიის მიწოდება. ანალოგიური სანქციები, დღის 12 საათიდან განხორციელდება სამი მცირე ელექტროგამანაწილებელი კომპანიის მიმართაც (შპს "მცხეთის ენერგია", შპს "შუმი" - გორის რაიონი და შპს "გორგოტა" - ხაშურის რაიონი).

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ეს უკიდურესი ზომები გამოწვეულია: მეტალურგების მიმართ – მაისის თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის, ხოლო ელექტროკომპანიების მიმართ – მიმდინარე და ნაწილობრივ ძველი დავალიანების გადაუხდელობის გამო.

ოდნავ უკეთეს მდგომარეობაშია "თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო", რომელსაც 19 ივლისის დღის ბოლომდე შეუძლია იზრუნოს საფასურის გადახდაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ ორშაბათს გაიცემა განკარგულება გათიშვის თაობაზე, 25 ივლისს კი ხსენებული საწარმოც ელექტროენერგიის გარეშე დარჩება.

"გაცილებით მძიმე ვითარებაა ტყიბულის ქვანახშირის საწარმოში. მისი დავალიანება ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიმართ 2 მილიონ ლარს აჭარბებს და ჩვენი არსებობის მანძილზე ერთი თეთრიც კი არ გადაუხდიათ. კარგად გვესმის, რომ საწარმოს აქვს ფინანსური პრობლემები, რომ ელექტროენერგიის გარეშე მისი დატოვება გამოიწვევს მრავალ ტექნიკურ სირთულეს, მაგრამ, არც საბითუმო ბაზარს აქვს საშუალება უფასოდ მოემსახუროს მომხმარებელს.

ჩვენ თხოვნით მივმართეთ საქართველოს ხელისუფლებას, დახმარება აღმოეჩინათ ტყიბულელებისათვის, მაგრამ პასუხი მხოლოდ ფინანსთა სამინისტროდან მივიღეთ. ისინიც გვატყობინებენ, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური თავად მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს" – განაცხადა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მომხმარებლებთან ურთიერთობის კოორდინატორმა, მიხეილ თავბერიძემ.

## ნადარეიშვილს სერიოზული მტრები გამოუჩნდა

ეკატერინე ბახუტაშვილი

აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მსურველი რამდენიმე ორგანიზაცია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ლეგიტიმურობის საკითხის განხილვას სასამართლოს ძალით აპირებს. ასეთი გადაწყვეტილება გუშინ საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ "კავკასიურ სახლში" გამართულ შეხვედრაზე მიიღეს, რომელსაც კავკასიური ინსტიტუტის, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის, "ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის", "დაეხმარე საკუთარ თავს", არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები ესწრებოდნენ. შეკრებილთა ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი ნადარეიშვილის მიერ საინფორმაციო საშუალებით გაკეთებული განცხადება გახდა. კერძოდ ის, რომ ნადარეიშვილი აფხაზეთის დასაბრუნებლად ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მომხრეა.

არასამთავრობოების წარმომადგენლები მსჯელობის შემდეგ ორ გადაწყვეტილებაზე შეჩერდნენ. კერძოდ, შეიტანონ სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში, ნადარეიშვილის ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხის გასარჩევად ან ომის გაჩაღების მცდელობისათვის მასზე აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდება, რა ფორმას მიმართავენ მშვიდობისმოყვარეები.

ნადარეიშვილის ლეგიტიმურობის საკითხის დაყენება შეხვედრის მონაწილეებს დამოუკიდებელმა ექსპერტმა პაატა ზაქარეიშვილმა შესთავაზა.

"როგორც კი სახელმწიფო დონეზე დადგება ნადარეიშვილის არალეგიტიმურობის საკითხი, ამით სახელმწიფო აღიარებს, რომ აფხაზეთი სახელმწიფოს საქმეა და არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა. აფხაზები ჩვენი ხალხია. ამიტომ ტერიტორიის დაბრუნებაზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ აფხაზი ხალხის გულის მოგებაზე, დაინტერესებაზე. მე ხშირად ვხვდები აფხაზებს და ვიცი, რომ ისინი პრინციპში მზად არიან, ქართველებისაგან მოისმინონ კონსტრუქციული წინადადებები, რომელსაც ვერ ვთავაზობთ. ჩვენ უნდა გავხდეთ მათთვის მიმზიდველები და იამაყონ, რომ საქართველო მათი სამშობლოა. განათლებული აფხაზები მიხვდნენ, რომ გამოყოფის შანსი არ აქვთ. კონფლიქტის დროს დანაშაული ჩაიდინეს აფხაზებმაც და ქართველებმაც. რატომ ვლაპარაკობთ ერთ სიმართლეზე და არ ვამბობთ მეორეს?", - განაცხადა ზაქარეიშვილმა.

## „ბარაქალა, ჩვენს სამართალდამცავებს„

ეთერ მამულაშვილი

"ტყის მცველს რომ ხელფასს ოც ლარს დაუნიშნავ და იმასაც კვარტალში ერთხელ მისცემ, მან ტყე როგორ უნდა შეინახოს? არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ მოსამართლეებს 700-800 ლარი დაუნიშნეს, მაგრამ მეტყევეებმა რა დააშავეს? ამიტომაცაა, რომ მეტყევის პროფესია არაპრესტიჟული გახდა", - ტყის მცველის ბედით შეწუხებული საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გივი ჯაფარიძე სატყეო მეურნეობაში შექმნილ პრობლემებზე დიდხანს საუბრობდა გუშინ ჟურნალისტის სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე. ამ დარგში შექმნილი პრობლემების უპირველესი მიზეზი სეკვესტრირებული ბიუჯეტი ყოფილა. სატყეო მეურნეობამ წლეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ 1.800.000 ლარი მიიღო და, როგორც გივი ჯაფარიძე აცხადებს, ეს თანხა ხელფასების დაფინანსებასაც ძლივს ჰყოფნის.

"გვაქვს 19 პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ტყეების აღდგენას, დაცვას და განახლებას. ისინი რამდენიმე ექსპერტმა შეაფასა და მოეწონათ კიდეც. ვიცით, რა როგორ უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ამ ყველაფრის განსახორციელებლად ერთი თეთრიც კი არა გვაქვს", - განაცხადა ჯაფარიძემ. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა დახმარებისთვის მსოფლიო ბანკს მიმართა და მათი პროგრამების დაფინანსებისთვის 20.000.000 ლარი მოითხოვა, რომლის რატიფიცირება ჯერაც არ მომხდარა. ენერგოკრიზისის პირობებში გაყინულ-გათიშული მოსახლეობა კი ისევ ტყისკენ გარბის და, გასათბობად მოჭრილ შეშას, რამდენიმე გასაყიდ მორსაც გამოაყოლებს ხოლმე. "წლეულს 10.000 კუბური მეტრი ხე-ტყის კონტრაბანდული მასალა აღმოვაჩინეთ. აქედან 5000 მარტო ბორჯომში გამოვავლინეთ", - განაცხადა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ დვალმა. მისი თქმით, მეორე დიდი პრობლემა, რომელიც დარგს სერიოზულ საფრთხეს უქმნის, ეს დაუსჯელობის სინდრომია. მიუხედავად იმისა, რომ სატყეო მეურნეობამ უკანონობის რამდენიმე ასეული ფაქტი გამოავლინა, სამართალდამცავების მხრიდან სათანადო რეაგირება თითქმის არც ერთ შემთხვევას არ მოჰყოლია. "საქართველოში ხის სახერხი 750-მდე შპს არსებობს. აქედან 250-ზე მეტი არარეგისტრირებულია. აღარაფერს ვამბობ მათ უკანონო საქმიანობაზე.

ამის კონკრეტული შემთხვევები გამოვავლინეთ და საქმე სამართალდამცავებს გადავეცით, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ეს შპს-ები ისევ განაგრძობენ არალეგალურ საქმიანობას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვაქვს დოკუმენტური მასალა თბილისის სატყეო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის შოთა მეფარიძის უკანონო საქმიანობაზე - როგორ აზარალა მან ბიუჯეტი მილიონი ლარით. ეს დოკუმენტაცია მივაწოდეთ სამართალდამცავებს, მაგრამ მეფარიძეს პასუხი არავინ მოსთხოვა", - აცხადებს დვალი. თბილისის სატყეო მეურნეობაში მეფარიძის დროინდელ დარღვევებზე მერაბ დვალმა დეტალურად ისაუბრა.

"1994 წელს წყნეთის სატყეო მეურნეობის შენობა მეფარიძემ 100.000.000 კუპონად გაყიდა, მაშინ როცა კანონში წერია, რომ შენობის გაყიდვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. გარდა იმისა, რომ მეფარიძემ კანონი დაარღვია, მან ბიუჯეტიც აზარალა. გაყიდული შენობიდან აღებული ფული მიითვისა და არც ერთი თეთრი არ ჩარიცხა ბიუჯეტში. კლდეკარის სატყეო მურნეობაში გახსნა რესტორანი, რომელიც დღესაც მისი კუთვნილებაა და დღეს ასეთი კაცი თავისუფალია. ბარაქალა, ჩვენს სამართალდამცავებს", - გვითხრა მერაბ დვალმა.

## „ცივი მშვიდობა„ და პოლიტიკური კანკანი



ფორუმის ერთი დღე



იური ლობოდინის ფოტოები

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ ფორუმი ორი წლის განმავლობაში მზადდებოდა. იგი საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების პატრონაჟით მიმდინარეობს. მკაფიოდ გამოჩნდა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქისა და კავკასიის მუსულმანთა სამმართველოს ბაქოელი თავმჯდომარის, დოქტორ შეიხ-ულ-ისლამ ალაჰშუქურ ფაშა-ზადეს მიმართ, როგორც თანაორგანიზატორებისადმი, განსაკუთრებული დამოკიდებულებაც. მისი განხორციელება კი, საქართველოში აშშ-ის საელჩოს, ფონდების "ევრაზია" და "ღია საზოგადოება - საქართველო" ხელშეწყობით მოხერხდა. ეს ფაქტიც ადასტურებს მონაწილეების საერთო მოსაზრებას, რომ შარშანდელმა 11 სექტემბერმა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისა და, უპირველესად, აშშ-ის ადმინისტრაციების დამოკიდებულება რელიგიის მნიშვნელობისადმი შეცვალა. მუსულმანური წარმომადგენლობის სიმრავლე, ამასთან არაბული სამყაროდან პროამერიკული ქუვეითის და არა საუდის არაბეთისა, შემთხვევითი არ არის. ასევე საგულისხმოა კავკასიის მთელი იუდეური თემის ერთობ მონადინებული აქტიურობა. თუმცა, "ჩანს, ბალკანეთის შემდეგ ამერიკამ გადაწყვიტა, აღმოსავლეთში მაინც მართლმადიდებლობას დაყრდნობოდა", – ივარაუდა მამუკა არეშიძემ. აშშ-ის პრეზიდენტის მიერ მოსკოვში გაცხადებული რეგიონული სტრატეგიის მნიშვნელობა ხაზგასმით დაადასტურა ილია მეორემაც.

"ეს ორი დღე ბრეჟნევის დროინდელ მხიარულ კრებას არ უნდა დაემსგავსოს, როდესაც მომწყობ-მონაწილეები დავთარში კიდევ ერთ, მორიგ "ღონისძიებას" აღნიშნავენ და სამახსოვრო კოლექტიური ფოტოსურათებით დაკმაყოფილდებიან. რეალური თანამშრომლობისათვის მთავარია პოლიტიკური ნება და არა შელახული იმიჯის დეკორატიული შელამაზების მცდელობა", – აღნიშნა საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს-პრეზიდენტმა, მალხაზ სონღულაშვილმა.

კონფესიებს შორის დიალოგის, თანამშრომლობის და კავკასიაში მშვიდობის დასადგურების საქმეში ერთობლივი ქმედითი წვლილის შეტანის აუცილებლობა ყველამ ერთხმად აღიარა. ასეთივე ერთსულოვნება იყო საქართველოს სარწმუნოებრივი რუკის მოზაიკურად და თანაარსებობის ისტორიის უნიკალურად შეფასებაში.

საქართველოს პრეზიდენტისა თუ კათოლიკოს-პატრიარქის გამოსვლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ჩვენში გამოვლენილ რელიგიურ დაპირისპირებებს. მაგრამ, აშკარად იგრძნობოდა საერთაშორისო საზოგადოებისადმი მობოდიშების ტონი: "არატრადიციული რელიგიები შემოსვლისას ახალ ტექნოლოგიებს იყენებენ. როდესაც რომელიმე ჯგუფი არღვევს კანონს, სახელმწიფომ უნდა მისცეს რეაგირება. მაგრამ შესაბამისი სტრუქტურები ათეისტურ გარემოში ჩამოყალიბდა და ხშირად არაადექვატურად მოქმედებენ", – ნამუსი "მოწმინდა" ძალოვნებს ედუარდ შევარდნაძემ.

"ძალისმიერი დაპირისპირებები სრულიად არაბუნებრივია ჩვენი ყოფისა და ტრადიციისათვის. მას პროვოკაციული ხასიათი აქვს და ხელოვნურად არის შექმნილი", – ილია მეორის ასეთ შეფასებას საკუთარ თავზე გურამ შარაძე მიიღებს თუ იელოველები, უცნობია. სხვათა შორის, იელოვას მოწმეები არც შარშანდელ სამუშაო შეხვედრაზე მისულან. ახლა კი აღარც მიუწვევიათ.

ტრადიციული და ახალდამკვიდრებული რელიგიების ურთიერთობების თემა სხვებზე უფრო მძაფრად მართლმადიდებელი მღვდელმთავრებისა და ჩრდილოკავკასიელი მუსულმანი მუფტიების გამოსვლებში აისახა. არ დაუსახელებიათ, მაგრამ პირველნი აქცენტს აშკარად იელოველებზე, მეორენი კი – ვაჰაბიტებზე აკეთებდნენ. "კავკასიის მოსახლეობა აღიზარდა სამი რელიგიის წიაღში. ახალ საფრთხეს კი, საკუთარ მოძღვართა მეტი განათლებითა და აქტიურობით უნდა აღვუდგეთ წინ", – დაასკვნა რუსული ეკლესიის ბაქო-კასპიისპირეთის ეპარქიის იერომონახმა ალექსიმ. რელიგიური განათლების თვისობრივად ახლებურ საფეხურზე აყვანაის შესახებ განსაკუთრებით ბევრს საუბრობდნენ ქუვეითისა და თურქეთის რელიგიის საქმეთა მინისტრები, ყაბარდოელი მუფტი და ქართველი თუ უცხოელი თეოლოგები.

"აფხაზეთი, გროზნო, ყარაბახი და პანკისი – ეს ოთხი სიტყვა სამწუხაროდ ძალადობის სინონიმებად იქცა", – თქვა კავკასიაში რომის კათოლიკური ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორ-ეპისკოპოსმა, ჯუზეპე პაზოტომ. სწორედ, რელიგიურ-ეთნიკური დაპირისპირებების ურთიერთგადაზრდის საშიშროებაზე საუბრისას, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, მიტროპოლიტმა აბრაამმა განსაკუთრებულად ისაუბრა სასულიერო ლიდერების როლზე საერო ხელისუფლების მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში. თითქოს იერომონახ ალექსის მისამართით იყო ნათქვამი: "რუსეთის მიერ საქართველოსთან და მის ნაწილებთან ამორჩევითი სავიზო რეჟიმის შემოღება მიმართულია საქართველოს მესამე ანექსიისაკენ."

ფანატიზმის, რელიგიური ექსტრემიზმისა და მისი დამღუპველი შედეგების შესახებ გამორჩეულად გულმხურვალედ თურქეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები მსჯელობდნენ. ისინი სხვა მართლმორწმუნე კოლეგებთან ერთად გამუდმებით არწმუნებდნენ დამსწრე საზოგადოებას მუჰამედის მოძღვრების კაცთმოყვარეობასა და ლიბერალურობაში. იქ მყოფ ამერიკელ თეოლოგებსა და იუდეველთა წარმომადგენლობას გარკვეული უხერხულობაც კი შეექმნათ 11 სექტემბრის ხშირი ხსენებისაგან.

პირველი კავკასიური ინტერრელიგიური ფორუმი დაიწყო და სრულდება ერთგვარი დევიზით, რომელიც ფრანგი მწერლის ფილიპ ოჟიეს სიტყვებით გაჟღერდა: "დღეს მსოფლიო საჭიროებს ახალ ეთიკას – როგორც ეს იყო ყოველთვის, როცა გვიახლოვდება განსაცდელისა და უბედურების ჟამი."

## სახელმწიფო ტელევიზია: რეორგანიზაციის შუქ-ჩრდილები

თამარ მაისურაძე

გუშინ ომბუდსმენის ოფისში ისევ შეიკრიბნენ სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელზე განაწყენებული ჟურნალისტები. ისინი ტელევიზიის ხელმძღვანელის - ზაზა შენგელიას გადაყენებას ითხოვდნენ. ტელევიზიის თანამშრომელთა 20-კაციანი ჯგუფი, როგორც თავად ამბობენ, ოპოზიციონერები, თავიანთ ბრალდებებს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგებით ასაბუთებდნენ. "წესით, როცა ტელევიზიაში არ უნდა ყოფილიყო ხელფასების დავალიანება, კონტროლის პალატის შემოწმების შედეგად გამოჩნდა, რომ დავალიანება 980 ლარს შეადგენს. ეს თანხა ბიუჯეტმა გამოყო. ჩვენი გადაცემები ზაფხულში არ გადის ეთერში, გვეუბნებიან, ჰონორარს ვერ მოგცემთო. ამ დროს შენგელია სხვა ორგანიზაციებს ურიცხავს დენის და ტელეფონის ფულს. სად მიდის რეკლამიდან შემოსული თანხა? გრანტები?" – კითხვას სვამს ერთ-ერთი ოპოზიციონერი ემზარ ლაბუჩიძე.

თამარ ბოლქვაძემ კატეგორიულად უარყო ის ხმები, თითქოს ისინი ტელევიზიაში მიმდინარე რეფორმებისა და რეორგანიზაციის წინააღმდეგნი იყვნენ. "ეს ასე არ არის. ამის თქმა შენგელიას ხელს აძლევს და ამბობს კიდეც. ჩვენ რეორგანიზაციის არ გვეშინია. არც ისეა საქმე, როგორც შენგელია ამბობს, თითქოს ტელევიზიაში მომუშავე 2 ათასი თანამშრომლიდან 20 კაცი ვერ იპოვა, რომ ყველაზე რთული გადაცემა გააკეთებინოს. ვაი, ჩვენს პატრონს და ვაი, მათ პატრონს, თუ ტელევიზიაში 20-ზე მეტი პროფესიონალი ჟურნალისტი არ ეგულებათ", - აცხადებს იგი. როგორც გაირკვა, ამ ოცეულს პროკურატურაშიც შეუტანია სარჩელი. როგორ თავად ამბობენ, იმის იმედით, რომ პროკურატურა ერთხელ მაინც მიიყვანს საქმეს ბოლომდე.

რაც შეეხება სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელს ზაზა შენგელიას, მისი პოზიცია ასეთია: "ტელევიზიაში 140 საავტორო გადაცემა იყო. მსოფლიოს ვერც ერთი ტელევიზია ამდენ საავტორო გადაცემას ვერ აიტანდა. გადაცემები უნდა შემცირებულიყო. ამის ერთადერთი გზა კი კონკურსის მოწყობა გახლავთ. კონკურსის შემდეგ თანამშრომელთა გარკვეულმა ნაწილმა სამუშაო დაკარგა. ეს სწორედ ის განაწყენებული ხალხია", – გვითხრა მან და დაუმატა: "დღეს ტელევიზიაში არსებული სიტუაცია ძველ და ახალ მენტალიტეტს შორის გამართული რეალური ბრძოლაა. რამდენიმე ადამიანის ახირება, რომ ტელევიზიაში არ მოხდეს რეორგანიზაცია, არ არის სწორი. რამდენიმე ადამიანის გამო არ შეიძლება, ქართველებს არ ჰქონდეთ კარგი საზოგადოებრივი ტელევიზია." ტელევიზიის ხელმძღვანელი ტყუილ ბრალდებას უწოდებს მისგან განდგომილი თანამშრომლების განცხადებას ხელფასების დავალიანებასთან დაკავშირებით. "ჩვენს მაყურებელს დავუსვამ რამდენიმე კითხვას: ჩემი მოსვლის შემდეგ ეს ტელევიზია გახდა თუ არა უკეთესი როგორც ვიზუალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით? პირველი არხი გავიდა თუ არა სატელიტზე? ჩვენ ვართ ერთადერთი ორგანიზაცია, რომელშიც ყოველ თვე რიგდება ხელფასები. შევიძინეთ ახალი აპარატურა. და ეს ყველაფერი მოხდა იმ პირობებში, როცა ტელევიზიის არსებობის 40-წლიან ისტორიაში ჩვენ ყველაზე მწირი დაფინანსება გვქონდა ბიუჯეტიდან," – ამბობს შენგელია და კონტროლის პალატის დასკვნაზეც საუბრობს: "ეს დასკვნა საჯარო დოკუმენტია. დარღვევები ან კრიმინალურია, ან ადმინისტრაციული. კრიმინალური დარღვევა რომ აღმოეჩინათ, მაშინვე სამართალდამცავ ორგანოებს გადაუგზავნიდნენ. აღმოჩენილი დარღვევები იმის ბრალია, რომ ჩვენ მოუწესრიგებელი ვართ", – გვითხრა დასასრულს ზაზა შენგელიამ.

## რამდენიმე რჩევა თბილისის გასამრიცხველიანებელ უბნებს

მაკა ჭაიანი

წლევანდელი აგვისტოს შუა რიცხვებიდან "ეი-ი-ეს თელასი" თბილისის მოსახლეობის გამრიცხველიანების ბოლო ეტაპს იწყებს. დღეისთვის, თელასის 380 ათასი აბონენტიდან 80 პროცენტი უკვე ახალი მრიცხველებით სარგებლობს. თბილისის სრული გამრიცხველიანება, სავარაუდოდ, შემოდგომაზე უნდა დასრულდეს.

წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, ელექტროენერგიის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი მოსახლეობას მოუწოდებს, წინააღმდეგობა არ გაუწიოს თელასის წარმომადგენლებს. სხვაგვარად, გაუმრიცხველიანებელი უბნების მომიზეზებით, "ეი-ი-ესი" წელსაც მიმართავს მასობრივ სადამსჯელო ღონისძიებებს და გადამხდელი აბონენტებიც შუქის გარეშე დარჩებიან. სემეკას მოწოდების მეორე მიზეზი ცოტა დაუჯერებლად ჟღერს, როცა ქალაქი სრულად იქნება გამრიცხველიანებული, ელექტროენერგია 24 საათის განმავლობაში მოგვეწოდებაო.

არავინ იცის, იმოქმედებს თუ არა ეს არგუმენტი მაღალი ტარიფით შეშინებულ თბილისელებზე. განსაკუთრებით მათზე, ვინც აქამდე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს, ფაქტობრივად, არ იხდიდა. სემეკში ფიქრობენ, რომ გარკვეულ უბნებზე თელასს შეიძლება, სერიოზული პრობლემები შეექმნას. მაგალითად, ლოტკინის გორაზე, რომლის მოსახლე ბოშებიც მრიცხველების დაყენების წინააღმდეგნი არიან. მიუხედავად ამისა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი დედაქალაქის მკვიდრთ რამდენიმე აუცილებელ რჩევას აძლევს.

1 - არ ჩააბაროთ ძველი მრიცხველი. იგი თქვენი კუთვნილება და ერთგვარი დამცავი მექანიზმია. მისი მოხსნისას, თელასის წარმომადგენელს შეადგენინეთ აქტი. დარწმუნდით, რომ მასში ზუსტად არის მითითებული თქვენი მრიცხველის მდგომარეობა და ბოლო ჩვენება და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერეთ ხელი. მოითხოვეთ ასლი.

2 - არ შეხვიდეთ გარიგებაში თელასის წარმომადგენელთან, არ დააზიანოთ მრიცხველი და არ დააფიქსიროთ არარსებული ჩვენება. "ეი-ი-ესი" აუცილებლად გახსნის ამ შეთანხმებას და თქვენ არა მარტო ფიქსირებულ გადასახადს, ჯარიმასაც გადაგახდევინებთ.

3 - თუ მრიცხველი დაზიანებული გაქვთ, წერილობით მიმართეთ თელასს. კომპანია ვალდებულია, შეაკეთოს თქვენი მრიცხველი. თუ თავს აარიდებთ ამას, გამრიცხველიანებამდე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ასევე ფიქსირებული გადასახადის სახით მოგიწევთ.

4 - დაზიანებული მრიცხველის ან მრიცხველის არარსებობის შემთხვევაში (იმ პირობით, რომ ამას თელასს ასევე წერილობით აცნობებთ), ახალი მრიცხველის დაყენებისას, თქვენ გეძლევათ საშუალება, დაწესებული ფიქსირებული გადასახადის თქვენთვის სასურველი რაოდენობა გადაიხადოთ. ახალი მრიცხველის პირობებში, უახლოეს სამ თვეში გაიანგარიშება, საშუალოდ, რამდენს ხარჯავთ თვის განმავლობაში. თუ თანხა იმაზე ცოტა გამოდგა, ვიდრე გადაიხადეთ, ყველა "უმრიცხველო თვეზე" თანხის დამატება მოგიწევთ, თუ მეტი - უკვე გადახდილს მომდევნო ანგარიშსწორებისას გაითვალისწინებენ.

5 - არ გაიყვანოთ არალეგალური ხაზები, დროულად გადაიხადეთ გადასახადი და თვითნებურად არ ჩართოთ თელასის მიერ გამორთული მრიცხველი. ამისთვის კომპანიას სერიოზული ჯარიმები აქვს გათვალისწინებული.

კიდევ ერთი, ამჯერად სასიამოვნო ამბავი სემეკას მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტისგან: თქვენ არა ხართ ვალდებული, გადაიხადოთ სადარბაზოებში მდგარი და დაზიანებული მრიცხველის კარადების შეკეთების საფასური. ეს თელასის საზრუნავია. მნიშვნელოვანი დაზიანებისას, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, შუქი სადარბაზოს შეიძლება, მაქსიმუმ, ერთი დღით გამოერთოს. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ განცხადებით მიმართოთ ხსენებულ დეპარტამენტს და მოითხოვოთ თქვენი უფლებების დაცვა.

# "წითელი ზონის" პატიმრები მინისტრს დაემორჩილნენ



ბოლო შემოწმება ავჭალის კოლონიაში



ეტაპის მოლოდინში

ხათუნა ჯანგირაშვილი

ავჭალის მეცხრე კოლონიაში, ე. წ. "წითელ ზონაში" ექვსი დღის წინ დაწყებული საპროტესტო აქცია გუშინ, ყველასთვის მოულოდნელად, მშვიდობიანად, მოსალოდნელი ექსცესების გარეშე დასრულდა.

"წითელი ზონის" პატიმრები იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ და ხონში გადაბარგებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდნენ. ჯერ კიდევ ორი დღის წინ, ისინი, იძულებითი ეტაპირების შემთხვევაში, სერიოზული წინააღმდეგობის გაწევითა და არეულობით იმუქრებოდნენ. გუშინ კი, გამგზავრებას მოულოდნელად შეგუებულები, იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებას დამორჩილებულები, დაწყნარებულ-დამშვიდებულები, ბარგს საკუთარი ხელით ტვირთავდნენ სატვირთო მანქანებზე და დაწესებულების ეზოში გამოშლილები, აქეთ იხვეწებოდნენ – თუ მიგყავართ, დროზე წაგვიყვანეთ, დავისიცხეთ და დავიღალეთო. თან ძაღლებსა და კატებს არ უშვებდნენ ხელს - ჩვენი გაზრდილები არიან, შვილებივით ვუფრთხილდებით, აქ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთო.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე და მისი პირველი მოადგილე, ციხის ადმინისტრაციასთან ერთად, მშვიდად ადევნებდნენ თვალს პატიმართა ფაციფუცს და ამაყად აცხადებდნენ, რომ გონიერი და მიხვედრილი მსჯავრდებულები ჰყავთ, იციან, რომ კანონი უნდა დაიცვან და სასჯელიც იქ მოიხადონ, სადაც სახელმწიფოს შეუძლია მათი შენახვა.

**"ჩვენთვის სამოთხე იყო აქაურობა, მაგრამ რას ვიზამთ, სადაც წაგვიყვანენ, უნდა გავყვეთ".**

**"არც აფხაზეთიდან გვინდოდა გამოსვლა, მაგრამ გამოგვაქციეს".**

**"ხონშიც კარგ პირობებს გვპირდებიან. არ გვჯერა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას არანაირი აზრი აღარ აქვს".**

**"არ გავყვებით და ძალით მაინც წაგვიყვანენ, ჩემთვის უკვე აღარაფერს აქვს მნიშვნელობა".**

ასეთი მშვიდი განწყობა იყო გუშინ "წითელ ზონაში".

ეტაპირებით ზედმეტად გახარებული მხოლოდ ლოთი ქობალია ჩანდა.

**"პირობებს ადამიანი თვითონ იქმნის. თუ მაგარი ხარ, ყველანაირ პირობას უნდა შეეგუო. ისე, სასაყვედურო რა უნდა მქონდეს - იქვე, ყურის ძირში ჩემი სახლია, გვირაბის გათხრაც არ დამჭირდება. მიწისქვეშეთში ვიჯექი, ახლა ჰაერზე გავდივარ,"** – გვითხრა "წითელი ზონის" ასაკიანმა პატიმარმა.

ერთი სიტყვით, "წითელი ზონის" პატიმრები – ყოფილი პოლიციელები, "მხედრიონელები", გვარდიელები, ზვიადისტები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს, გუშინ საკუთარი ავეჯისა და ბარგის გამოტანაში ერთმანეთს მონდომებით ეხმარებოდნენ და უპრეტენზიოდ, მშვიდად სხდებოდნენ სპეცმანქანაში, რომელმაც ისინი, სპეცდანიშნულების ნიღბიანი რაზმელების თანხლებით, ავჭალის რკინიგზის სადგურში გადაიყვანა. 117 მსჯავრდებული ორ სპეცვაგონში უპრობლემოდ მოათავსეს და ხონის გზას გაუყენეს.

იუსტიციის სამინისტრომ "წითელი ზონა" მსჯავრდებულ ქალებს გაუთავისუფლა. იქ, დაახლოებით, ერთ კვირაში, ავჭალის მეცხრე კოლონიაში ქალთა კოლონიის მიწისძვრით დაზიანებული მობინადრეები გადასახლდებიან.



აბარგება

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

# შავმა ბიზნესმა ქართული ჯარი განაიარაღა

ინგა ალავიძე

საქართველოში არსებულ იარაღის მაფიაზე ღია საუბრები მას შემდეგ დაიწყო, რაც თავდაცვის ექსმინისტრის, გია ყარყარაშვილის მოადგილე ნიკა კეკელიძე საკუთარ სახლში, საძინებელ ოთახში ააფეთქეს. 1993 წლის მარტში მომხდარი ამ ტერორისტული აქტის ორგანიზატორად შავი ბიზნესის – იარაღის მაფია გამოცხადდა. უფრო ზუსტად, იარაღის ბიზნესში ჩაბმული თავდაცვის მინისტრის მოადგილე საერთაშორისო მაფიის – რუსული და ჩეხური იარაღის ბიზნესის ინტერესთა კონფლიქტის მსხვერპლად დასახელდა.

მართალია, კეკელიძის მკვლელობიდან 8 წელი გავიდა, უშიშროების სამინისტროში აღძრული საქმეც გაუხსნელობის მოტივით დაიხურა, მაგრამ საქართველოში მოქმედ იარაღის მაფიაზე საუბრები არ შეწყვეტილა, პირიქით. ოღონდაც, ნიკა კეკელიძის საქმისგან განსხვავებით, იარაღით ვაჭრობის ბრალდებები თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს არაერთხელ წაუყენეს. თენგიზ კიტოვანს, ვარდიკო ნადიბაიძეს და დავით თევზაძეს – საქართველოს ბოლო ათი წლის თავდაცვის მინისტრებიდან არც ერთს არ აცდენია იარაღის ბიზნესის მფარველობის ბრალდება. დავით თევზაძის ძმის, გურამ თევზაძის სახელი, მისი მკვლელობაც კი, იარაღით უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირდა.

სამართალდამცველებმა იარაღის უკანონო ვაჭრობის ფაქტებზე არაერთხელ აღძრეს საქმე, მრავალჯერ ჩაატარეს მოკვლევა, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, იარაღის გამყიდველ მაღალი რანგის სამხედრო პირს კანონდამცველთა რისხვა დატეხოდეს თავს.

არადა, მთელ მსოფლიოში ყველაზე სარფიანმა, შავმა ბიზნესმა საქართველოშიც რომ საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი, ფაქტია.

ამას სამართალდამცველთა სტატისტიკაც ადასტურებს. საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურაში ბოლო პერიოდში იარაღის უკანონო ვაჭრობის ფაქტზე 36 საქმე აღიძრა. იარაღის ვაჭრობისთვის დაპატიმრებული 67 ბრალდებული პასუხისგებაში მიეცა.

სამხედრო პროკურატურამ კიდევ ერთი ახალი საქმის -- კონტრაბანდული იარაღით ვაჭრობის ფაქტის გამოძიება ცოტა ხნის წინ დაამთავრა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების შტაბის საქმეთა მწარმოებელმა ანჟელა კაჩმაზოვამ, ბატალიონის მეთაურმა, მაიორმა აკაკი კელოშვილმა, საფინანსო განყოფილების უფროსმა, მაიორმა ლასარაშვილმა და ადრე ნასამართლევმა რობერტ ვართანოვმა ცხინვალში შეიძინეს და გორში გასაყიდად ჩაიტანეს 9 "ფაგოტის" ტიპის ერთჯერადი ჰაერსაწინააღმდეგო ყუმბართმტყორცნი თავის ოპტიკური სამიზნით, 6 ყუთი - 8 ათასი ავტომატის ვაზნა - ფაქტობრივად, სერიოზული სამხედრო არსენალი. კანონდამცველებმა იარაღით მოვაჭრეები გორში დააკავეს, იმ დროს, როცა საქმიან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ კლიენტთან. თუმცა, საქმის გამოძიება ისე დასრულდა, რომ გამოძიებამ ვერ დაადგინა ბრალდებულებმა სად და ვისგან შეიძინეს გასაყიდი სამხედრო საქონელი. ვერც იმის გარკვევა მოხერხდა, ჰყავდათ თუ არა მაღალი მფარველები იარაღით მოვაჭრე სამხედრო მაიორებს.

სამხედრო პროკურატურამ კიდევ ერთი საქმის გამოძიება დაასრულა. კანონდამცველებმა დადგინეს, რომ ბაღდადის სოფელ ვარციხეში განლაგებული სამხედრო ნაწილიდან ოპერატიული განყოფილების საჯარისო-ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უფროსმა, მაიორმა სახვაძემ, ტექნიკური განყოფილების უფროსმა, მაიორმა თავხელიძემ, განყოფილების უფროსმა ინჟინერმა, მაიორმა კბილაშვილმა სამხედრო ნაწილიდან მოიპარეს "ფ-189" ტიპის უმართავი რეაქტიული ჭურვი, რომელიც თბილისში გასაყიდად ჩაიტანეს. ნაწილიდან მოპარული შეიარაღება 9450 დოლარის ღირებულებისა გახლდათ.

მორიგი საქმე, ნატოს წვრთნების მიმდინარეობისას, ფოთის სამხედრო ნაწილიდან 25 ათასი ლარის სამხედრო აღჭურვილობის მოპარვის ფაქტზე აღიძრა. სამხედრო პროკურატურამ დააკავა ქურდობის შემსრულებელები, ზემდეგები მურვანიძე, ბარამაძე, კობალავა, გაგუა და სერჟანტი პაჭკორია, სამხედრო ნაწილის დაბალჩინოსანთა 12-კაციანი ჯგუფი.

იგივე მოხდა მე-11 მოტომსროლელი ბრიგადიდან 5 ათასი დოლარის ღირებულების საბრძოლო მასალის მოპარვის დროსაც. სამხედრო პროკურატურამ ხსენებული საქმის გამოძიება ახლახანს დაამთავრა, სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღების სამსახურის უფროსი, კაპიტანი ფარსმანაშვილი პასუხისგებაში მისცა, მაგრამ ქურდობისას კაპიტან ფარსმანაშვილის "მეთაურის" მიგნება კვლავინდებურად ვერ მოხერხდა.

იარაღის უკანონო ვაჭრობის მფარველთა მოუხელთებლობას მთავარი სამხედრო პროკურორი გია ჯიქია შემდეგნაირად ხსნის: **"როგორც წესი, იარაღის უკანონოდ ვაჭრობის საქმეების გამოძიებისას უცნობი რჩება მყიდველის და შემკვეთის ვინაობა.**

**მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ძალიან სპეციფიური დანაშაულია და ამიტომაც ვერ ვახერხებთ მათ დადგენას.**

**იარაღით უკანონო ვაჭრობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მომგებიანი ბიზნესია. იქიდან გამომდინარე, რომ სამხედრო პროკურატურაში ამ კატეგორიის დანაშაულზე ძალიან ბევრი საქმეა აღძრული, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ბიზნესი საქართველოშიც ყვავის. თუმცა, ამ ბიზნესის მფარველების შესახებ მასალები არ მოგვეპოვება. რა თქმა უნდა, მის სათავეებში დიდი ფინანსური შესაძლებლობისა და, შესაბამისად, დიდი გავლენის ძალები დგანან, სხვანაირად წარმოუდგენელია იარაღის შეძენა-შემოტანა-გაყიდვის რთული ოპერაციის ჩატარება,"** – ამბობს მთავარი სამხედრო პროკურორი. არადა, თუ სამხედრო პროკურატურაში აღძრული საქმეებით ვიმსჯელებთ, იარაღის უკანონო ვაჭრობის ერთ-ერთი მკვებავი არხი - ქართული საჯარისო ნაწილები - სწორედ ამ შავი ბიზნესის წყალობით "განიარაღდა".

# პოლიციელთა მარტივი გათვლა

"თავისუფლების ინსტიტუტის" დამრბევები იელოველთა დამწიოკებლებს შორის იპოვეს

პირველი გვერდიდან

რატომ გამოიჩინა გუშინწინ ღამით რუსთავში დაკავებულმა, პატრიოტული ორგანიზაცია "ჯვრის" წევრმა, გიორგი დოიჯაშვილმა საკუთარი ბრალეულობის დასამტკიცებლად ამგვარი გადაჭარბებული გულმოდგინება, ჯერ ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. თუმცა, დასკვნების გაკეთებას კიდევ უფრო აადვილებს ის ფაქტი, რომ, დამოუკიდებელი ადვოკატის გამოჩენისთანავე, დოიჯაშვილმა უარყო "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევაში მონაწილეობა და დანაშაულის აღიარება მასზე განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას დააბრალა.

"თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევის ფაქტის რეზონანსულობის გამო, ეს დანაშაული, ცხადია, აუცილებლად გასახსნელთა სიას მიეკუთვნებოდა. მით უმეტეს, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ თემაზე საქართველოს ხელისუფლებასთან საუბარს საქართველოში ვიზიტით მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მდივანიც აპირებდა. ამერიკელებს შეშფოთების საფუძველი ნამდვილად აქვთ, რადგან ვერ გაურკვევიათ, ქვეყანაში, რომელსაც მესამე ადგილი უკავია ამერიკული დახმარების მიღების თვალსაზრისით, რატომ ირღვევა ადამიანის უფლებები, რატომ სცემენ და არბევენ ამ უფლებების დამცველებს. არავისთვისაა დაფარული რიგითი ამერიკელი გადამხდელის დამოკიდებულება თითოეული გაღებული ცენტის მოხმარებისადმი. შესაბამისად, თუ ისეთი მძიმე დანაშაულის ვერა, როგორიც უცხოეთის მოქალაქის გატაცებაა, საქართველოს ჩვეულებრივ მოძალადეებად მონათლული დამრბევების დაკავებით მაინც უნდა გამოეჩინა თავი.

რაც მართალი, მართალია -- მიგნება არც ისე რთული გათვლითაა გაკეთებული. "თავისუფლების ინსტიტუტის" დამრბევთა მოძებნა მაინცდამაინც რუსთავის მართლმადიდებლურ ორგანიზაცია "ჯვარში," საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დაშინებულ საქართველოს ხელისუფლებას კი არა, პატარა ბავშვსაც ადვილად შეიძლებოდა მოსვლოდა თავში. მით უმეტეს, რომ საზოგადოება "ჯვარმა" ორიოდ დღის წინ სწორედ "თავისუფლების ინსტიტუტის" დაუძინებელი მტრის, გურამ შარაძის ზარ-ზეიმით მიღებითა და ამ არასამთავრობო ორგანიზაციის ძაგებით შეახსენა ყველას თავი. შესაბამისად, ისინი სამართალდამცველთა ყურადღების გასამახვილებლად კარგი ობიექტებიც აღმოჩნდნენ, მით უმეტეს, რომ დარბევისა და ცემა-ტყეპის გამოცდილება ამ ორგანიზაციის წარსულისთვის ერთადერთი დამახასიათებელი ნიშანია. თანაც, ისინი სწორედაც რომ იელოვას მოწმეებზე - განურჩევლად სქესისა და ასაკისა - ივარჯიშებენ კუნთებს. აქედან გამომდინარე, მათგან რელიგიურ უმცირესობათა უფლებების მთავარი დამცველი ორგანიზაციის – "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრთა ცემა არავის გაუკვირდება. ამიტომაც, ამჯერად დაკავებული, "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევაში ეჭვმიტანილი რუსთაველის, "ჯვრის" აქტიურ წევრად მონათლული გიორგი დოიჯაშვილის ბრალეულობაც სრულიად დამაჯერებელი იქნებოდა, ისევ "თავისუფლების ინსტიტუტელები" რომ არა. მათ დოიჯაშვილში მათი დამრბევი ვერ ამოიცნეს. მანამდე, ანუ ორიოდ დღის წინ, სამართალდამცველებმა დარბეულებს 36 ფოტოსურათი წარუდგინეს ამოსაცნობად. აქედან მხოლოდ ერთი მიამსგავსეს დამრბევს. ამ მიმსგავსებას, სამართალდამცველების თქმით, ოპერატიული ინფორმაცია დაემატა და ღამით რუსთავში სამი მეგობარი დააკავეს. როგორც "24 საათის" რუსთაველი კორესპონდენტი იტყობინება, უკვე შებინდებული იყო, როდესაც, აწ უკვე დაკავებული, გიორგი დოიჯაშვილი, ახალმოყვანილ ცოლთან და ორ მეგობართან ერთად, ქუჩაში მიდიოდა. მას უცნობებმა მანქანა გაუჩერეს და დაუძახეს. დოიჯაშვილის მეუღლის თქმით, მანქანაში აშკარად ნაცნობები ისხდნენ, რადგან მეუღლე და მისი მეგობრები მაშინვე ჩასხდნენ მანქანაში. ღამე ისე გავიდა, რომ ოჯახმა დოიჯაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი იცოდა. მხოლოდ დილით შეიტყვეს სიმართლე. უკვე გუშინ დოიჯაშვილების ბინაში ჩხრეკა ჩატარდა. პოლიციამ ვერაფერი იპოვა საეჭვო, გარდა კარატეს შაკებისა.

როგორც სამართალდამცველები იტყობინებიან, დოიჯაშვილი დაკავებისთანავე უზრუნველყვეს სახაზინო დაცვით. სამაგიეროდ, ოჯახის მიერ დაქირავებული დამცველი მთელი დღის მანძილზე ცდილობდა დაკავებულთან შეღწევას და ეს მხოლოდ საღამოს მოახერხა. ამ დროისთვის დოიჯაშვილს უკვე მოესწრო აღიარებითი ჩვენების მიცემა. ჩატარებული იყო ამოცნობის პროცესიც.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში დაკავებული ეჭვმიტანილის ამოსაცნობად "თავისუფლების ინსტიტუტის" ორი წევრი და ერთიც დარბევის დროს ოფისში მყოფი სტუდენტი წაიყვანეს და არა ის ხალხი, რომლებსაც უკეთ ახსოვთ მომხდურთა გარეგნობა და მეტიც, ფოტორობოტების შედგენაშიც მიიღეს მონაწილეობა. ოთხი ამოსაცნობიდან მათ ერთი – სწორედ დაკავებული დოიჯაშვილი - მხოლოდ ზოგადი ტიპაჟის მიხედვით მიამსგავსეს ერთ-ერთ დამრბევს, ოღონდ, მათი თქმით, ნამდვილი დამრბევი გაცილებით უფრო ძლიერი ფიზიკური მონაცემების მქონე იყო. ისე კი, როგორც სამართალდამცველთაგან შევიტყვეთ, დოიჯაშვილიც სპორტსმენია – კულტურისტი. ერთ დროს დაცვაშიც კი უმუშავია, ოღონდ ამჟამად უმუშევარი გახლავთ. დაკავების შემდეგ დოიჯაშვილს დანაშაულიც უღიარებია და თანამონაწილენიც დაუსახელებია: ერთი ყოფილი პოლიციელი გია ცინცაძე, ერთიც საქართველოს ჩემპიონი სპორტის რომელიღაც სახეობაში - გია ბასიაშვილი. რაც შეეხება მასთან ერთად დაკავებულ ორ პიროვნებას, ისინი პოლიციამ გაათავისუფლა. თუმცა მანამდე ერთ-ერთ მათგანს მოუსწრია იმის თქმა, რომ "თავისუფლების ინსტიტუტზე" განხორციელებულ თავდასხმაში დოიჯაშვილის მონაწილეობის შესახებ მან თავად დაკავებულისგან იცოდა.

დოიჯაშვილის თქმით, "თავისუფლების ინსტიტუტს" ისიც და მისი მეგობრებიც იელოველთა სიძულვილის გამო დაესხნენ თავს. თუმცა, პოლიციის სამმართველოსთან მისული დაკავებულის დედა ირწმუნებოდა, რომ მისი ვაჟი დიდი რელიგიურობით არასოდეს გამოირჩეოდა.

უკვე "თავისუფლების ინსტიტუტში," საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დოიჯაშვილი ამბობდა, რომ ის, მეგობრებთან ერთად, "თავისუფლების ინსტიტუტში" მხოლოდ სასაუბროდ მივიდა, იქ კი აგრესიული ადამიანის უფლებების დამცველები დახვდნენ. იგი, შემთხვევის ადგილზე გაყვანისას, "თავისუფლების ინსტიტუტელებს" აბრალებდა იმ კომპიუტერის სროლას, რომელიც, დარბეულთა თქმით, დარბევის დღეს ოთახში სულ არ იდგა. თუმცა, დოიჯაშვილის კარგი ორიენტაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისის შენობაში და ოთახების განლაგების ცოდნა, საქართველოს შს მინისტრს მისი ბრალეულობის დამადასტურებლად მიაჩნია.

**"მე იმაზე არ წავიდოდი, რომ უდანაშაულო ადამიანი, თუნდაც ხელისუფლებიდან დიდი ზეწოლის გამო დამეკავებინა. უფრო დიდი ზეწოლაა ხელისუფლებისგან შოუს სასწრაფო გათავისუფლების გამო, მაგრამ იცით, რომ იგი დღემდე ტყვეობაშია. მეტსაც გეტყვით, დაკავებულის დარბევაში მონაწილეობის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია შიგნიდან, იმ წრიდან გამოვიდა, რომელსაც დოიჯაშვილი მიეკუთვნება. ამასთან, მინდა, ვთქვა, რომ აბსოლუტურად გამოვრიცხავ დარბევის პოლიტიკურ მოტივაციას",** -- ამბობს კობა ნარჩემაშვილი, რომელსაც "თავისუფლების ინსტიტუტის" პოზიცია აკვირვებს. "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრებს კი ამ სქმეში ბევრი რამ აეჭვებთ. დარბევის შედეგად დაზარალებული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის, დავით ზურაბიშვილის თქმით: **"გამოძიება, რომელიც ზეწოლას განიცდის ზემდგომთაგან, ცდილობს, დარბევის მიზეზები რელიგიურ უთანხმოებამდე დაიყვანოს და გამორიცხოს ხელისუფლების როლი ამ მოვლენებში. მაკვირვებს შს მინისტრი, რომელიც დარბევის პოლიტიკურ მოტივაციას უკვე კატეგორიულად გამორიცხავს, არადა, იქვე ამბობს, რომ გამოძიება ჯერ სულ ახალი დაწყებულია და ბევრი რამ დარჩა გასარკვევი. დაკავებულის ბრალეულობა ბევრი დეტალის გამო იწვევს ეჭვს. ამიტომ ჩვენ უკვე გვყავს ადვოკატი, რომელიც უფრო კვალიფიციურად მიადევნებს თვალს გამოძიებას და დასკვნების გაკეთება ამით გაადვილდება. ისე კი, უკვე გვაქვს, არაერთი შემთხვევიდან გამომდინარე, იმის გამოცდილება, რომ თითქმის ყველა გახმაურებული დანაშაულის კვალი მაღალჩინოსნებამდე მიდის."**

# ჩხარტიშვილი მეანაბრეებს მოპარული ფულით ებრძვის

სოფიკო ოხანაშვილი

საოლქო სასამართლოში მეანაბრეებისა და "გაერთიანებული ქართული ბანკის" სასამართლო პროცესი 17 ივლისს "ღამისთევით გამოცხადებული შესვენების" შემდეგ გუშინ განახლდა. სასამართლოს სხდომამ დაძაბულ ატმოსფეროში ჩაიარა. მოსარჩელე მხარე სასამართლო კოლეგიის, "გაერთიანებული ქართული ბანკის" ("გქბ") სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ვანო ჩხარტიშვილისა და ბანკის ადვოკატების მიმართ აგრესიას და უნდობლობას ვერ მალავდა.

**"ნათელია, რომ ჩხარტიშვილმა სასამართლოს გადაწყვეტილება იყიდა. მათაც ერთი სული აქვთ, რაც შეიძლება, სწრაფად გამოიტანონ ბანკის და, შესაბამისად, ჩხარტიშვილის სასარგებლო გადაწყვეტილება. რასაც ვაკეთებ, ამით, უბრალოდ, ამ ხალხის იმედს ვახანგრძლივებ, თორემ ის დასამალი აღარ არის, რომ მოსამართლეები ჩხარტიშვილის გუნდს მოსყიდული ჰყავს",** - გუშინ ჟურნალისტთა ფედერაციაში, სასამართლო პროცესის წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა მეანაბრეების ადვოკატმა, ეკა ბესილიამ.

მოსამართლეების მუშაობას სხვაგვარად აფასებს მოპასუხე მხარე. მათი განცხადებით, სასამართლო პროცესი ნორმების აბსოლუტური დაცვით მიმდინარეობს. **"მოსამართლეები აბსოლუტურად ობიექტურები არიან. სასამართლო პროცესის ჩაშლა მოსარჩელე მხარეს სურს. ამას ისეთი ხერხებით ცდილობენ, როგორებიცაა დარბაზიდან შეძახილები, შეურაცხყოფის მიყენება და ა.შ."** – აღშფოთება ვერ დამალა "გქბ"-ს ადვოკატმა, ანა ბაზიერმა. სასამართლო სხდომაზე შეურაცხმყოფელ განცხადებებს მართლაც ჰქონდა ადგილი, ერთმანეთს არც მოსარჩელე და არც მოპასუხე მხარე არ ჩამოუვარდებოდა, რის გამოც კოლეგიის თავმჯდომარემ, გოგი გულედანმა არაერთხელ აუწია ხმას და ორივე მხარეს ჯერ შენიშვნის მიცემით, უკიდურეს შემთხვევაში კი, გაძევებით დაემუქრა.

"გაერთიანებული ბანკის" მეანაბრეები გუშინ მთელი დღის განმავლობაში აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას. მათ აქცია გამართეს კანცელარიის წინ და მთავრობისგან სასამართლო პროცესიის ობიექტურობა მოითხოვეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეანაბრეების მოთხოვნაზე რეაგირება მოახდინეს და დღის მეორე ნახევარში, ჟურნალისტთა ფედერაციაში გამართულ ბრიფინგზე იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწე მიავლინეს. მან მოსარჩელე მხარეს მათი უფლებები აუხსნა და მოსთხოვა: **"მოსამართლეების არაობიექტურობის მაჩვენებელი ფაქტები წერილობითი ფორმით წარმოგვიდგინეთ და მათი საქმიანობის შესახებ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ვიმსჯელებთ."** მეანაბრეების განცხადებით, მათთვის ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ამჟამად "ჩხარტიშვილების ბანდა" იმაზე ფიქრობს, როგორ მოისყიდოს სასამართლოს სხვა ინსტანციები. ამის მიუხედავად, ისინი ბოლომდე აპირებენ ბრძოლას. **"ჩვენ ვამხელთ "გაერთიანებული ქართული ბანკის" ხელმძღვანელობას თაღლითობაში. მათი კრიმინალური საქმიანობის შესახებ უკვე მივწერეთ კანცელარიას, ასევე წერილი გავუგზავნეთ პოლიტიკურ პარტიებს, პარლამენტის თავმჯდომარეს - ნინო ბურჯანაძეს და მსოფლიო ბანკს. თუ საჭირო გახდა, სტრასბურგშიც ვუჩივლებთ, რომ ყველას დავანახოთ, ვისთან აქვთ საქმე",** - განაცხადა ერთ-ერთმა მეანაბრემ.

# განკიცხულნი

ეკა კვესიტაძე.

"თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევისა და მისი წევრების უმოწყალო ცემის შესახებ კომენტარს იმ დღეებში თვით ყველაზე არაპოლიტიზირებული ადამიანებიც აკეთებდნენ. ასეთ კომენტარებს მოისმენდით ყველგან – საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ქუჩაში, საკუთარ უბანში და საკუთარ სახლში.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წევრების დასისხლიანებული სახეების დანახვამ ყველა ადამიანში აღძრა მეტ-ნაკლები სიბრალული, თუმცა, ხშირად ამ სიბრალულს დაუფარავი აგრესია ცვლიდა - "ეგენი ხომ იეღოველები არიან", "რატომ იცავენ, აბა, იეღოველებს" და ასე შემდეგ.

იმ დღეებში თითქმის მთელი საზოგადოება შარაძისტებად და "თავისუფლების ინსტიტუტის" მომხრეებად დაიყო, უფრო სწორად - ლიბერალებად და ულტრანაციონალისტებად.

ასეთ ულტრანაციონალისტებს კი უკვე მოსახლეობის უმრავლესობა წარმოადგენს, რომელსაც უცებ საშინელი აგრესია გაუჩნდა სხვა აღმსარებლობის, ეთნოსის და განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანების მიმართ.

მოსახლეობის ამ ნაწილს სათავეში თავიდანვე საბჭოთა პერიოდის პრივილეგირებული ინტელიგენცია ჩაუდგა გურამ შარაძის თუ ბევრი იმ ადამიანის სახით, რომლებსაც დღემდე სერიოზულ მწერლობაზე, მეცნიერობაზე და შესაბამისად, "ერის მამობაზე" აქვთ პრეტენზიები.

შემწყნარებლობაზე შევარდნაძის თეორიული განცხადებების მიუხედავად, ფაქტია, რომ ხელისუფლება საზოგადოებაში აგრესიული ტენდენციების გაძლიერებას ხელს არ უშლის და სახელმწიფო დონეზე მის პროპაგანდასაც ეწევა.

საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, დღემდე ვერაფერმა აიძულა სამართალდამცავი სტრუქტურები, ბასილ მკალავიშვილის პარპაში აელაგმა და მისთვის საჭირო ადგილი მიეჩინა.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე ლამის გაცხარებულ ანტისომხურ კამპანიაში გადაიზარდა ჟვანიასა და სააკაშვილის არაქართულ წარმომავლობაში დადანაშაულება.

ამ ულტრანაციონალისტურმა შეხედულებებმა, ძალიან ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, მათ შორის ქართული მასმედიის "უანგარო" დახმარებითაც, ისე მყარად გაიდგა ფეხი, რომ მასთან ბრძოლა უკვე ავტომატურად ნიშნავს მარგინალიზაციის დასაწყისს.

ასეთ მარგინალიზაციას "თავისუფლების ინსტიტუტი" უკვე დიდი ხანია, აშკარად განიცდის. ამაში გარკვეული როლი, ალბათ, სუბიექტურმა მიზეზებმაც შეასრულა. ამ ინსტიტუტის ზოგიერთი წევრის ქცევა ვერ ჩაჯდა ქართველი კაცის ესთეტიკაში, მაგრამ, ამ შემთხვევაში ასეთი სუბიექტური მიზეზები მხოლოდ ხელშემწყობი ფაქტორია. ამ არასამთავრობოს მოძულების მთავარი, ობიექტური მიზეზი ის რეალობაა, რომელიც ქართული საზოგადოების განწყობის სახით არსებობს.

სავარაუდოა, რომ "თავისუფლების ინსტიტუტი" ასეთ მარგინალურ ორგანიზაციად დარჩება მანამ, სანამ უმცირესობაში იქნება და სანამ პოლიტიკოსები და საზოგადოების შედარებით ლიბერალური ნაწილი შიშის გამო გურამ შარაძისა და ბასილ მკალავიშვილის მიერ შექმნილი კონიუნქტურის მსხვერპლად დარჩებიან. ამ კონიუნქტურის მიხედვით კი იაღოველების, ბაპტისტების თუ სხვა რომელიმე აღმსარებლობის მიმდევართა დაცვა ცოდვაა და საზოგადოება ამ ცოდვის გამო ნებისმიერს გარიყავს.

ბოლო პერიოდში ყველას შეეშინდა იმაზე საუბარი, რომ იეღოველების დაცვა მხოლოდ იმ კონსტიტუციის დაცვაა, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ პიროვნების ერთ-ერთი მთავარი უფლება აღმსარებლობის თავისუფლებაა.

სხვა რელიგიების მიმართ დაუნდობელი და აგრესიული განწყობა, არამარტო ქართული სახელმწიფოს, არამედ თითეული ადამიანის პირადი ტრაგედიაც შეიძლება გახდეს, რადგან არავის აქვს გარანტია, რომ აგრესიული საზოგადოებისაგან რაიმე ნიშნით გარიყულები ხვალ მათი ოჯახის წევრები, უახლოესი მეგობრები ან ნათესავები არ აღმოჩნდებიან.

ილია მეორის მოწოდება, რომ სხვა რელიგიების მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულება ქართველი ერის ხასიათში არ ზის და ეს მიუღებელია, თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ, ეკლესიის მრევლის ცნობიერებაზე ამ მოწოდებაზე უფრო დიდ გავლენას იმ ათობით თუ ასობით მღვდლის ფუნდამენტალისტური იდეები ახდენს, რომელთა მოსმენა ამ მრევლს თითქმის ყოველ დღე უხდება.

ილია მეორეს ან სხვა რანგით უფრო დაბლა მდგომ მღვდელს ადვილად შეუძლია საზოგადოების თვალში შარაძის და მისთანების ავტორიტეტის გაქარწყლება, თუ საპატრიარქო მართლაც შეწუხებულია სხვა რელიგიების მიმართ მოსახლეობის არატოლერანტული დამოკიდებულებით. ეს საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ რამდენიმე ადამიანსაც შეუძლია.

მაგრამ, ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ შიშის თუ სხვა კომპლექსების გამო, ძალიან ცოტა თუ ახერხებს იმის თქმას საჯაროდ, რასაც რეალურად ფიქრობს და რაზეც ახლო მეგობრების წრეში საუბრობს.

ეს კი ნიშნავს, რომ მთელი ქართული საზოგადოება დღეს ცრუ, ფსევდო ღირებულებითა და დრომოჭმული სტერეოტიპებით საზრდოობს და ამ საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი ცდილობს, მდინარის საწინააღმდეგოდ იცუროს.

"ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს, ნაძირალებს ნაძირალები დავუძახოთ," – თქვა რამდენიმე დღის წინ გია ნოდიამ.

საზოგადოებაში, სადაც ნაძირალებსა და შარლატანებს დიდ მეცნიერებსა და მწერლებს უწოდებენ, სადაც კარგისა და ცუდის შეფასების რეალური კრიტერიუმები არ არსებობს, შეუძლებელია საერთოდ რაიმე პროგრესზე საუბარი.

ასეთი საზოგადოება ყოველთვის ნოყიერი ნიადაგი იქნება რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და პროვინციული ფაშიზმისთვის და ის ვერასოდეს შექმნის განვითარებულ, ძლიერ სახელმწიფოს. ამ საფრთხეს დღეს ყველა, მათ შორის დემოკრატიული ღირებულებებისა და რეფორმების მხარდამჭერი პოლიტიკური ლიდერებიც უნდა აცნობიერებდნენ.

# ცივილიზაციათაშორისი ომის მასშტაბურობა კრწანისის რეზიდენციის სიმყუდროვეში ვერ აღწევს

პირველი გვერდიდან

დასავლეთს აქვს ტექნიკური უპირატესობა, მაგრამ მეორე მებრძოლი მხარის შეფასებისას ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. „საერთაშორისო ტერორიზმი" მოუხელთებელი მოწინააღმდეგეა; მას არ ზღუდავს არც ერთი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრები და თუნდაც მარტო ამიტომ, ის უაღრესად საშიში და მოქნილია. სწორედ მოწინააღმდეგის სიძლიერე აიძულებს აშშ-ს, მარტო არ დარჩეს და საერთაშორისო თანამეგობრობა დარაზმოს ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. კოალიცია ომობს, მაგრამ „საერთაშორისო ტერორიზმს" მოჭრილი თავების ადგილზე ახალ-ახალი ამოსდის. რომც მოხდეს ამ ანონიმის სრული გამოვლენა და ამოჟუჟვა, უზარმაზარ სივრცეზე, ფაქტობრივად, მთელ გლობუსზე ფითრივით მოდებული ფუნდამენტალიზმის ინკუბატორი ისევ და ისევ დაჩეკავს ახალ კამიკაძეებს.

ასე რომ, ენდშპილზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. მოვლენები უაღრესად დინამიურად ვითარდება. როგორც ჩანს, ეს ომი აშშ-ს და კოალიციის ავღანური ინტერვენციით და პრევენციული სამხედრო ოპერაციებით არ შემოიფარგლება. ამ ომების მასშტაბის და ხანგრძლივობის განსაზღვრა იოლი არ არის.

რუხმა ომმა უკვე ძირფესვიანად შეცვალა საერთაშორისო ვითარება. დღევანდელი სტატუს ქვო ექსპერტების მიერ შეფასდა, როგორც ახალი კონფრონტაციული ფორმაცია, რომლის არსი არის ბრძოლა უუნარო სახელმწიფოს და ძალადობისათვის მუდმივ მზაობაში მყოფ საზოგადოებრივ ერთეულებს შორის. დღეს უკვე სტანდარტად ითვლება, რომ სუსტი და განუვითარებელი სახელმწიფო (რომელთა რიგებში საქართველოც ეგულებათ), ტერორისტების მძევლად გადაქცევისათვის არის განწირული. ავღანეთის მაგალითზე ყველამ დავინახეთ, როგორ იქცა სახელმწიფო ტერორისტების იარაღად. იგივე შეიძლება დაემართოს ჩვენს სახელმწიფოს, თანაც არა მხოლოდ ტერორისტების, არამედ ზოგადად ორგანიზებული დანაშაულის ხელში, რომელსაც „საერთაშორისო ტერორიზმი", როგორც ტექნიკური ტერმინი, გულისხმობს კიდეც. საქართველო ასეთი დამძევლების მკაფიო მაგალითი ხდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანტიტერორისტული კოალიციის ფორმალური წევრობის მიღმა საქართველოში კოალიციის პოტენციური მოწინააღმდეგეც აფარებს თავს, რაც უკიდურესად გაამწვავებს ვითარებას ჩვენს ისედაც აწეწილ-დაწეწილ ქვეყანაში. ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების აქ გამოჩენა არ იძლევა ცალსახა კმაყოფილების საფუძველს. დროა, უყოყმანოდ ვაღიაროთ, რომ ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებას, პირველ რიგში, შინაური მტერი ემუქრება. საბჭოთა ნომენკლატურის პარპაში, კორუფცია და კლეპტოკრატია ის ფენომენებია, რომელთა არსებობის გამოც მსოფლიო თანამეგობრობა საქართველოს უკვე ათვალწუნებით უყურებს. ჩვენი ხელისუფლება უბრალოდ კი არ ითმენს კრიმინალთა ყველა დონეზე თარეშს, არამედ მათი საქმიანობისთვის სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ გარანტიებს აყალიბებს და თავის ადმინისტრაციულ სისტემას საეჭვო კადრებით აკომპლექტებს. ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უშვებს უხეშ სტრატეგიულ შეცდომას, რაც შეიძლება საბედისწერო შედეგების მომტანი აღმოჩნდეს. საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ძირეული ცვლილება ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად სახიფათო პოტენციალს შეიცავს.

ვითარებას ჩვენში ისიც ამძიმებს, რომ საქართველო ეთნო-რელიგიური და მსოფლმხედველობრივი დომხალის ტყვეობაშია:

მისი ინტელექტუალური ელიტა დასავლური ორიენტაციისაა;

პოლიტიკური ისთებლიშმენტის ის ნაწილი, რომელსაც მართვის რეალური ბერკეტები უპყრია, ანტისახელმწიფოებრივი და ჰედონისტური მსოფლმხედველობის მონაა;

რიგით მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი, მართლმადიდებელი, მუსლიმანი ან გრიგორიანელია.

გრიგორიანელთა მუსულმანებთან მტრობა საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო ქართველთა ოდინდელი ტოლერანტობის ზღაპრით გაბრუებულ ჩვენს თანამოძმეს მწარე სიმართლე უნდა შევახსენოთ, რომ შედარებით შემწყნარებლობას ზემოთხსენებული რელიგიებიდან მხოლოდ ისლამი იჩენდა სხვების მიმართ. ისლამისტების საყოველთაო გააქტიურების ფონზე კი აშკარაა, რომ მუსლიმანურ წიაღში სადღეისოდ სულაც არ ზეიმობს შემწყნარებლური და ეკუმენისტური განწყობილებები. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ საქართველოში ისლამის მიმდევართა კონგრეგაციული ცენტრები ჩვენი ქვეყნის გარეთ მდებარეობს, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ასეთი იდეური დომხალის პირობებში თვითდამშვიდების არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია.



ეთნორელიგიური კონფლიქტების პოტენციალის გარდა საქართველოში დასავლეთთან კონფრონტაციის გაღრმავების მსუყე ნიადაგიც არსებობს, რაც მარტო კორუფციით და კლეპტოკრატიით კი არ არის განპირობებული, არამედ იმითაც, რომ ამ ქვეყნის მართლმადიდებელი იერარქების უმრავლესობა დასავლურ ღირებულებებს ისლამისტებივით ალმაცერად უყურებს. მართლმადიდებელი ეკლესიის იდეური გავლენა კი სწრაფად მზარდია. აქედან გამომდინარე, ცხადია, ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური ელიტის პირველხარისხოვანი ამოცანა ქართული საზოგადოების შეგნებაში რელიგიური რეფორმაციის აუცილებლობის დამკვიდრებაა. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავრჩეთ გარეშე მაყურებლის როლში დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე იმ მტკივნეული პროცესის მიმართ, რასაც ისლამური და მართლმადიდებლური ქვეყნების ტრანსფორმაცია ჰქვია. მოვლენები წინააღმდეგობრივად ვითარდება: ჩნდება დემოკრატიულობის ელემენტები და იქვე ძლიერდება ფუნდამენტალიზმისა და ავტოკრატიისაკენ ლტოლვა. ბევრი ფიქრობს, რომ ისლამიც და მართლმადიდებლობაც თავისი არსით ფანატიკურია და ორივე ეს რელიგია იდეოკრატიული დიქტატურების მაპროვოცირებელი ფაქტორია, მაგრამ ეს ასე არ არის. პრობლემა არის არა იმდენად ის, თუ რას წარმოადგენს ისლამი და მართლმადიდებლობა პოლიტიკური პარამეტრებით, არამედ უფრო ის, თუ რა გზას ადგას ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური და რელიგიური ხელმძღვანელობა, რადგან ნებისმიერი რელიგიის მიმდევრებს (მათ შორის მართლმადიდებლობის და ისლამის) შეუძლიათ ნებისმიერი პოლიტიკური მოთხოვნა გაამართლონ თავიანთი წმინდა წერილის ბაზაზე. ეს ცივილიზაციები ბოლო დრომდე ინტელექტუალური სტაგნაციის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. დღეს ვითარება იცვლება. ყოველ შემთხვევაში, ისლამის სამყარო აშკარად მოდერნიზდება. თურქეთი კი სანიმუშოდ ითვლება ამ ცივილიზაციის ველში. საერთოდ, ისლამის ქვეყნების გამოცდილება საქართველოს პოლიტიკური ევოლუციისთვის, შეიძლება ითქვას, ქრესტომათიული მნიშვნელობისაა. ეს იმით არის განპირობებული, რომ პოლიტიკური ფილოსოფიის ფორმირების თვალსაზრისით ისლამის და მართლმადიდებლობის მონაპოვრები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. სამწუხარო კი ის არის, რომ ეს მსგავსება სულაც არ ანელებს მათ ურთიერთსიძულვილს, არამედ - ამძაფრებს. ეს ის შემთხვევაა, როცა ორი ერთნაირი მუხტის მატარებელი ელემენტი ერთმანეთს განიზიდავს.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ დღეს ისლამის სამყარო ტრანსფორმაციის წინააღმდეგობრივმა პროცესმა მოიცვა. ასეთ ვითარებაში ვოშინგტონი ჩვეულებრივ ფრთხილობს ხოლმე და ერიდება დემოკრატიული პროცესების სტიმულირებას ამ ქვეყნებში. ვოშინგტონი შიშობს, მისმა ჩარევამ ხელისუფლებაში ისლამისტების მოსვლა არ დააჩქაროს. ურთიერთობის ამ სტერეოტიპს თუ ჩვენს ქვეყანასაც მივუსადაგებთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმის აღზევების წინააღმდეგ დასავლეთის მხარდაჭერის იმედი ნაკლებად უნდა ვიქონიოთ, ეს პრობლემა მთლიანად ჩვენი მოსაგვარებელია.

მართლმადიდებლობის და ისლამის შემოფარგვლა შორეული წარსულის სოციალური წესრიგით გამანადგურებელი შედეგებით დამთავრდება. ამ ქვეყნების პოლიტიკურმა მმართველობამ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი მუსულმანური და მართლმადიდებლური რეფორმაციის პროცესს, რომელიც მისაღებს გახდის ლიბერალურ ღირებულებებს. ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. უფრო უარესიც, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება თავისი რელიგიური პოლიტიკით ქვეყანაში ფუნდამენტალიზმისა და რელიგიათაშორისი შუღლის აპროვოცირებას ახდენს.

მართლმადიდებლობის დასავლური ცივილიზაციისაგან გაუცხოვების მიუხედავად, დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესი ამ ქვეყნებშიც მიმდინარეობს. მართლმადიდებლურ ქვეყნებს დასავლეთთან დაძაბულობის განელების უფრო მეტი შანსი, მასთან ინტეგრაციის რეალური პერსპექტივა აქვს. თუ ეს რუსეთის შემთხვევაში უფრო რთულია, საბერძნეთის და რუმინეთის, ბულგარეთის, სერბეთის და საქართველოს შემთხვევაში - უფრო იოლი. ფაქტი კი ის არის, რომ რუსეთი უფრო წარმატებულია ამ მხრივ, ვიდრე საქრთველო და ეს მისი პოლიტიკური ლიდერის და ხელმძღვანელობის სრული დეზორიენტაციის შედეგია.

საქართველო ამავე დროს ისლამის ცივილიზაციასთანაც მეზობლობს და ნაწილობრივ კიდეც ეკუთვნის ამ ცივილიზაციას, ამიტომ ლიბერალიზმის პრინციპების განუხრელი გატარება მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება აქ განელდეს ცივილიზაციათაშორის დაძაბულობის თუ მტრობის ის ტენდენცია, რომელიც ჩვენი სპეციფიკიდან გამომდინარე, გარედანაც შეიძლება დაგვატყდეს თავს და ქვეყნის შიგნითაც გაღვივდეს.

თურქეთი ამ მხრივ ჩვენთვის მისაბაძი ქვეყანაა. თურქული დემოკრატია ასახავს რა მკაცრ სახელმწიფო იდეოლოგიას, ნელ-ნელა რთავს მოღვაწეობის ნებას იმ ისლამური მოძრაობას და პარტიებს, რომლებიც დემოკრატიულ სულისკვეთებას ავლენენ. თურქეთში, როგორც აღნიშნავენ, პოლიტიკური ისლამი გასცდა ისლამის ვიწრო, არადემოკრატიულ გაგებას და შედარებით პასუხისმგებლობის მქონე ძალად იქცა (იხ. Graham Fuller "The Future of Political Islam" Foreign Affairs. March/April 2002).

საყოველდღეო და წვრილმანი პოლიტიკური ორომტრიალის ფონზე, რაც ასე დამახასიათებელია ქართული სინამდვილისათვის, ცივილიზაციათშორისი ომის მასშტაბურობა და სიმკაცრე საქართველოში ჯერ-ჯერობით არ იგრძნობა, ყოველ შემთხვევაში - ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობის წარმოდგენაში, სადაც ეს საკითხი პანკისის ხეობასავით დავიწროვებულია; ხოლო ამერიკის სამხედრო დახმარება უკვე ლამის ტრიუმფად აღიქმება, მაშინ როცა ამერიკის სამხედრო და ფინანსური დახმარების ზრდა ჩვენი მდგომარეობის სიმძიმის პირდაპირპროპორციულია. ცივილიზაციათა შეხლა კარგა ხნის დაწყებულია. სისხლიან კონფლიქტთა უმრავლესობა განსხვავებული კონფესიების ხალხებს შორის მიმდინარეობს. საქართველო კი როგორც საგარეო, ისე საშინაო ომის პოტენციალს ატარებს (დაკონსერვებულ ეთნონაციონალურ კონფლიქტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ). მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ იმიტომ, რომ სხვადასხვა ცივილიზაციები საქართველოს შიგნითვე ხვდება ერთმანეთს, ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობის მოგვარების ბერკეტები ერთი ხელისუფლების ფარგლებშია მოქცეული, რაც, სწორი რელიგიური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანას უნივერსალური ცივილიზაციური იდენტობის უნარის გამომუშავების რეალურ შესაძლებლობას უქმნის. სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს ცივილიზაციათაშორისი ომის პოლიგონად ქცევის საფრთხის არიდების რეალური პოტენციალი აქვს. წვრილმანი ინტრიგების შლამში ჩაფლული ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა კი, თავისი უპასუხისმგებლო პოლიტიკით, ამ პერსპექტივას თანდათან ასამარებს.

საქართველოს ჩამორჩენას ის განაპირობებს, რომ ქვეყნის მმართველ ზედაფენას სახელმწიფოებრივი ქცევის კულტურა თითქმის არ გააჩნია, ხოლო მისი ინტელექტუალური ელიტის მომეტებული ნაწილი, საბჭოური ინტელიგენციის სახელს იმსახურებს და კვლავინდებურად ძველი, აგრარული ცივილიზაციის დისკურსში ბუქსაობს. საქართველოს გახლეჩილობა გახლეჩილობის უფრო რთული ფორმაა, ვიდრე, ვთქვათ, თურქეთის, რომელიც კონფესიურად მაინც ერთსახოვანია. საქართველო კონფესიურადაც ჭრელია. ლიბერალიზმის და ტრადიციონალიზმის დიხოტომიას, რომელიც რეფორმის მომხრე პოლიტიკურ ელიტას და ხალხს შორის ყალიბდება, საქართველოს შემთხვევაში კონფესიათშორისი დაპირისპირებაც ემატება და გახლეჩილობის კიდევ ერთ, დამატებით განზომილებას ქმნის. მდგომარეობა ქვეყანაში კრიტიკულია, მაგრამ კრწანისის რეზიდენციის სიმყუდროვეში განგაშის ხმები ვერ აღწევს.



# კიდევ ერთი ოცნება პარიზში

ბერტოლუჩი პარიზს უბრუნდება

თამარ ბაბუაძე

რამდენიმე დღეში პარიზი კვლავაც გადასაღებ მოედნად იქცევა. ბერნანდო ბერტოლუჩი იქ ახალ ფილმზე, "მეოცნებენი" იწყებს მუშაობას. პროექტი 1968 წლის მაისში ფრანგი სტუდენტების გამოსვლებს ეხება. თუმცა, პროდიუსერის, ჯერემი ტომასის განმარტებით, იტალიელ რეჟისორს ბარიკადებს მიღმა მდგარი ფრანგი სტუდენტების აღწერა სულაც არ სურს. "ფილმი უფრო ახალგაზრდულ იდეალიზმს წარმოაჩენს. ფაქტობრივად, მასობრივ გამოსვლებამდე სტუდენტობა სწორედ ამ თვისებამ მიიყვანა".

ბერტოლუჩი საფრანგეთის დედაქალაქს ფილმის გადაღების მიზნით, 1973 წლის შემდეგ აღარ სწვევია. მაშინ იქ რეჟისორმა საქვეყნოდ აღიარებული "უკანასკნელი ტანგო პარიზში" გადაიღო, 1971 წელს კი - ფილმი-ჰიტი "კონფორმისტი".

ბუნებრივია, კინოკრიტიკოსები და ბერტოლუჩის ნიჭის თაყვანისმცემლები თანაბარი ინტერესით ელიან დიდი რეჟისორის მორიგი პარიზული ნამუშევრის გამოსვლას.

უკვე ორმოცზე მეტი წელია გასული მას შემდეგ, რაც ბერტოლუჩიმ პიერ პაოლო პაზოლინის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. რეჟისორი 24 წლის იყო, როცა პირველი პროფესიული ფილმი, "რევოლუციამდე" გადაიღო. შემდეგ იყო დოსტოევსკის მიხედვით გადაღებული "ორეული" და ჟან-ლუკ გოდარის გავლენით შექმნილი "პარტნიორი".

თუმცა, ბერტოლუჩის საქვეყნო აღიარება 1971 წელს გამოსულმა სურათმა "კონფორმისტმა" მოუტანა. ფილმის "უკანასკნელი ტანგო პარიზში" შემდეგ კი იტალიელი რეჟისორი უკვე მსოფლიოს მასშტაბით გაიცნეს. ამის შემდეგ წარმატება წარმატებას მოსდევდა. ეპიკური ჟანრის ფილმი "უკანასკნელი იმპერატორი" 1987 წელს ცხრა ოსკარით აღინიშნა. ანუ, რეჟისორი ჰოლივუდსაც დაუახლოვდა. "პატარა ბუდამ" კი ბერტოლუჩის დიდი რეჟისორის წოდება უკვე ოფიციალურად მოუტანა.

ერთი სიტყვით, მსოფლიო მოლოდინშია. ბერტოლუჩი კი ყველაზე სასიამოვნო კონდიციაში – ის შემოქმედებითად იწვის და ახალ პროექტს ეჭიდება. ინტერესს აცხოველებს ის ფაქტიც, რომ რეჟისორი პრესის ფურცლებზე იშვიათად ჩნდება. ანუ, მის შესახებ ყოველთვის არის რაღაც, რაც კინომანებს ბოლომდე გაუგებარი რჩებათ და აინტრიგებთ. ამ ფონზე იმასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ ხსნის ფაქტებს, მოვლენების არსს. თავად მთავარი მოქმედი პირი, თუ პრესა. დანარჩენი დღეებისგან განსხვავებით, დღეს ჩვენ, ყველას გაგვიმართლა. დიდი იტალიელი რეჟისორი პირველ პირში გვესაუბრება.

**"უკანასკნელ იმპერატორზე":** "რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ფილმია, პოლიტიკური და ისტორიული. თუმცა, ჩემი აზრით, მეტ-ნაკლებად ყველა ფილმი პოლიტიკურია. როცა რეჟისორი გადაწყვეტს, რომ არსებული რეალობის, საზოგადოების ინტერპრეტაციაზე უარი თქვას, ან, პირიქით, აღწეროს, ეს უკვე პოლიტიკურ ჟესტად აღიქმება. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ყველა ფილმი მეტ-ნაკლებად პოლიტიკურია".

**ვიოცნებოთ ერთად:** "ფილმი აუდიტორიის თითოეულ წევრში პირად ემოციებს იწვევს. ეს ემოციები მთელი სიმძაფრით წარმოჩინდება მაშინ, როცა ფილმს სადაც საჭიროა იქ ვუყურებთ, ანუ კინო-თეატრში და არა ტელევიზორში. ამ დროს შევდივართ სიბნელეში და ყველანი საერთო ოცნებას ვოცნებობთ. ეს არის ყველაზე დიდებული რამ კინოში".

**ციფრი 16-ის და ღორების მაგია:** "16 წლის ვიყავი, როცა პირველი ფილმი გადავიღე და, რა თქმა უნდა, ეს იყო 16 მილიმეტრიანი ფირი. ჩემი პირველი ნამუშევარი ჩვეულებრივი საშინაო ფილმი იყო, მაგრამ მასში იყო თხრობა, მხატვრულობა. მეორე ფილმი იყო ღორის დაკვლის შესახებ. რატომ? გადმოვცემდი იმას, რასაც ირგვლივ ვხედავდი. ღორის დაკვლა კი სოფელში მოწყობილი ღრეობების დროს ყველაზე დრამატული და საინტერესო მომენტია. მაოცებდა ის ფაქტი, რომ დაკლული ღორის არც ერთ ნაწილს გამოუყენებელს არ ტოვებდნენ. ჯაგრისგანაც კი სავარცხლებს ამზადებდნენ. დღემდე ვგიჟდები ღორებზე. როცა ღორს დავინახავ, შინაგანად რაღაც მემართება...

პირველივე მცდელობის შემდეგ ვიცოდი, რომ რეჟისორი გავხდებოდი. არ ვიცი, რატომ. ალბათ, ამ ამბიციების გამო პირველი ფილმი 21 წლისამ გადავიღე. მოხუცი კაცი არც ახლა მეთქმის, მაგრამ როგორც რეჟისორი ძალიან ბებერი ვარ. 1962 წელს დავიწყე, ანუ უკვე 27 წელია, რეჟისორი ვარ".

**მამა!..:** "სახლში განსაკუთრებული მზრუნველობით მექცეოდნენ. მამაჩემი, ატილიო ბერტოლუჩი აღიარებული პოეტი იყო. სოფელში გავიზარდე, პარმასთან ახლოს. სწორედ ამიტომ, ძალიან ბევრ ფილმში ამ ადგილებს ვუბრუნდები, ვუბრუნდები მამას. 8, 9, 10 წლის ვიყავი, როცა მამას კინოში რეგულარულად დავყავდი. იმ პერიოდში ის "გაზეტა დი პარმას" კინოკრიტიკოსი იყო. ალბათ, სწორედ ამით დაიწყო ყველაფერი. ლექსების წერაც, ალბათ, იმიტომ დავიწყე, რომ მსურდა, მამაჩემისთვის მიმებაძა. მამას მერეც, ჩემი კინო კარიერის დაწყების შემდეგაც, ყოველთვის ესმოდა ჩემი ქვეცნობიერი ხმა.

ჩემს ფილმებში კი ხშირად ხდება ისე, რომ გმირები მამებს ხოცავენ. ამიტომ, რამდენიმე წლის წინ მამაჩემმა მითხრა: "შენ ჭკვიანი ხარ. ბევრჯერ მომკალი ისე, რომ ციხეში წასვლა არ დაგჭირდა".

**როგორ იქმნება ფილმი:** "თითოეული ფილმი სხვადასხვანაირია. ყველას საერთო წესს ვერ მიუსადაგებ. ხანდახან პირად ემოციებს ვითვალისწინებ. ვთქვათ, შემიპყრო ერთ-ერთ ლამაზ ქალთან შეხვედრის სურვილმა, ვხვდები მას, მიყვარს, ისე, რომ არც ვიცი, ვინ არის. სწორედ ასეთი იდეით ვიყავი შეპყრობილი, როცა ვიღებდი "უკანასკნელ ტანგოს პარიზში". ეს ფილმი ჩემი პირადი ემოციის ფონზე შეიქმნა. თუმცა, ხანდახან ხდება ისეც, რომ წავიკითხავ წიგნს, ავღფრთოვანდები და მეც მინდა, რაიმე ასეთივე დიდებული შევქმნა. სწორედ ეს იყო ბიძგი "კონფორმისტისთვის".

**გეთაყვა, მესაუბრეთ ფრანგულად:** "მახსოვს, როცა გერმანელ ჟურნალისტებს პირველ ინტერვიუებს ვაძლევდი, კითხვას ვაწყვეტინებდი და ვთხოვდი, თუ შეიძლება, ფრანგულად ვისაუბროთ. ყველას უკვირდა, თქვენ ხომ იტალიელი ხართ, მეუბნებოდნენ. მე კი ვპასუხობდი, ფრანგულად იმიტომ, რომ ფრანგული კინოს ენაა!.. ასეთი ექსტრემისტი ვიყავი..."

**გავაშიშვლოთ მარლონ ბრანდო:** "მსახიობებს დაახლოებით ისე ვექცევი, როგორც ცოლი ქმარს, ან როგორც ფსიქოანალიტიკოსი პაციენტს. ვცდილობ, გამოვიკვლიო, თუ რას მალავენ გულის სიღრმეში. მაგალითად, მარლონ ბრანდო. ფილმის "უკანასკნელი ტანგო პარიზში" გამოსვლამდე ბრანდო უკვე სახელგანთქმული მსახიობი იყო. ის დიდებულია, ეს ყველამ ვიცოდით. მე კი გასაიდუმლოებული ბრანდოს ხილვა მსურდა, მინდოდა, მის შესახებ მეტი გამეგო.

კამერასთან ვერ იტყუები. კამერა ყოველთვის სიმართლეს ხედავს. ამიტომ ვირჩევდი სახელგანთქმულ მსახიობებს, რომ გამეგო, რას მალავენ ისინი. მარლონ ბრანდოსთან ყველაფერი ძალიან მძაფრად განვითარდა. როცა მან უკვე დასრულებული ფილმი ნახა, შოკში ჩავარდა. დიდხანს არ სურდა ჩემი ნახვა. რადგან გრძნობდა, რომ მე მას რაღაც მოვპარე, ის, რასაც გულის სიღრმეში მალავდა. გრძნობდა, რომ არც იცოდა, რას აკეთებდა. თუმცა, ეს ხომ მხოლოდ ჩემი ბრალი არ იყო..."

**შერყეული ფსიქიკა:** "1969 წლის შემდეგ ფსიქოანალიტიკოსის კონსულტაციებით ვცხოვრობ. ეს ძალიან პირადული საკითხია. ფსიქოანალიზის გავლენა ჩემს ფილმებსაც ეტყობა. განსხვავებას ნამდვილად შეამჩნევთ. ჩემი პირველი ფილმები ჩაკეტილია, გულჩათხრობილია, გარესამყაროსთან კონტაქტის დამყარება უჭირთ. შემდეგ და შემდეგ, ფსიქოანალიზის გავლენით, მეც ვიცვლები და ჩემი ფილმებიც. ეს თითქმის იგივეა, კამერაში დამატებითი ობიექტივი რომ ჩაგიყენონ – აი, ასე დადებითად იმოქმედა ამ კონსულტაციებმა ჩემზე.

დიდი წარმატების შემდეგ ყოველთვის მაქვს მძაფრი ტანჯვის პერიოდები. ეს შინაგანი კონფლიქტია. მე ხომ კათოლიკური ფესვები მაქვს, კათოლიკები კი ყოველთვის იხდიან წარმატების საზღაურს. "უკანასკნელ ტანგომდე" წარმატების "გაძლება" კიდევ შემეძლო. "ტანგო" უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა, რადგან ეს იყო ჩემი პირველი ფილმი, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ნახეს...

ხომ გესმით, ძალიან ახალგაზრდა, 30-31 წლისა ვიყავი, როცა ჩემი სახე ჟურნალების, Newsweek-ისა და Time-ის გარეკანზე დაბეჭდეს. ამხელა ემოციებმა კი ნამდვილად შეიძლება ადამიანის ფსიქიკას ქარიშხალივით გადაუაროს. ეს მძიმე, ნოყიერი სადილივით არის, რომელსაც მონელება სჭირდება, თავი კვლავ კარგად რომ იგრძნო".

**დაურეკეთ ჟან-ლუკ გოდარს:** "60-იან წლებში გავგიჟდი გოდარზე. "კონფორმისტში" არის ერთი მომენტი, როცა მარჩელოს (ჟან-ლუი ტრენტინიანის გმირი) პარიზში ყოფილი მასწავლებლის მოსაკლავად გზავნიან. მან ჯერ პროფესორს უნდა დაურეკოს. როცა ტრენტინიანმა მკითხა, თუ რა ნომერი უნდა ეთქვა ოპერატორი ქალისთვის, ქვეცნობიერად გოდარის ტელეფონის ნომერი ვუკარნახე. ასეც დარჩა ფილმში".

**ოიდიპოსის კომპლექსი და ბერტოლუჩი:** "ფსიქოანალიტიკოსის მონახულების შემდეგ პირველად გადავიღე "ორეული" (ხორხე ლუის ბორხესის ნაწარმოების მიხედვით). ფილმი გამოვიდა ოიდიპოსის კომპლექსზე, რომელიც ნარცისიზმის ფონზე ვითარდება. (მთავარი გმირი მამის სიკვდილის შემდეგ მშობლიურ ქალაქში ჩადის და თავს ვერაფრით აღწევს მამის აჩრდილს: ყველგან მშობელს ხედავს, ცენტრში მისი ქანდაკება დგას, ქუჩას მისი სახელი ჰქვია, თეატრიც მისი სახელობისაა. ქალაქი აბსოლუტურად ცარიელი ჩანს, იქ მხოლოდ მამის აჩრდილი ცხოვრობს...) ჩემი აზრით, ეს არის ფილმი-ვოიაჟი ქვეცნობიერ სამყაროში. ამ ფილმს ვერასდროს გადავიღებდი, ფსიქოანალიზისთვის რომ არ მიმემართა".

**რას განიცდის დღეს, "მეოცნებენის" გადაღებებზე:** "როცა ფილმს ვიღებ, ძალიან ვიცვლები. თუ ცხოვრებაში ჩვეულებრივი კაცი ვარ, ამ დროს ტრანსის მდგომარეობაში შევდივარ. რა თქმა უნდა, ეს არც ისე რომანტიულია. საერთოდ, რა არის ფილმი? ფილმი ფილმია, რომელშიც მოქმედება ვითარდება, მაგრამ ასევე ის კვლევაც, ძიებაც არის. როცა ფილმს ვიღებ, მაშინ რაღაცას ვეძებ ხოლმე და ეს კვლევა საბოლოოდ ფილმის სახეს იღებს".



ლივ ტაილერი და ბერნარდო ბერტოლუჩი ფილმ stealing beauty-ის პრემიერაზე REUTERS



კადრი ფილმიდან "უკანასკნელი იმპერატორი"



რეჟისორი "უკანასკნელი იმპერატორი"-ს გადაღებებზე



მარლონ ბრანდოსა და მარია შნაიდერთან ერთად ფილმის "უკანასკნელი ტანგო პარიზში" გადაღებებზე

# Soft Eject ცხრა მთას იქით

ბრიტანული კონცერტების სამზადისში



ვახო ბაბუნაშვილი

იური ლობოდინის ფოტო

ვერა ნეფარიძე

**"ქართულ ჩანაწერებს" შეფარებული "სოფთები" დიდ სამზადისში არიან. სწორედ ამ სტუდიაში კეთდება ჯგუფის სადემონსტრაციო ჩანაწერები, რომელსაც აგვისტოში მსოფლიოს მსხვილი ხმის ჩამწერი კომპანიის მფლობელები კიოლნში გაეცნობიან. ამის შემდეგ ჯგუფი გაემგზავრება ბრიტანეთში, სადაც ინგლისის სამ ქალაქში ოთხ კონცერტს გამართავს.**

Soft Eject-ისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კიოლნის შეხვედრები, რომელიც გერმანიაში ყოველწლიურად იმართება. ეს არის მსოფლიო შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული საქმიანი ღონისძიება; აქ თავისუფალი პროდიუსერები ხვდებიან უმსხვილესი ხმის ჩამწერი კომპანიების გრანდებს, რომელთაც ახალ ჯგუფებსა თუ შემსრულებლებლებს წარუდგენენ. წლევანდელ შეხვედრებში Soft Eject-ს ბრიტანელი პროდიუსერი, ჯონ კინგი "უპატრონებს". Soft Eject წარსადგენად ამზადებს რამდენიმე კომპოზიციას, რომელიც ჯგუფის ახალ პროექტში, "ცხრა მთას იქით", შედის. პროექტის ნაწილს თბილისელი მსმენელი "მზიურის" ფესტივალზე გაეცნო.

ალბომის კონცეფციაზე სიმღერების სახელწოდებები მიანიშნებს. "კომბლე", "ტოლედოს ცის ქვეშ", "ბიბი", "ხორუმი" – ამ კომპოზიციების სახით მსმენელი "სოფთების" კიდევ უფრო დახვეწილ ფოლკს მოისმენს. მათი მუსიკის საფუძველი, ქართულთან ერთად, სხვადასხვა ხალხის (მაგალითად, ესპანური) ფოლკლორია. ეს ყველაფერი კი, გვაძლევს საფუძველს თამამად განვაცხადოთ, რომ Soft Eject ნამდვილად ეწერება ე.წ. world music-ის თანამედროვე ოსტატების გვერდით, რაშიც, იმედია, იოლად დარწმუნდებიან მსოფლიოს მუსიკალური ინდუსტრიის მესაჭეები აგვისტოში, გერმანიაში. საამისოდ ჯგუფი სერიოზულად ემზადება. რამდენიმე მოსაზრების გამო "სოფთებმა" უარი თქვეს ჩანაწერები საკუთარ სტუდიაში გაეკეთებინათ. "პირველ რიგში მოვედით აქ იმიტომ, რომ ჩვენი სტუდიის შემდეგ ყველაზე კომფორტულად აქ ვართ. საორგანიზაციო საკითხების გამო, დრო აღარ გვრჩება ყველაფერს გავუძლევეთ", - ამბობს ჯგუფის ბასისტი და ვოკალისტი ვახო ბაბუნაშვილი. თუმცა, არც მეორე მიზეზს მალავს: "ჩვენი სიზარმაცის ამბავი რომ ვიცი, ჩაწერას მაქსიმალურად გავწელავთ დროში". მუსიკოსები ჩანაწერებს ივლისის ბოლომდე დაასრულებენ. ამის შემდეგ კი Soft Eject ბრიტანული კონცერტებისთვის მოემზადება. კიოლნის შეხვედრებზე ბევრია დამოკიდებული; ფაქტობრივად (თუკი რომელიმე სტუდია დაინტერესდა, იმ შემთხვევაში) იქაური კონტრაქტი განსაზღვრავს ჯგუფის მომავალს: ალბომის ჩაწერის ვადებს, ადგილს, კონცერტებს და ა.შ. – თითქმის, ყველაფერს. თუმცა, რაც ალბათ, არ გადავადდება ეს არის ჯგუფის კონცერტები ინგლისში.

Soft Eject სექტემბერში მანჩესტერში, ფესტივალზე In The City მიიწვიეს. ფესტივალზე "სოფთების" გარდა კიდევ ერთი თბილისური, ოღონდ ჰარდ-როკ ჯგუფი "ემბრიონი" გამოვა; მათთან ერთად კი ფესტივალის ქართულ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ბრიტანეთში მოღვაწე ქართული ჯგუფები: Blast და Sky Diving Penguins. ფესტივალი საკმაოდ პრესტიჟულია და დაახლოებით კვირანახევარს გრძელდება. ფესტივალის გარდა, დაგეგმილია ჯგუფის ორი კონცერტი ლონდონში (შესაძლებელია ლონდონში "ემბრიონებიც" გამოვიდნენ) და ასევე ლივერპულის ისტორიულ "კავერნ" კლუბში, სადაც "ბითლზმა" პირველი კონცერტი გამართა.

ცხადია, ამ ყველაფერს Soft Eject მარტო ვერ აკეთებს. ქართულ ჯგუფს ახალი პროდიუსერი, ჯონ კინგი ეხმარება. ჯგუფს მისი დიდი იმედი აქვს. კინგი World Music-ის სფეროში საკმაოდ გამოცდილი პროდიუსერია; MTV-ს ეგიდით კითხულობს ლექციებს ევროპაში, გაისად კი ამ მიზნით მისი თბილისში მოწვევაა დაგეგმილი. Soft Eject არ არის პირველი ქართული ჯგუფი, რომელთანაც ბრიტანელმა პროდიუსერმა საქმიანი ურთიერთობა გადაწყვიტა. კინგი მოსკოვსა და ინგლისში მოღვაწე ქართული ჯგუფის, Blast-ის (ლიდერი, ნოშრევან თავხელიძე) ერთ-ერთი ალბომის პროდიუსერიც იყო.

# ჰოკეის არ ვთამაშობთ, მაგრამ...

ქართული ქანდაკება გერმანული ჰოკეისთვის



"ჰოკეისტი"



ლევან ვარდოსანიძე

ფოტო - ავტორის

ბიბა ბურასაშვილი

საქართველოში შექმნილმა ჰოკეისტმა გერმანიაში დიდი მოწონება დაიმსახურა და იგი ბუნდესლიგისთვისაც გაამზადეს. მისი ავტორი თბილისელი მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძეა, რომლის შემოქმედებასაც კარგად იცნობენ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მის ნამუშევრებს განსაკუთრებით აფასებენ ევროპაში. ამ მხრივ ყველაზე მეტად გერმანელი გალერეების მფლობელები გამოირჩევიან და ძალიან ხშირად თავისთან იწვევენ.

წლეულს იანვარში, ლევან ვარდოსანიძის ბერლინში ყოფნისას, მას ერთ-ერთი გალერეის მეპატრონე შეეხმიანა და იმ კონკურსის თაობაზე ამცნო, რომელიც ქალაქის მუნიციპალიტეტის დაკვეთით გერმანიის ჰოკეის ბუნდესლიგისთვის ნამუშევრის შექმნას ითვალისწინებდა. ქართველმა მოქანდაკემაც აიღო ხელში ფანქარი და "ჰოკეისტის" ერთი-ორი ესკიზიც მოხაზა. კონკურსის ორგანიზატორებმა ესკიზები მოიწონეს, მერე კი ჯერი მის გამოძერწვაზე მიდგა. ლევანიც ჩამოვიდა თბილისში და საქმეს შეუდგა. ერთმანეთს ენაცვლებოდა სტეკი, სატეხი, ჩაქუჩი... გერმანელები "ჰოკეისტით" ძალზე მოიხიბლნენ და კონკურსის საუკეთესო ნამუშევრადაც აღიარეს.

"ჰოკეისტის" შესაქმნელად დაახლოებით სამი თვე დამჭირდა" - გვეუბნება ლევან ვარდოსანიძე. "ქანდაკებას, როგორც კონკურსის ორგანიზატორებმა მითხრეს, ბუნდესლიგის საუკეთესო გუნდისთვის ამზადებენ. ერთი ხანობა ქანდაკება გალერეაში იყო ექსპონირებული. როდესაც "ჰოკეისტი" "შეიმოსა", საჭირო გახდა ნომერი. ამ შემთხვევაში ვისი ნომერი უნდა ამომეტვიფრა, თუ არა დიადი უეინ გრეცკისა".

99-ნომრიანი ჰოკეისტი ლევან ვარდოსანიძის შემოქმედებაში სპორტულ თემასთან დაკავშირებული ერთადერთი სკულპტურული ნამუშევარი არ გახლავთ. მას "გამოუძერწია" "ძიუდო", "ამერიკული ფეხბურთი", "ბეისბოლი"... რაც შეეხება ამ უკანასკნელს, იგი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია.

ორი წლის წინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარდა საერთაშორისო კონკურსი "ოლიმპიური ხელოვნება და სპორტი 2000". მასში ლევან ვარდოსანიძეც მონაწილეობდა. კონკურსის ჟიურის საერთაშოისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ხუან ანტონიო სამარანჩი თავმჯდომარეობდა. ოღონდ, ახლანდელისგან განსხვავებით, "ბეისბოლს" მეორე პრიზი ერგო, თუმცა მაშინდელი კონკურსი გაცილებით მასშტაბური გახლდათ. თავად განსაჯეთ, კონკურსზე, 54 ქვეყნის 178 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ასეა თუ ისე, დღესდღეობით "ბეისბოლი" პირველი ქართული ნამუშევარია, რომელმაც ლოზანაში, სოკ-ის ოლიმპიურ მუზეუმში დაიდო ბინა.

სხვათა შორის, მისი სამმეტრნახევრიანი სადიპლომო ნამუშევარი - "წყალში მხტომელი" სამხატვრო აკადემიის ფოიეს ამშვენებს.

ლევან ვარდოსანიძის შემოქმედებაში სპორტულთან ერთად სხვა არასპორტული ნამუშევრებიც მრავლადაა. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა მუსიკის თემაზე შექმნილი ქანდაკებები, ქალის მოშილიფებული, თუ შიშველი ნატურები... ერთ-ერთი ასეთი ქალი კი სულაც ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლისთვის, სოლტ ლეიკ სიტის მერისთვის დაუკვეთა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. მას "სოლტ ლეიკ სიტელი ქალი" ეწოდა და იგი თებერვალში პატრონსაც ჩაბარდა. ამჟამად ლევან ვარდოსანიძე ისევ სპორტულ თემაზე –"პოლოს" ბრინჯაოში ჩამოსხმაზე მუშაობს.

# დაუკმაყოფილებლობის 40 წელი

"როლინგ სთოუნზის" იუბილე

გიორგი კაკაბაძე

სამოციან წლებში ბრიტანული როკის "ცუდ ბიჭებად" მონათლულ "როლინგ სთოუნზს" წელს 40 წელი შეუსრულდა. დღესდღეობით "სთოუნზმა" უკვე დაკარგა "საშიში" ჯგუფის იმიჯი, რომელიც მას წლების განმავლობაში ჰქონდა. ნაკლებად იხსენებენ ნარკოსკანდალებს, რომლებშიც "სთოუნზის" წევრები იყვნენ გარეულნი, სასამართლო პროცესებს, რომლის დროსაც ჯგუფის წევრებს ამორალურობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში ადანაშაულებდნენ. ჯგუფის მუსიკა კი, რომელიც 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე პრაქტიკულად არ შეცვლილა, ისევ არ კარგავს აქტუალობას.

"სთოუნზის" მუსიკალური მრწამსი რითმ-ენ-ბლუზთანაა დაკავშირებული. ჯგუფი ყოველთვის ცდილობდა ამ მიმართულებით განვითარებას, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა მსგავსი მუსიკა კომერციულად მომგებიანი. 1962 წლისათვის ბრიტანეთში ბლუზზე ორიენტირებულ არცერთ მუსიკოსს წარმატებისათვის არ მიუღწევია. მაგრამ ჯაგერის ორგანიზებულობამ და რიჩარდსის მუსიკალურმა ალღომ თავისი გაიტანა. 1962 წლის 12 ივლისს დებიუტანტმა ჯგუფმა ლონდონის კლუბ "მარკიში" თავისი პირველი კონცერტი ჩაატარა. ამ გამოსვლიდან რამდენიმე თვეში "როლინგ სთოუნზი" ლონდონის ყველაზე პოპულარულ ჯგუფად აღიარეს.



"როლინგ სტოუნზი"

REUTERS

როდესაც ისმენ "როლინგ სთოუნზის" ადრინდელ ჩანაწერებს, ყურადღებას იპყრობს ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი. ალბომები არ გამოირჩევა ჩანაწერის მაღალი ხარისხით, სიმღერები ინარჩუნებენ პრიმიტიულ ჟღერადობას, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მუსიკოსები სტუდიაში მუშაობას ზერელედ ეკიდებიან. იმავდროულად, მუსიკას გააჩნია ორიგინალური, თვითმყოფადი ხელწერა, რომლის განმეორებაც ფაქტობრივად შეუძლებელია; მასში იგრძნობა მუსიკოსების თავდაჯერებულობა და გულწრფელობა. ბას-გიტარისტი ბილ ვაიმენი ჯგუფის წევრებთან პირველ შეხვედრას 1963 წელს ასე იხსენებს: "მათთან შეხვედრის შემდეგ გაოცებული დავრჩი. სახლში დაბრუნებული ვფიქრობდი იმ უცნაურ სამყაროზე, რომელშიც მოვხვდი. ჩემთვის წარმოუდგენელია, თუ როგორ ახერხებდა უსაქმურთა ბანდა ასეთი საოცარი და ამაღლებული მუსიკის დაკვრას."

1965 წლის 6 მაისს კეიტ რიჩარდსი აკვიატებულმა მელოდიამ გამოაღვიძა. 10 მაისს ჯგუფი განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე შეეცადა ჩაეწერა ახალი სიმღერა.

სახელწოდებაც თავისთავად გამოიკვეთა - Satisfaction(დაკმაყოფილება). საბოლოოდ სწორედ ეს სიმღერა იქცა იმის გამოხატულებად, რასაც "სთოუნზი" წარმოადგენდა. იმდროინდელი როკ ჯგუფების სიმღერების ტექსტები საოცრად ბანალური ხასიათით გამოირჩეოდა და ძირითადად სიყვარულის თემას ეხებოდა. Satisfaction წარმოადგენდა სრულიად ახალ მიდგომას არსებული რეალობისადმი, მისი ტექსტი ახლოს იყო ცხოვრებასთან და ღიად აჩვენებდა ადამიანებს შორის ურთიერთობაში არსებულ ნეგატიურ მომენტებს. ამ კომპოზიციის შექმნის შემდეგ უკვე თამამად შეიძლება საუბარი მუსიკოსთა დიდ ტანდემზე - ჯაგერი-რიჩარდსი. რიჩარდსის ღრმა და ემოციურ მუსიკას ჯაგერი გესლიანი იუმორით აღსავსე ტექსტებს უსადაგებდა.

1968-1972 წლებში "როლინგ სთოუნზი" თავის შემოქმედებით მწვერვალებს აღწევს. ამ პერიოდში შექმნილი 4 სტუდიური და ერთი საკონცერტო ნამუშევარი საბოლოოდ ამყარებს "სთოუნზის", როგორც მუსიკალური ფენომენის სტატუსს. ჯგუფის თვითდაჯერებული წევრები "როლინგ სთოუნზს" მსოფლიოს საუკეთესო ჯგუფად მოიხსენიებენ.

მუსიკალური წარმატებები რამდენადმე დაჩრდილა ორმა ტრაგიკულმა ფაქტმა. 1969 ივნისში ჯგუფს ჩამოშორდა მისი დამაარსებელი ბრაიან ჯონსი, რომელიც რამდენიმე დღეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ჯონსის ხსოვნას მიეძღვნა "როლინგ სთოუნზის" მიერ ლონდონის ჰაიდ-პარკში გამართული გრანდიოზული როკ კონცერტი, რომელსაც 450 ათასი ადამიანი დაესწრო. ჯონსის ადგილი 21 წლის ვირტუოზმა გიტარისტმა მიკ ტეილორმა დაიკავა (1975 წელს ტეილორი რონი ვუდმა შეცვალა). 1969 წლის შემოდგომაზე "სტოუნზის" მიერ შეერთებულ შტატებში მოწყობილი დიდი ტურნე ჯგუფის საკონცერტო მოღვაწეობის აპოთეოზად იქცა, მაგრამ ტურნეს ფინალი ტრაგიკული გამოდგა. კალიფორნიაში, ალტამონტში ცუდად ორგანიზებულმა როკ ფესტივალმა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მომხდარმა "სთოუნზის" წევრები შეძრა. ამიერიდან ჯაგერი ყოველი ტურნეს დაწყების წინ ყველა ზომას იღებდა, რათა უსაფრთხოება დაცული ყოფილიყო.

70-იანი წლების ბოლოს როკ მუსიკაში არსებული უმძიმესი კრიზისი "როლინგ სთოუნზს" ნაკლებად შეეხო, თუმცა 1985 წლისათვის პირადი ურთიერთობები ჯაგერსა და რიჩარდსს შორის იმდენად დაიძაბა, რომ ჯგუფის არსებობას საფრთხე დაემუქრა. უთანხმოება 1989წელს იქნა დაძლეული, 90-იან წლებში კი "სთოუნზის" ხელახალი აღორძინება დაიწყო. 1994 და 1997 წლებში ჯგუფმა გამოუშვა ორი შესანიშნავი სტუდიური ალბომი. "ჩვენი მუსიკალური შესაძლებლობები ამოწურული არ არის, ჩვენ კიდევ ბევრის გაკეთება შეგვიძლია - აცხადებს მიკ ჯაგერი და არ შეიძლება მას არ დაეთანხმო. "სთოუნზის" ბოლო ჩანაწერებში აშკარად იგრძნობა სამოციანელების გავლენა. ის დაუღალავი, დაუმორჩილებელი, თავისუფალი სული, რომელიც ამ მუსიკას ქმნის, კვლავ აგრძელებს არსებობას. 2002 წლის სექტემბერში, 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით, "როლინგ სთოუნზი" ახალ მსოფლიო ტურნეს იწყებს, პირველ ტურნეს ოცდამეერთე საუკუნეში და იმედია, არა უკანასკნელს.


სატელეფონო ბარათი
B-07
www.online.ge

## ორშაბათი 22.07

### რუსთავი - 2

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 Слово 10.00 საბავშვო ფილმი "მთის მეფე" 11.35 "პერსონა" 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 "ყველანი პატარები ვართ" 12.25 თრილერი "მისისიპის მოჩვენებანი" 14.35 ისტორიული ფილმი "ჟანა დ არკი" 2 სერია 16.15 მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" 17.40 კომედია "ლიფტიდან მარჯვნივ" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20 ისტორიული ფილმი "დაკი" 21.00 დოკუმენტური ფილმი 22.30 Новости в воскресенье 22.50 დოკუმენტური ფილმი 00.30 მელოდრამა "ონასისი" 2 სერია 03.30 მხატვრული ფილმი "ვინ ესროლა პეტს"

### VII არხი

16.45,22.30,01,55 ანონსი 16.50,21.50 ამინდის პროგნოზი 17.00 ფორმულა-1. გერმანიის გრან-პრი. 18.45 მუსიკალური ტაიმაუტი 19.00 "აჩიკუდა" 19.30 "სახლიდან გაუსვლელად 20.05 "ავტოტრეკინგი" 20.55 "საყვარელი ფილმი" - "ოცნება არ ვნებს" საფრანგეთი . 1990 წელი. ტრაგიკომედია. რეჟისორი - პიერ რიშარი. როლებში: პიერ რიშარი, ადეტ სკოგი. 22.25 მუსიკალური ტაიმაუტი 23.00 "სახლიდან გაუსვლელად" 23.20 მხატვრული ფილმი 01.05 "სახლიდან გაუსვლელად" 01.50 მუსიკალური ტაიმაუტი 02.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

08.30 "Сверхестественное: невиданные силы животных" 09.00, 11.00, 15.00 Новости. 09.10 Армейский магазин 09.40, 14.35 Дисней-клуб 10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО" 11.10 Непутевые заметки с Дм. Крыловым 11.30 Пока все дома. 12.05 х.ф. "СЛУЧАЙ В КВАДРАТЕ 36-80" 13.35 К дню Военно-морского флота. "Тайны забытых побед". "Уральский дракон" 14.05 Чемпионат Европы по водным видам спорта. Финал 15.10 Живая природа 16.10 Большие родители 16.40 х.ф. "БЕГЛЕЦ" 17.30 Сами с усами 18.00 К дню Военно-морского флота. "Тайны забытых побед". "Русская акула". Бросок в глубину" 18.40 "Большой концерт" 20.10 х.ф. "ТРУДНАЯ МИШЕНЬ" 22.00 "Другое Время" 22.45 х.ф. "КОНАН-ВАРВАР" 00.05 «На футболе» с Виктором Гусевым 01.35 х.ф. "ОДИНОЧКИ"

### РТР

07.35 Фильм "ТОЧКА, ТОЧКА, ЗАПЯТАЯ" 08.55 "ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ" 09.50 Русское лото 10.40 "ТВ - Бинго шоу" 11.10 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО" 11.35 Солдатская песня "Виктория" 13.30 Сам себе режиссер 14.25 "Городок" 15.00, 21.00 Вести. Фильм "ЗЛРАВСТВУЙ И ПРОЩАЙ" 17.00 Футбол. ЦСКА - Локомотив 19.00 "Обо-всем" 19.15 х.ф. "НИНДЗЯ ИЗ БЕВЕРЛИ-ХИЛЛЗ" 21.55 Аншлаг 22.30 х.ф. "ПОСТОВЫЕ" 00.15 Автогонки. Формула 1 02.25 Спорт за неделю 03.00 "Твин-пикс".

### НТВ

08.30 Ох уж эти дети 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня. 09.10 "Star-старт" 09.35 фильм "ТОМ СОЙЕР" 11.20 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 12.20 "Растительная жизнь" 13.20 фильм "ТОРПЕДОНОСЦЫ" 15.15 Вкусные истории. 15.35 Все сразу! 16.05 Своя игра. 17.25 Ток-шоу "Принцип "Домино" 18.30 Очная ставка 19.05 Шоу Елены Степаненко. 20.30 фильм "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА" 21.45 фильм "МИРОТВОРЕЦ" 23.45 Что? Где? Когда?. Финал 00.55 Фильм "ДЕМОНЫ ВОЙНЫ" 02.40 Пепси-чарт.

ფეხბურთი

## ბევრი არგენტინელი, რა პრობლემაა?

არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი წელს ნამდვილად არ მოიწყენს. მან მილანის "ინტერში" ხუთ თანამემამულეს მოუყარა თავი. მატიას ალმეიდა, ხავიერ ძანეტი, ნელსონ ვივასი, გული პიეტრო და სიკსტო პერალტა "ინტერს" ჩემპიონობისკენ გაუძღვებიან.

ამის იმედი აქვს არგენტინელ სპეციალისტს. თუმცა, კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ არგენტინელებმა თავისი დაჯგუფება მოაწყვეს და "ინტერს" შეთამაშება ძალიან გაუჭირდება. "რა სისულელეა", – ამბობს კლუბის ახალგამომცხვარი ნახევარმცველი მატიას ალმეიდა – "მართალია, გუნდში ძალიან ბევრი არგენტინელი შევიყარეთ, მაგრამ ყველა ფეხბურთელთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. არანაირ დაჯგუფებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან ჩვენ ერთნი ვართ".

ამასობაში დიდი ამბები ხდება პირინეებზე. როგორც ჩანს, ესპანური "ვალენსიას" არგენტინელი მცველი, რობერტო აიალა ინგლისურ "ლიდსში" აპირებს გადასვლას. საქმე ისაა, რომ ადვილი შესაძლებელია, "მანჩესტერ იუნაიტედმა" საწადელი აისრულოს და იორკშირელებს ცენტრალური მცველი, რიო ფერდინანდი წაჰგვაროს. ამ შემთხვევაში, "ლიდსი" დაცვის ბურჯის გარეშე დარჩება და სწორედ ამის გამო სურს ინგლისურ კლუბს არგენტინელის გადაბირება. თვითონ ფეხბურთელი ყაბულსაა ნისლიან ალბიონზე გადაბარგდეს: "დიდი სურვილი მაქვს უკეთესობისკენ შევცვალო ჩემი მდგომარეობა, როგორც სპორტული, ისე ფინანსური თვალსაზრისით", – განაცხადა რობერტო აიალამ.

## რუშთუ შეიძლება ნისლიან ალბიონზე აღმოჩნდეს

ინგლისური "არსენალი" და "ევერტონი" დიდ ინტერესს იჩენენ თურქეთის ნაკრებისა და "ბეშიქთაშის" მეკარის, რუშთუ რეკბერის მიმართ. შეგახსენებთ, რომ რუშთუმ, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე გაიბრწყინა, უკვე უარყო "მანჩესტერ იუნაიტედის" წინადადება. ფეხბურთელს სურს სამშობლოში კიდევ ერთი სეზონი გაატაროს.

არადა, კლუბის ხელმძღვანელობა მიზანმიმართულად მუშაობს, რომ როგორმე რუშთუ სარფიანად გაყიდოს, რადგან "ბეშიქთაშის" მეკარეს კონტრაქტი 2003 წელს უმთავრდება და უფლება ექნება გუნდი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დატოვოს.

## პირესი ერთ თვეში დაბრუნდება

ლონდონის "არსენალის" ერთ-ერთი ლიდერი, რობერ პირესი სეზონის ბოლოს მძიმედ დაშავდა. ექიმების ვარაუდით, ფეხბურთელი მინიმუმ ოქტომბრამდე ვერ შეძლებდა თამაშს, თუმცა გაირკვა, რომ აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და ფრანგი ნახევარმცველი ერთ თვეში ჩადგება მწყობრში. ამრიგად, "მეთოფეებს" მხოლოდ პრემიერლიგის პირველ მატჩებში მოუწევთ ლიდერის გარეშე თამაში.

## ლუჩესკუ თვისტომებს ენდობა

ჯერ არ ყოფილა მირჩა ლუჩესკუ რომელიმე გუნდის მწვრთნელი ყოფილიყო და იმ გუნდში ერთი რუმინელი მაინც არ ყოფილიყო. ახლაც "გალათასარაიდან" "ბეშიქთაშში" გადაბარგებულმა მწვრთნელმა კლუბის ხელმძღვანელობა დაარწმუნა, რომ შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყვნენ რუმინელი ფეხბურთელები. მოკლედ, მომავალი სეზონიდან თურქული კლუბის ღირსებას ორი რუმინელი - რადუ ნიკულესკუ და დანიელ პანკუ დაიცავს. აღსანიშნავია, რომ პანკუთი დაინტერესებას კიევის "დინამოც" გამოთქვამდა, თუმცა რუმინელმა, საბოლოოდ, თურქეთში თამაში ამჯობინა.

## "ლივერპულს" დაფი მოუნდა

კორეა-იაპონიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ბუნებრივია, სატრანსფერო ბაზარზე ამ ტურნირზე დიდი მოთხოვნილებით წარჩინებულნი სარგებლობენ. ინგლისურმა "ლივერპულმა" უკვე გადაიბირა ორი სენეგალელი ფეხბურთელი და ახლა ირლანდიელ დამიენ დაფს დაადგა თვალი. ჯერჯერობით დაზუსტებით არაფერია ცნობილი, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ირლანდიელი ნახევარმცველი კარიერას მერსისაიდულ კლუბში გააგრძელებს. ამას ორი მიზეზი აქვს: პირველი - "ლივერპული" დაფის ამჟამინდელ კლუბზე "ბლექბერნზე" სახელიანი, ძლიერია, და, ბუნებრივია, ფეხბურთელს იქ გადასვლის პერსპექტივა ხიბლავს და მეორეც - მერსისაიდელთა "ბლექბერნისთვის" შეთავაზებული 11 მილიონი გირვანქა ამ კლუბისთვის, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ უმნიშვნელო თანხაა.

## სიჩოვზე დიდი მოთხოვნილებაა

რუსული საინფორმაციო წყაროების ცნობით, მოსკოვის "სპარტაკის" პრეზიდენტი, ანდრეი ჩერვიჩენკო იტალიაში გაფრინდა, სადაც მოლაპარაკება ექნება "მილანის" ხელმძღვანელობასთან. საქმე ისაა, რომ იტალიელებმა ახალგაზრდა რუსი ფორვარდის შეძენის სურვილი გამოთქვეს, თუმცა მხოლოდ 2003 წლისთვის. ახლა კი მოლაპარაკება იმის თაობაზე მიმდინარეობს, რომ, სურვილისამებრ, ფეხბურთელის ყიდვის პირველი უფლება "მილანს" ჰქონდეს. ასეთი პრივილეგია კი "მილანს" იმიტომ სჭირდება, რომ სიჩოვით "იუვენტუსი", "პარმა", "ბაიერნი" და "რეალი" არიან დაინტერესებულნი.

## კონტინენტის პირველობის კენჭისყრა ერმიტაჟში გაიმართება

რუსები ცდილობენ 2008 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვონ და სათანადოდაც ემზადებიან. მათ უეფა-ს შესთავაზეს, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისა და ფინალური ეტაპის კენჭისყრა დიდ თეატრში (მოსკოვი) და ერმიტაჟში (სანკტ-პეტერბურგი) მოაწყონ.

უეფა-ს ხელმძღვანელობას მოეწონა წინადადება და, როგორც რუსები აცხადებენ, სრული კმაყოფილება გამოთქვა. ამის შესახებ განაცხადა რუსეთში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების ეროვნულმა საკოორდინაციო საბჭომ. ИТАР-ТАСС-ის ცნობით, რომელიც რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრესცენტრის ინფორმაციას ემყარება, სხდომის მთავარი საკითხი უეფა-ს საინსპექციო კომისიის მიღება იყო.

ვიაჩესლავ კოლოსკოვის თქმით, უეფა-ს აღმასრულებელი კომიტეტი ჩემპიონატის ჩატარების ადგილს 13 დეკემბერს დაასახელებს. "საინსპექციო მივლინება, რომელიც 9-13 სექტემბერს არის დანიშნული, ჩემპიონატის მასპინძლის არჩევისას იქნება განმსაზღვრელი ფაქტორი", – განაცხადა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა.

ვიზიტის დროს უეფა-ს დელეგაციას განზრახული აქვს დაათვალიეროს ის რვა ქალაქი, რომელიც რუსულმა მხარემ ჩემპიონატის მასპინძლობისთვის შესთავაზა (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, სამარა, სარატოვი, ვოლგოგრადი, დონის-როსტოვი, ყაზანი, კრასნოდარი). ევროპელები მოინახულებენ უკვე არსებულ და მშენებარე სტადიონებს, გაეცნობიან ქალაქების ადმინისტრაციის გეგმებს ტურისტული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის გარდა, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ: ოთხი სკანდინავიური ქვეყანა (დანია, ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი), საბერძნეთი, თურქეთი, შოტლანდია, ირლანდია, შვეიცარია, ავსტრია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ხორვატია და უნგრეთი.

# თბილისის ფედერაცია წინააღმდეგია

დიმიტრი ობოლაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე თვეზე ოდნავ მეტია დარჩენილი. წინასაარჩევნო ბრძოლა კულმინაციას აღწევს. გუშინ, შოთა იამანიძის ქუჩაზე მდებარე ფეხბურთის ფედერაციის ძველ ოფისში თბილისის ფედერაციამ პრესკონფერენცია გამართა. დავა თბილისისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციებს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც პირველმა პრეზიდენტობის კანდიდატად დავით პეტრიაშვილი წამოაყენა და ჟორდანიას გაემიჯნა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა (ჟორდანია, ჩოლარია, ჩივაძე) გადაწყვეტილება მიიღო და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის, ავთო კოკაიას "პერსონა ნონ გრატად" გამოცხადებას აპირებს. "უკანასკნელ პერიოდში პრესითა და ტელევიზიით არ წყდება თბილისის ფედერაციისა და პირადად კოკაიას შეურაცხმყოფელი განცხადებები, - განაცხადა თბილისის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ კობალავამ, - ჩვენ აქამდე იმ იმედით ვითმენდით, რომ ფედერაციის ტრიო გონს მოვიდოდა და შეწყვეტდა შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებას. მაგრამ ეს არ მოხდა. დავაკონკრეტებ: ჟორდანიამ განაცხადა, რომ 10 ათასი ლარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ავთო კოკაია მოიკვეთება ქართული ფეხბურთიდან და გამოცხადდება "ნონ გრატად". პრესაში ჩვენ უნამუსოები გვიწოდეს და განაცხადეს, რომ კოკაია პეტრიაშვილის გვერდით ფულის გამო დგას. მე მინდა, მივმართო ჩოლარიას: არის თუ არა ეს განცხადებები ადამიანის შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა. ამის უპასუხოდ დატოვება არ შეიძლება. რაც შეეხება ამ შენობას, ჩვენ წერილს ვუგზავნით ფედერაციას. მათ 23 ივლისამდე უნდა შეგვატყობინონ, გვაქვს თუ არა უფლება იამანიძის ქუჩაზე მდებარე შენობით ვისარგებლოთ. თუ გვაქვს, უნდა ვიცოდეთ, რა პირობებით. თუ



ავთანდილ კოკაია



მერაბ ჟორდანია

არა, მაშინ უნდა აგვიხსნან რატომ." კობალავამ თქვა, რომ თბილისის ფეხბურთის ფედერაციას არავითარი კანონი არ დაურღვევია. სასამართლოში შეტანილია განცხადება და არა სარჩელი. ეს თემა ძველია. არ შეცვლილა თბილისის ფედერაციის გადაწყვეტილება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანხას ვერ მიიღებს. "ძალიან გთხოვთ, ნუ ჩათვლით ამას დაუმორჩილებლობად", - განაცხადა არჩილ კობალავამ, - "თბილისის ფეხბურთის ფედერაციას არც ერთი არსებული კანონი არ დაურღვევია. არც უეფასა და ფიფასი და არც საქართველოს კონსტიტუცია. თანხას არ ვიხდით იმიტომ, რომ გადაწყვეტილება უკანონოა. მეტი არაფერი." იამანიძის ქუჩაზე შემდგარ შეხვედრას პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით პეტრიაშვილის შტაბის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. შტაბის უფროსმა, კახა ჭუმბურიძემ განაცხადა, რომ კოკაიას პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც მხარი დაუჭირა არა ჟორდანიას, არამედ მის მოწინააღმდეგეს." თბილისის ფედერაცია პეტრიაშვილის გვერდით დგას და ზეწოლასაც ამიტომ განიცდის. ჩვენ ბოლომდე დავიცავთ ავთო კოკაიას ინტერესებს. რა გააკეთა ისეთი ამ ადამიანმა, რომ ჟორდანია მას საერთოდ ფეხბურთიდან მოკვეთას უპირებს. კოკაიას ქართული ფეხბურთის წინაშე უდიდესი დამსახურება მიუძღვის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ზოგიერთ ჩინოვნიკს ანდაზებით საუბარი უყვარს. "ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის", ესეც ანდაზაა. 24 აგვისტოს ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დალაგდეს. რაც შეეხება კოკაიას საკითხს, მე, მიუხედავად ყველაფრისა, იმედს ვიტოვებ, რომ ფედერაციის აღმასკომი კოკაის წინააღმდეგ არ წავა. რაც არ უნდა იყოს, ყველამ კარგად იცის, რომ ეს ადამიანი მხოლოდ ქართულ ფეხბურთს ემსახურება და კანონსაწინააღმდეგო არაფერი გაუკეთებია. მე პეტრიაშვილის შტაბის სახელით ვაცხადებ, რომ ბოლომდე ვუჭერთ მხარს ავთო კოკაიას და უკანონობას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ." იქედან გამომდინარე, რომ წინასაარჩევნო ბრძოლა კულმინაციას მიუახლოვდა, სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. დღეს ვერავინ იტყვის, თუ ვინ მოიგებს. თუმცა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძალაუფლების ბერკეტების ჩართვა სწორედ ახლაა მოსალოდნელი. ჟორდანიას მხარე თბილისის ფედერაციისაგან ჯარიმის (10 ათასი ლარი) გადახდას ითხოვს. ეს უკანასკნელი კი თვლის, რომ სიმართლე მის მხარესაა და თანხის გადახდაზე უარს აცხადებს. რაში მდგომარეობს გამოსავალი. ვინ და რა ინსტანციამ უნდა გაარკვიოს სიმართლე. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სხდომა, უკანასკნელი ინფორმაციით, 30 ივლისს უნდა გაიმართოს.

# ჩივაძეც და შუშაკიც კმაყოფილები არიან

## თბილისის "დინამოში" კოსტარიკელ ფეხბურთელს ცდიან

მიხეილ აბაიშვილი

გერმანიის ქალაქ რუიტში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" 17 ივლისს მორიგი ამხანაგური საკონტროლო შეხვედრა გამართა. მისი მეტოქე იყო ჩვენთვის კარგად ნაცნობი "ფრაიბურგი". თამაში დინამოელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით, ანგარიშით, 1:0 დასრულდა. ეს ერთადერთი გოლი მატჩის 46-ე წუთზე მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ დარასელიამ გაიტანა. "ფრაიბურგის" რიგებში ჩვენებურთაგან კობიაშვილმა, ცქიტიშვილმა და კიკნაძემ ითამაშეს. სპეციალურად ამ მატჩზე დასასწრებად და ეროვნული ნაკრების კანდიდატების მზადყოფნის შესამოწმებლად რუიტში საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ჩავიდა.

გუშინ რუიტში ტელეფონით დავუკავშირდით "დინამოს" პრეს-ატაშეს ლევან სალუქვაძეს, რომელმაც "დინამოს" გერმანულ შეკრებასთან დაკავშირებული ახალი ამბები გვამცნო.

"გუნდის გერმანულ შეკრებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება ალბათ ის არის, რომ "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი საწვრთნელი პროცესის მიმდინარეობით ძალზე კმაყოფილია. მისი თქმით, თამაშიდან თამაშამდე იზრდება დინამოელთა ბრძოლისუნარიანობა და საქმისადმი ფანატიკური მიდგომა, რაც თანამედროვე ფეხბურთში წარმატების მთავარი საწინდარია. რაც შეეხება "ფრაიბურგთან" მატჩს, აქ ხორვატმა მწვრთნელმა სწრაფ კონტრშეტევებზე თამაშის ტაქტიკა გამოცადა და მისი შეგირდების გარჯით უკმაყოფილო არ დარჩენილა. თვით მეტოქე გუნდის დამრიგებელი, ფოლკერ ფინკეც განცვიფრებული დარჩა დინამოელთა თამაშის ხარისხით. მისი თქმით, გასულ წელთან შედარებით, "დინამომ" დიდი პროგრესი განიცადა და ეს გუნდი უკვე დღეს იოლად არავის არაფერს დაუთმობს. შუშაკმა გერმანელი კოლეგისგან ეს კომპლიმენტი კი მიიღო, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ გუნდის განვითარება და პროგრესი რომ არ შეჩერდეს, კიდევ ბევრია სამუშაო.

"დინამოსა" და "ფრაიბურგის" რიგებში მოასპარეზე ნაკრების კანდიდატების მზადყოფნა ჩივაძესაც მოეწონა. ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა განსაკუთრებული შეფასება ლევან ცქიტიშვილის თამაშს მისცა. რაც შეეხება კობიაშვილს, ბატონი ალექსანდრეს თქმით, ამ ფეხბურთელზე ძალზე უარყოფითი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა "ფრაიბურგში" დარჩენამ. მას ლევერკუზენის "ბაიერში" გადასვლის ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ ეს ტრანსფერი ჩაიშალა, რასაც იგი ძალიან განიცდის. ამის მიუხედავად, ჩივაძე კობიაშვილს კვლავაც მაღალი კლასის ფეხბურთელად და იმ ჯგუფის წევრად მიიჩნევს, რომლებმაც ნაკრების ძირითადი ბირთვი უნდა შეადგინონ.

ჩივაძეს კონკრეტულად რომელიმე დინამოელი არ გამოუყვია. მან განაცხადა, რომ წინასასეზონო პერიოდის მიუხედავად, "დინამო" კარგ სპორტულ ფორმაშია და ამ გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში არა ერთ და ორ ფეხბურთელს მიიწვევს.

როგორც უკვე ვიცით, გუნდში რამდენიმე ლეგიონერი ისინჯებოდა, მაგრამ შუშაკს თავი ვერც ერთმა მოაწონა და მათ "დინამოს" დატოვება მოუწიათ. გუშინ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი ჩამოვიდა გასასინჯად. იგი გვარად დევიდია, კოსტა-რიკელია და აქამდე ბრაზილიური "ლიგა დეპორტივა ალაივენსეს" რიგებს იცავდა. ეს ფეხბურთელი ამპლუით თავდამსხმელია და სანაქებო ფიზიკური მონაცემებით, ათლეტური აღნაგობით გამოირჩევა. დღეს დევიდი "დინამოსთან" ერთად პირველ ვარჯიშს გამართავს, ხოლო ხვალ საკონტროლო შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

"თბილისში 24 ივლისს დავბრუნდებით. დარჩენილ დროში შუშაკს ორი თამაში აქვს დაგეგმილი. 19 ივლისს მეორე ბუნდესლიგის საკმაოდ ამბიციურ გუნდს - "ვალდჰოფს" ვეთამაშებით. ამ გუნდის ხელმძღვანელობა სერიოზულად ემზადება პირველი ბუნდესლიგის საგზურის მოსაპოვებლად. ასე რომ, სერიოზული თამაში გველის. 23 ივლისს კი უფრო განტვირთვის ხასიათის თამაში გვექნება ობერლიგის ერთ-ერთ გუნდთან. სწორედ ამ ორი თამაშის შემდეგ გადაწყვეტს შუშაკი, დაიტოვოს თუ არა კოსტარიკელი დევიდი გუნდში," - გვითხრა ლევან სალუქვაძემ.

# კვლავ დევიდ სიმენი

ინგლისელები უცნაური ხალხია. როგორც ჩანს, ისინი ბებერ სიმენს აღარ მოეშვებიან. ჯერ იყო და რონალდინიოსგან მიღებული კურიოზული გოლის გამო გალანძღეს. შემდეგ დაუყვავეს. ბოლოს კი ინგლისის ნაკრების შვედმა მწვრთნელმა, სვენ გორან ერიქსონმა ისეთი რამ თქვა, მთელი ფანობა გადაიკიდა – სიმენი ნაკრების კარს 2006 წლამდე დაიცავსო.

"ეს განცხადება მეხის გავარდნას ჰგავდა, – ამბობს ინგლისელი გულშემატკივარი – სიმენმა მსოფლიო ჩემპიონატზე ისეთი გოლი გაუშვა, რომელსაც მხოლოდ ბებერი მეკარე თუ მოახერხებს. ვფიქრობ, ამ განცხადების შემდეგ, შვედმა ხაზი გადაუსვა იმ დამსახურებას, რაც ინგლისელების წინაშე მიუძღვის", – არ ცხრებოდა ფანი.

ინგლისელები კონსერვატორი ხალხია. მათ პატიება უჭირთ. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, დევიდ ბექჰემი ოთხი წლის განმავლობაში გრძნობდა დანაშაულს და ინგლისელმა გულშემატკივრებმა თავის კაპიტანს ნდობა მხოლოდ წლევანდელი მუნდიალის წინ გამოუცხადეს.

ასეა, როცა გულშემატკივარს მოთმინების ფიალა აევსება, ფეხბურთელის ყველა დამსახურებას



დავიდ სიმენი
REUTERS

უმალ ივიწყებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სიმენი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. "თავის მოკვლა მინდა", – ამბობდა ინგლისის ნაკრების კარის დარაჯი.

ბუნებრივია, რომ ასეთ მდგომარეობაში ძნელია ადამიანი ანუგეშო, მაგრამ სიმენს ბევრი ქომაგი აღმოაჩნდა. ახლახანს გაირკვა, რომ 38 წლის მეკარემ მშობლიური ლონდონის "არსენალთან" ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კლუბში მინიმუმ 2003 წლამდე დარჩება. ახალი კონტრაქტის გაფორმება არსენ ვენგერმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც "მეთოფეებმა" ამხანაგურ შეხვედრაში 6:1 გაანადგურეს ინგლისის დაბალი დივიზიონის გუნდი "სტივენეიჯ ბორო".

დევიდ სიმენი "არსენალში" 1990 წლიდან თამაშობს. კლუბმა მეკარე "ქუინზ პარკ რეინჯერსისგან" 1,3 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. ინგლისურ პრემიერლიგაში, "მეთოფეთა" რიგებში სიმენმა 377 მატჩი ჩაატარა. შარშან კი "არსენალს" ინგლისის ჩემპიონობასა და თასის დაუფლებაში დაეხმარა. დევიდ სიმენს ეროვნულ ნაკრებში 73 მატჩი აქვს ჩატარებული. მან შეუცვლელად ითამაშა კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზეც.

ფეხბურთი

# "ტორპედო" ჩეხებმა შეამოწმეს

თეიმურაზ ფირცხალავა
სპეციალურად "24 საათისთვის" ქუთაისიდან

გუშინ ქუთაისში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი, რომელშიც ქუთაისის "ტორპედო" ტორსჰაგენის "ბ 36"-ს მასპინძლობდა. როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, მატჩს დაესწრო ამ წყვილში გამარჯვებულის მომავალი მეტოქის სამკაციანი დელეგაცია. ჩვენც, რა თქმა უნდა, შანსი ხელიდან არ გავუშვით და "სპარტას" გენერალურ მენეჯერს მიროსლავ პელტას ინტერვიუ ვთხოვეთ:

- რა იყო თქვენი ქუთაისში ჩამობრძანების მიზანი?

**- საქმეში გვენახა ჩვენი მომავალი მეტოქე.**

- ვის ანიჭებთ უპირატესობას?

**- მჯერა, რომ დღეს ქართველები დიდი ანგარიშით მოიგებენ და ჩვენი მეტოქის ვინაობაც ცნობილი გახდება.**

- რატომ დაკარგა თქვენმა გუნდმა ჩემპიონობა და რა რეაქცია მოჰყვა ამას?

**- ეს მთლიანად ჩეხური ფეხბურთის ტრაგედიაა, როდესაც ჩემპიონი ხდება არადედაქალაქური გუნდი. თქვენს მაგალითს მოვიყვან: თბილისის "დინამომ" "ტორპედოს" სამჯერ მისცა ამის საშულება, მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ.**

- თქვენ ამბობთ, რომ "ლიბერეცმა" დაუმსახურებლად მოიპოვა ჩემპიონობა?

**- არა, ამას არ ვგულისხმობ, მათ სამართლიან ბრძოლაში მოახერხეს ყველაფერი, მაგრამ ეს ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო და ვერაფრით შევეგუეთ.**

- ძირითადად რა იყო ამის მიზეზი?

**- "სპარტა" ორ ფრონტზე იბრძოდა - ჩემპიონთა ლიგასა და საკუთარ ჩემპიონატში. ამიტომ ძალები სწორად ვერ გადავანაწილეთ. ამას დაუმატეთ რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გაყიდვა და თვალწინ ნათელი სურათი გადაგეშლებათ.**


მიროსლავ პელტა ქუთაისში სტუმრობისას

- "ლიბერეციც" ხომ ასპარეზობდა უეფას თასზე და ძალიან შორსაც წავიდა?

**- მართალია, მან საკმაოდ ძლიერი გუნდები დაამარცხა. ჯერ მარტო "დორტმუნდი" რად ღირს - ეს გუნდი ხომ გერმანიის ჩემპიონი გახდა. მაგრამ მათი კალენდარი ისეთი გადატვირთული არ ყოფილა, როგორც ჩვენი.**

- ეროვნული ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე ვერმოხვედრა ახალგაზრდული ნაკრების ევროპის ჩემპიონობამ თუ გააბათილა?

**- როგორ არა, ევროპის ჩემპიონობამ წარმოუდგენელი სიხარული მოგვგვარა, რითაც კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ საკმაოდ ძლიერი მომავალი თაობა გვეზრდება, მაგრამ მუნდიალზე მოხვედრა სულ სხვა რამ არის და მათი შედარება არც კი შეიძლება. მთელი შესარჩევი ციკლის მანძილზე პირველ ადგილზე მივდიოდით და ფინალურ ეტაპზე პირდაპირ გასვლა არ უნდა გაგვჭირვებოდა. თუმცა, ჯერ ისლანდიაში წაგებამ პლეიოფში გვიკრა თავი, შემდეგ კი იქ ბელგიასთან ორივე მატჩში დავმარცხდით და მთელი ორი წლის ნაშრომი წყალში ჩაგვეყარა.**

- ისევ "სპარტას" დავუბრუნდეთ. რა ცვლილებები მოხდა გუნდში წინა წლებთან შედარებით?

**- გუნდიდან წავიდა ახალგაზრდული ნაკრების მეკარე პეტერ ჩეხი, მაგრამ დაგვიბრუნდა ნაკრების ძირითადი მეკარე პიოტრ კოუბა. ასევე შევიძინეთ სხვადასხვა ხაზის ძლიერი მოთამაშეები მარტინ პეტრასი, მიროსლავ ბარანეკი, ტომას სივოკი, რადეკ სირლი, დანიელ კესარეკი და მიხაილ პოსპალი, მაგრამ ყველაზე დიდი შენაძენი მაინც "ლაციოდან" ჩვენთან მობრუნებული პაველ პობორსკია.**

- ესე იგი, გუნდი საკმაოდ წელგამართულია ფინანსურად, თორემ პობორსკის შეძენა არც ისე იოლია.

**- ბევრი არაფერი, უბრალოდ, მას კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ჩვენთან თამაში ისურვა.**

- საკმაოდ გაძლიერდით. ალბათ, სერიოზული მიზნები გაქვთ წლეულს, როგორც ევროპაში, ისე თქვენს ჩემპიონატში?

**- ლიგაში თამაში ჩვენი მიზანია. თუმცა, მას ბრძოლით უნდა მოპოვება, ისევე როგორც საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატში დაკარგული ტიტულის დაბრუნებას. საამისოდ დიდი მუშაობა მიმდინარეობს.**

მატჩის შემდეგ ჩვენი სტუმარი შეპირებულ კომენტარზე არ დაგვზარდა: - თქვენმა ფეხბურთელებმა ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ლამაზი, ტექნიკური ფეხბურთი ითამაშეს. ჩვენი ვარაუდი გამართლდა - მათ იოლად შეძლეს, საკუთარი თამაში თავს მოეხვიათ მეტოქისთვის და დიდი ანგარიშითაც სძლიეს, თუმცა, მათ მოქმედებაში საკმაოდ ბევრი მინუსი აღმოვაჩინეთ, რასაც, ალბათ, გამოიყენებენ კიდეც ჩვენი ფეხბურთელები.

უკვე მჯერა, რომ სწორედ ქართული გუნდი იქნება ჩვენი მეტოქე, მაგრამ დღეს მოპოვებული ინფორმაციით ნამდვილად არ დავკმაყოფილდებით და მეტოქის შესწავლას სტუმრად გამართულ მატჩშიც გავაგრძელებთ. იქ თამაშს ჩვენი გუნდის სხვა წარმომადგენლები დაესწრებიან. ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს 20 (ასათიანი) და 19 (გუჩუა) ნომერმა ფეხბურთელებმა.

მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ქუთაისის "ტორპედოს" ხელმძღვანელობას – მან დაუზარებლად გადმოგვცა დღევანდელი მატჩის ვიდეოჩანაწერი, ასევე გაგვაცნო საცხოვრებელი და სათამაშო პირობები, რომელშიც ჩვენს გუნდს მოუწევს ყოფნა.

Tour de France

# დაივიწყეთ მწვანე ფერები



პატრიკ ჰალგანდი
REUTERS

ლუჩანო ტაიოლი
ბაზა - პო
სპეციალურად "24 საათისთვის"

დარწმუნებული არ ვარ, რომ პელოტონს მაშინვე გადასცეს ცნობა ტრაგედიის შესახებ, იმ ტრაგედიისა, რომელიც მეათე ეტაპის მეოცე კილომეტრზე მოხდა. მსხვერპლი სულ პატარა, შვიდი წლისა იყო.

პელოტონი საათში დაახლოებით 50-60 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობს. ცხადია, ამაზე ჩქარა ვერც პელოტონს ადევნებული ავტომობილების ქარავანი იმოძრავებს. ქარავანი, რომლითაც ტურის ორგანიზატორები, მსაჯები, გუნდების მწვრთნელები მგზავრობენ. აქვეა სასწრაფო დახმარებისა და ტექნიკური დახმარების მანქანებიც.

სწორედ ერთ-ერთი მათგანი დაეჯახა ბავშვს. რა თქმა უნდა, ეს უბედური შემთხვევა იყო, ისეთი, რომელშიც ვინმეს დადანაშაულება, ძალიან უბრალოდ რომ ვთქვა, სამართლიანი არ იქნებოდა. ამ ამბის შემსწრე პოლიციელის თქმით, მაშინ, როცა ველოსიპედისტებმა ჩაიარეს, ბავშვი და დედა გზის სხვადასხვა მხარეს იდგნენ. ეტყობა, დედისკენ გაიქცა...

არ ვიცი, მიიღო თუ არა პელოტონმა ცნობა ამის შესახებ, ან როდის მიიღო. ერთი კი არის: როცა შეტევა წამოიწყო თხუთმეტიოდე სპორტსმენმა, ას სამოცდახუთი კაცი გათანგულივით იჯდა ველოსიპედზე. არც ერთს არ უცდია გამოკიდება. არც მაშინ და არც მერე, როცა სხვაობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

დანამდვილებით რაიმეს თქმა ძალიან ძნელია. ნაღდი და ნამდვილი ის არის, რომ ამ ტრაგედიამ ერთიანად მოწამლა ტურის ატმოსფერო.

რა თქმა უნდა, შეჯიბრება შეჯიბრებაა, მაგრამ, ძალიან მინდა დავიჯერო, რომ იმ თხუთმეტ კაცს შორის ერთიც არ იყო ისეთი, ვინც მომხდარის შესახებ რაიმე იცოდა. მერე და მერე, მათი საქციელიდან გამომდინარე, თანდათან დავრწმუნდი კიდეც ამაში.

ფინიშამდე ოცი კილომეტრით ადრე გაქცეულებს ოთხკაციანი ჯგუფი გამოეყო. ბუნებრივია, არც აქ იყო ვარსკვლავების მკრეფავი სპორტსმენი, მაგრამ შეტევა იმდენად სწრაფად განხორციელდა, რომ მდევარი არც მათ გასჩენიათ.

მდევარი ვახსენე და ამასთან დაკავშირებით შეტევების, ანდა, თუ გნებავთ, გაქცევების საკითხს მინდა დავუბრუნდე. ვფიქრობ, ეს დროულია, რადგან, აქედან მოყოლებული, ვაკე-ეტაპები მეორე პლანზე გადაინაცვლებს როგორც სიხშირით, ისე თავისი მნიშვნელობითაც და, სავსებით შესაძლებელია, გაქცევა-გამოკიდებას ანუ დაჭერობანას, როგორც მას ხუმრობით უწოდებენ, საერთოდ აღარ მივუბრუნდეთ.

პელოტონში სულ ერთი-ორი გუნდია, რომლებსაც უფლებაც აქვთ და, ამასთან, ძალაც შესწევთ, საკუთარი ნება-სურვილით ატარონ ეს ორი ასეული კაცი. ნება-სურვილში, ცხადია, მხოლოდ ტემპი იგულისხმება. ნებისმიერი შეტევის დროს სწორედ ეს რამდენიმე გუნდი იღებს გადაწყვეტილებას გამოკიდება-არგამოკიდების თაობაზე. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა კონკრეტული ამოცანა აქვთ ამ გუნდებს და რამდენად საშიშნი არიან მათთვის გაქცეულები.

თუმცა, ეს ყველაფერი უკვე მორჩა. ტურ დე ფრანსზე მეორე და გადამწყვეტი ტაიმი იწყება. ინტერვიუს იძლევიან "ონსეს", "პოსტალ სერვისის", "კელმეს" სპორტული დირექტორები, სპორტული ჟურნალისტები არ ასვენებენ არმსტრონგს, ვირანკს, გონზალესს, ბელოკის, სევილას, მანსებოს... ვინ დაიპყრობს პირენეებს, მერე კი ალპებს? პროგნოზები და ვარაუდები, რა თქმა უნდა, მოკრძალებულია. არმსტრონგი, მაგალითად, სულ ერთსა და იმავეს იმეორებს, ვნახოთ, რა გამოვაო. ერთ-ერთი ესპანური გუნდის ხელმძღვანელმა-კატეგორიულად უარყო ჭორი იმის შესახებ, რომ ესპანელები ერთად შეეცდებიან ამერიკელის დამარცხებას. მხოლოდ ტურის ხუთგზის მთის მეფე რიშარ ვირანკია განწყობილი აგრესიულად: "შეტევა და შეტევა - ასეთი იქნება ჩემი დევიზი ყოველ მთის ეტაპზე".

ახლა ტურის ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო მომენტია, მაგრამ ჩვენ კიდევ დაგვრჩა გასავლელი ოციოდე კილომენტრი პომდე. ეს ქალაქი, თუ პარიზს არ ჩავთვლით, ტურის ნამდვილი რეკორდსმენია. ორმოცდაცამეტჯერ ესტუმრა მსოფლიოს მთავარი მრავალდღიანი ამ ქალაქს. ცამეტჯერ ფინიში ფრანგებმა მოიგეს, თორმეტჯერ – იტალიელებმა, ათჯერ – ბელგიელებმა, ექვს-ექვსჯერ - ესპანელებმა და ჰოლანდიელებმა. სულ ბოლოს, 1999 წელს, ფინიშთან პირველი ესპანელი ეჩებარია იყო. იგი ახლაც ასპარეზობს ბასკების "ეუსკალტელში".

ასეთი უპირატესობა ამ ქალაქის ადგილმდებარეობით არის განპირობებული. პირენეებში ასასვლელად უკანასკნელი ღამე ტურმა ან პოში უნდა გაათენოს, ან - ბორდოში.

ახლა ისევ იმ გაჯანჯლებულ ოც კილომეტრს დავუბრუნდეთ. ავსტრალიელი სტიუარტ ო`გრეიდი, ფრანგი ჟერომ პინო, ბელგიელი ლუდო დირქსენსი და ფრანგი პატრიკ ჰალგანდი მშვიდობიანად გაექცნენ თხუთმეტკაციან ჯგუფს და გამარჯვებულის ვინაობის გარკვევა ფინიშთან გადაწყვიტეს. ყოველ შემთხვევაში, პირველ ათ კილომეტრზე ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდა. ეს რომ მხოლოდ შთაბეჭდილება იყო და მეტი არაფერი, მალე გაირკვა. პატრიკ ჰალგანდმა ფინიშზე პროფესიით სპრინტერ ო`გრეიდისთან ამთავითვე წაგებიან დავას დროული რისკი არჩია. არჩევანი, როგორიც უნდა გამომდგარიყო მისი ბოლო, სწორი იყო. უკანასკნელ მეტრებზე ფრანგს გარისკვის საშუალებაც კი აღარ ექნებოდა. სტიუარტ ო`გრეიდიმ მესამემ გადაკვეთა ფინიშის თეთრი მსუქანი ხაზი და სპრინტერთა დავაში მესამე საპატიო ადგილზე წამოსკუპდა. ცვლილებები მოხდა სულ სათავეშიც - ისევ სპრინტერთა დავას ვგულისხმობ. სამი წუთის შემდეგ, როცა ფინიში ძირითადმა ჯგუფმა გადაკვეთა, ზაბელი, გუნდის უხეირო ტაქტიკის წყალობით, მის უშუალო კონკურენტებს უკან აღმოჩნდა და მწვანე მაისურის დათმობაც მოუხდა. თუმცა, ახლა, დაახლოებით ერთ კვირას მაინც, აღარავის გაახსენდება აღარც სპრინტერები და აღარც იმათი მაისურების შეფერილობა.

წინ მთებია.

**ტექნიკური შედეგები**

**X ეტაპი. ბაზა - პო. 147 კმ.**

1. პატრიკ ჰალგანდი ("ჟან დელატური", საფრანგეთი) - 3 სთ. 00 წთ. 15 წმ.
2. ჟერომ პინო ("ბონჟური", საფრანგეთი) - +27 წმ.
3. სტიუარტ ო`გრეიდი ("კრედიტ აგრიკოლა", ავსტრალია) - +33 წმ.

**საერთო ჩათვლა**

1. იგორ გონზალეს გალდეანო ("ონსე", ესპანეთი) - 36 სთ. 25 წთ. 35 წმ.
2. ლანს არმსტრონგი ("US პოსტალი", აშშ) - +26 წმ.
3. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - + 1 წთ. 23 წმ.

**საუკეთესო სპრინტერი**

1. რობი მაკ`ივენი ("ლოტო", ავსტრალია) - 210 ქულა
2. ერიკ ზაბელი ("ტელეკომი", გერმანია) - 209
3. სტიუარტ ო`გრეიდი ("კრედიტ აგრიკოლა", ავსტრალია) - 157

იუბილე

# ოლიმპიური მედალივით მრგვალი თარიღი

ბიგა ბურასაშვილი

ნახევარი საუკუნის წინათ, 1952 წელს საქართველოს წარგზავნილებმა პირველად იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებზე. მართალია, მაშინ ჰელსინკში ჩვენი დებიუტი საბჭოთა კავშირის სახელით შედგა, მაგრამ ამას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, საკუთარი სიტყვა გვეთქვა დიდ ოლიმპიურ ოჯახში.

პირველ ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონები გახდნენ დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი და მზია ჯუღელი, რომელმაც, "ოქროსთან" ერთად, ჰელსინკში ვერცხლიც მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე თითო ნაბიჯი დააკლდათ ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკას და ლევან სანაძეს, ხოლო "ბრინჯაო" მოიპოვეს ნინო დუმბაძემ და ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილმა. მას შემდეგ ზუსტად 50 წელი გავიდა. დღეს კი ფინეთის დედაქალაქშიც და საქართველოშიც ერთგვარი სიმბოლური ხიდი იდება. საიუბილეო თარიღს აღნიშნავენ როგორც ჰელსინკში, ისე იქ პირველად მონაწილე ქვეყანათა წარმომადგენლები, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიც...

"ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის თარიღი ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა საქართველოს სპორტის ისტორიაში. ამის არაღნიშვნა დიდი გულგრილობა იქნება. ისიც სათქმელია, რომ ქართველმა სპორტსმენებმა პირველივე ცდაზე მიაღწიეს წარმატებას. ნინო დუმბაძემ კი სულაც პირველმა შესძინა საბჭოთა კავშირს ოლიმპიური მედალი. ჩვენ ვაპირებთ, დავამზადოთ ოლიმპიური ორდენი, რომლითაც, პირველ რიგში, ჰელსინკის თამაშების ჩემპიონებს დავაჯილდოებთ. გვინდა, ოლიმპიური ორდენები ოქროსგან დამზადდეს, თუ არა და, ოქროში მაინც უნდა ამოვავლოთ. ეს ყველაფერი ფინანსურ მხარდაჭერაზე იქნება დამოკიდებული",-გვითხრა სეოკ-ის პრეზიდენტმა, ბატონმა ჯანო ბაგრატიონმა.

ერთი სიტყვით, სეოკ-ში დიდი სამზადისია. ისე კი, აქედანვე ცნობილია, რომ საიუბილეო საღამოს ორგანიზებაში დიდ როლს შეასრულებს უკვე ამოქმედებული ოლიმპიური ფონდი და მისი პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი.

საინტერესოა, რომ საიუბილეო თარიღი, ჰელსინკისგან განსხვავებით, ჩვენთან 4 ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი, თუმცა, ამასაც თავისი მიზეზი აქვს. საქმე ის არის, რომ ოლიმპიზმის მამები ფინეთის დედაქალაქში არიან, სადაც ისევე, როგორც 50 წლის წინათ, სიმბოლური ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალს ესწრებიან. საპატიო სტუმრებს კი თბილისში 4 ოქტომბრისთვის ელიან. როგორც ჯანო ბაგრატიონმა გვითხრა, საქართველოს ეოკ-ი ყველანაირად ეცდება, რომ თბილისში ამ დროისთვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი ჩამობრძანდეს. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სეოკ-ს ეწვევა ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტი მარიო პესკანტე.

რაგბი

# ფრანგები ქართველებს აკვირდებიან

იმ დროს, როცა საქართველოს ნაკრების მწვრთნელები რუსებთან მომავალ და უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებაზე ფიქრით არიან დაკავებულნი, რუსეთს ირლანდიის რაგბის კავშირის მაღალჩინოსნები ესტუმრნენ. აღმასრულებელი დირექტორის მარტინ მერფის და მენეჯერის ჯოზეფ მაკდონაჰის რუსეთში ვიზიტის მიზანია, ირლანდიის ნაკრებისთვის შეარჩიონ საცხოვრებელი და სავარჯიშო ადგილები. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ქართველებთან მატჩამდე რუსებს ირლანდიელებთან უწევთ შეხვედრა.

რამდენ ხანს გაგრძელდება ირლანდიელთა სტუმრობა, ცნობილი არ არის, თუმცა, სანამ სასტუმროს და სავარჯიშო მოედანს არ შეარჩევენ, კრასნოიარსკში იქამდე დარჩებიან. ამას გარდა, გუშინ მერფი და მაკდონაჰი რუსული რაგბის გამორჩეული კლუბების - კრასნოიარსკის "ენისეისა" და "კრასნი იარის" თამაშს დაესწრნენ. ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა არ იყო. როგორც რუსული საინფორმაციო წყაროები ამტკიცებენ, მათი მიზანი იყო, ერთი-ორი ირლანდიური კლუბისთვის მოთამაშეები შეერჩიათ, თუმცა, გაუგებარია, რაგბის კავშირის წარმომადგენლებს აგენტის ფუნქციები რატომ უნდა შეეთავსებინათ. ბევრისთვის შეიძლება გასაკვირიც იყოს, რაში დასჭირდათ ირლანდიელებს სასტუმროების შერჩევა მატჩამდე ორი თვით ადრე, თუმცა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ირლანდიელებმა ასე გადაწყვიტეს... მოკლედ, როცა დასჭირდათ, ოპერატიულად ამოქმედდნენ. აი, საქართველოს რაგბის კავშირს კი დღემდე არ აღირსეს პასუხი მატჩის გადატანის თაობაზე. ჩვენებს სურდათ, ირლანდიელებს რუსებთან მატჩის შემდეგ შეხვედროდნენ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არაფერი შეიცვლება – მატჩი შედგება მაშინ, როცა დაგეგმილია, ანუ 28 სექტემბერს.

მანამდე კი ბათუმური შეკრებიდან დაბრუნებული საქართველოს ეროვნული ნაკრები 5 აგვისტოს კიდევ ერთხელ შეიკრიბება – ამჯერად საფრანგეთში და იქაურ კლუბებს გაეჯიბრება. როგორც საქართველოს რაგბის კავშირში გვითხრეს, ზღვისპირეთში შეკრებით ნაკრების ხელმძღვანელობა ფრიად კმაყოფილი დარჩენილა. აქ მარტო სავარჯიშო პირობები არ იგულისხმება. განსაკუთრებით ახალი მწვრთნელის პატრიკ ფროს ამბავი გვაინტერესებდა. ზუსტად ვერ გეტყვით, რა მოეწონა და რა არა მუსიე ფროს, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, რომ საბოლოო აზრის ჩამოსაყალიბებლად ჯერ კიდევ უნდა დააკვირდეს ბიჭებს.

ჩოგბურთი

# საჩოგბურთო ტურნირებზე

**შტუტგარტი. "მერსედესის თასი". პირველი წრე.**

შტუტგარტში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირის პირველი წრე სენსაციების გარეშე დამთავრდა. ფავორიტებმა თავიანთი შეხვედრები მოიგეს, თუმცა ბევრი ოფლიც დაღვარეს.

ალექსანდრ პოპი (გერმანია) – იან ჰენრიხი (ჩეხეთი) 6:0, 6:2

ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 1) – რუბენ რამირეს იდალგო (ესპანეთი) 3:6, 6:0, 6:2

იუნეს ელ აინაუი (მაროკო, 4) – დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 1:6, 6:4, 6:4

ტომი რობრედო (ესპანეთი, 8) – ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:2

**ნიდერლანდები. ამერსფოორტი. "ენერგის ოუპენი". საპრიზო ფონდი 381 000 დოლარი. მეორე წრე.**

ნიდერლანდებშიც ფავორიტების დღე იყო. თავისი შეხვედრები მოიგეს ესპანელმა ალბერტ კოსტამ და არგენტინელმა გასტონ გაუდიომ, მაგრამ ამისთვის მათ სამი სეტი დასჭირდათ.

ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 1) – მარტინ ვერკერკი (ნიდერლანდები) 3:6, 6:3, 6:4

გასტონ გაუდიო (არგენტინა, 3) – ხოსე აკასუსო (არგენტინა) 3:6, 6:1, 6:1

ანდრე სა (ბრაზილია) – კრისტიან პლესი (დანია) 6:1, 6:4

იარკო ნიემინენი (ფინეთი) – მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:5, 6:2

**ხორვატია. უმაგი. ხორვატიის ღია ჩემპიონატი. საპრიზო ფონდი 381 000 დოლარი. პირველი წრე.**

ხორვატიის ღია ჩემპიონატი უიღბლო გამოდგა, ერთ დროს პირველი ჩოგბურთელის, ჩილელი მარსელო რიოსისთვის. პირველივე წრეში ჩილელმა სენსაციური მარცხი იწვნია ნაკლებად ცნობილი რუმინელი ვიქტორ ჰანესკუსგან. აღსანიშნავია, რომ რუმინელმა გამარჯვებისთვის ორი სეტი იკმარა.

ლუის ჰორნა (პერუ) – ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 7:5, 6:2

ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) – მარსელო რიოსი (ჩილე) 6:0, 6:4

იურგენ მეტცერი (ავსტრია) – ვინსენტ სპეიდი (აშშ) 2:6, 6:3, 4:2 მატჩი შეწყდა

ნიკოლას მასუ (ჩილე) – იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:0, 6:2.

**აშშ. ლონგ აილენდი. საპრიზო ფონდი 50 000 დოლარი. პირველი წრე.**

ლონგ აილენდის ქალთა ტურნირის მცირე საპრიზო ფონდმა ორგანიზატორებს არ მისცა საშუალება სტუმრად მიეწვია მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები. პირველი წრის მთავარი სენსაცია გახდა პირველ ნომრად წარდგენილი ლორა გრანვილის მარცხი უკრაინელი ელენა ტატარკოვასგან.

ელენა ტატარკოვა (უკრაინა) – ლორა გრანვილი (აშშ, 1) 6:3, 6:1

მელისა ჩინკი (უნგრეთი) – მარია გეჟენგე (ბულგარეთი) 6:0, 6:3

სუნიტა რაო (აშშ) – კელი მაკეინი (აშშ) 6:2, 5:7, 6:1

აკიკო მორიგამი (იაპონია) – ელისონ ბრედშოუ (აშშ) 4:6, 6:1, 6:2

იუკა იუშიდა (იაპონია) – სვეტლანა კრივენჩევა (ბულგარეთი) 6:3, 6:2

დესიკა კენჰოფი (აშშ) – გაბრიელა ლასტრა (აშშ) 6:2, 2:6, 6:1

მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) – მელისა ტორესი (მექსიკა) 7:5, 6:0

იუნ ჯონგ ჩო (სამხრეთ კორეა, 2) – სანდრა კასიჩი (აშშ) 7:5, 6:4

მიხო საეკი (იაპონია) – მილაგროს სეგუარა (ვენესუელა, 3) 6:3, 3:6, 6:4

ეშლი კარჯილი (აშშ, 8) – ჯესიკა ფერნანდესი (მექსიკა) 6:3, 6:4.

# ელტონ ჯონმა სიმღერა გაყიდა



ჯეიდ ჯაგერი ლონდონელი ფოტოგრაფებისთვის პოზიორობს REUTERS

მიკ ჯაგერის ქალიშვილი და ცნობილი მოდელი, ჯეიდ ჯაგერი უკვე კარგა ხანია ჰიპური და სოლიდური სამკაულის დიზაინით არის გატაცებული და საკმაო წარმატებასაც აღწევს. ის რამდენიმე ხნის წინ ავანგარდული ძვირფასეულობის ქსელის Garrard-ის დირექტორად დაინიშნა და მისი წყალობით ფირმის მოგება სულ უფრო იზრდება. ბუნებრივია, ამ წარმატებული ქალბატონისთვის მაღალ საზოგადოებაში ყველა კარი ღიაა. მაგალითად, ელტონ ჯონის მიერ გამართულ წვეულებაზე, სადაც დასწრების მთავარი მოთხოვნა იყო თეთრი ჰალსტუხი და ტიარა, ჯეიდ ჯაგერი საპატიო სტუმრებს შორის იჯდა. თავყრილობაზე, რომელიც აუქციონით გაგრძელდა, დიზაინერ ტომი ჰელფიგერის ბიზნესპარტნიორმა ელტონ ჯონს საინტერესო წინადადება წაუყენა: "გადაგიხდით 150 ათას გირვანქა სტერლინგს და ამ გოგონას Garrard-ის მაღაზიის გახსნისთვის სიმღერა დაუწერეთ", - სთხოვა ჯეიდ ჯაგერით მოხიბლულმა სტროლმა ელტონ ჯონს. მუსიკოსმა წინადადება მიიღო. ხსენებულ თანხად ის ჯეიდისთვის სიმღერაზე უკვე მუშაობს. Garrard-ის წარმომადგენლის თქმით, ლოურენს სტროლმა დაპირებული თანხით ჩეკი იმავე საღამოს გამოწერა და ელტონ ჯონს წვეულებაზევე გადასცა. თუმცა, ორივე მხარე, სიმღერის ადრესატიცა და ავტორიც, დანარჩენ დეტალებზე საუბარს თავს არიდებს.

# ცოტა ბავშვობა ათი ათას ფუნტად









ტომი და ჯერი

ციფრული მულტიპლიკაციის ეპოქაში საზოგადოებას ხელით დახატული მულტფილმების ნოსტალგია გაუჩნდა. დანაკლისის შესავსებად ლონდონის ანიმაციური ხელოვნების გალერეაში ძველი მულტფილმების ცელულოიდები გამოფინეს. წარმოდგენილ ნივთებს შორის არის 30-იან წლებში გადაღებული "ფიფქია და შვიდი ჯუჯას" ორიგინალი ნახატები, ასევე "ტომი და ჯერის", "დუმბოს" ცელულოიდები. ამ კლასიკადქცეული ნამუშევრების თაყვანისმცემლებს, ნახატების შეძენაც შეუძლიათ. მაგალითად, "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" ათი ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს, "დუმბოს" ცელულოიდი კი – ხუთი ათასი. "თითოეული ჩვენგანი დისნეიზე გაიზარდა. საოცარ გრძნობას იწვევს იმ ნახატების ხილვა, რომლებიც ჩვენი ბავშვობის ნაწილია. ეს დაახლოებით იგივეა, ცოტა ბავშვობის ყიდვა რომ შეგეძლოს", - აცხადებს გალერეის დამფუძნებელი რასელ სინგლერი. მისი ეს სენტიმენტალური განწყობა გასაკვირი არც არის. უკანასკნელად ანიმაციური ფილმი ცელულოიდებით 1989 წელს გადაიღეს. ეს დისნეის "პატარა ქალთევზა" იყო.

## TV პროგრამა 19 ივლისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 გრენდაიზერი
18.55 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 სერიალი "პოლტერგეისტი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ჰანიბალი" მთ.როლებში: ჯულიანა მური, ენტონი ჰოპკინსი
02.10 მხ.ფ. "ჯარისკაცი" მთ.როლებში: კურტ რასელი, ჯეისონ სქოთი ლი

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "მამა კასტორის ამბები"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 მიამბეთ თქვენზე
14.45 საკვირაო გამოფენა
15.15 მხ.ფ. "მსახური ქალი ტიტანიკიდან"
16.55 "ბელკანტო"
17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 ჯანმრთელობა
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
21.40 რას ფიქრობს ხალხი
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 სატელევიზიო სპექტაკლი "ირინეს ბედნიერება"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 იყო და არა იყო რა 19.30 მხ. ფილმი "ბიძაშვილი ბეტი" 21.20 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 მხ. ფილმი "ბანდიტები"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "... და ღმერთმა შექმნა ქალი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.20 მხ.ფ. "სასოწარკვეთის საათები"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "ბედნიერი დანაკარგი"
22.15 მხ.ფ. "სახელგანთქმული"
00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
11.45 "ჩაძიროგანა" განმეორებით
13.30 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.25 "სწ.მედია" მხ.ფ. "ვასაბი"
19.00 მუსიკა
20.00 მო
22.00 რუსული ათეული
23.00 "პაპარაცები"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "უმაღლესი ხარისხის დანაშაული". მთ. როლებში მორგან ფრიმენი, ეშლი ჯადი
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ძვლები" მთ. როლებში სნუპ დოგი დოგ, პემ გრიერი
03.35 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "შავი ქორის დესანტი"
14.20 მხ.ფ. "კარლიტოს გზა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "დარტყმის სიშორეზე"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი"
22.00 მხ. ფილმი "ინკოგნიტო"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" მე-8 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-8 სერია
10.15, 17.20, 18.45, 20.20, 23.55 მუსიკა
10.30 მხ. ფილმი "მიწიერი სურვილები" მთ. როლებში: სიუზან სარანდონი, სტივენ დორფი
12.20 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ამერიკულ კინოში მარტინ სკორსეზესთან ერთად"
13.35, 19.00 დისქავერი
14.45, 21.30 მთავარი თემა
15.30 მხ. ფილმი "სანამ შენ გძინავს" მთ. როლებში: სანდრა ბალოკი, პიტერ გალაჰერი
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" მე-9 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-9 სერია
19.30 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
22.15 მხ.ფ. "დიდი მოგება" მთ. როლებში ბენისიო დელ ტორო, ბრედ პიტი
00.20 მხ. ფილმი "გენერლის ჯარისკაცი". მთ. როლებში ჯონ ტრავოლტა, მადლენ სტოუ

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მულტფილმი "გუფი და მისი მეგობრები"
10.30 სათავგადასავლო ფილმი "საბრინა მიდის რომში"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "კავშირი შეწყვეტილია"
13.45 მელოდრამა "მერყეობა"
15.15 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი "ოლივერი და კომპანია"
17.30 კომედია "მისტერ პიტკინი მტრის ზურგში"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "მზე აქ შემიჩერებია"
19.40 მსოფლიო ხელოვნების დიდოსტატები "ჯექსონ პოლოკი"
20.25 ქართული ფილმი "ჯვარცმული კუნძული"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "პრესდაიჯესტი"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 "ექსკლუზივი"
01.05 თრილერი "დეტექტივები"
03.30 მხატვრული ფილმი "ტყვია თავში"
20 ივლისი

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.40 მოკლედ... სპორტი
10.45 მუსიკალური ბიორითმი - რიკი მარტინი
11.10 მულტსერიალი
11.25 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.30 მუსიკალური ტაიმაუტი
11.50 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.20 დისნეი და მისი მეგობრები
12.40 "სახლიდან გაუსვლელად"
13.20 სპორტი
13.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი
20.30 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
20.35 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.55 მუსიკალური ტაიმაუტი
21.25 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.55 მოკლედ...სპორტი
22.00 "პერიფერია"
22.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.20 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "ულის ოქრო" ა.შ.შ. 1996 წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი - ვიქტორ ნუნესი. როლებში: პიტერ ფონდა, პატრისია რიჩარდსონი.
00.05 პრესის მიმოხილვა
00.20 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორითმი - რიკი მარტინი
01.40 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "მტაცებელი" - 1 ა.შ.შ. 1996 წელი. ფანტასტიკა. რეჟისორი - ჯონ მაკტერმანი. როლებში: არნოლდ შვარცნეგერი, დენი გლოვერი.
03.20 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.05, 16.45 "Ералаш"
12.15 "Объектив"
12.35 "Кошки-мишки"
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 Человек и закон
15.00 "Народ против". Телеигра.
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.55 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.50 "САЛОМЕЯ"
20.25 Док. детектив "Убийства по сценарию"
21.00 Поле чудес.
22.00 Время.
22.35 "Большой Концерт"
00.25 "ДОПИНГ ДЛЯ АНГЕЛОВ"
01.50 х.ф. "ОТЕЛЬ "НОВАЯ РОЗА"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 17.45 Афиша
07.40, 09.30 Дорожный патруль
08.10, 09.40, 17.40 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Мусульмане.
10.10 "ЖАРА В ЛОС-АНЖЕЛЕСЕ"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "ГОДЫ МОЛОДЫЕ"
13.45 Новая "Старая квартира"
14.30 Сериал "БЕТТИ".
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ"
17.10 "ДРУЗЬЯ-5"
18.20 Пресс-клуб
19.50 "Сказки о любви"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "ПРОФЕССИЯ - СЛЕДОВАТЕЛЬ"
00.20 х.ф. "В ЛОВУШКЕ"
02.05 "8,5 ДОЛЛАРОВ"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.50 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ: ЖИВОЙ ТОВАР"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня.
11.20 Совершенно секретно
12.20 "Растительная жизнь"
13.20 Вкусные истории
13.25 "ДВЕНАДЦАТЬ СТУЛЬЕВ"
15.05 "Прдолжение следует..."
16.00 Пепси-чарт
16.40, 19.40 Криминал
17.30 х.ф. "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА"
18.35 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
20.35 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
23.30 фильм "ЛУЧШИЕ ДРУЗЬЯ"
01.45 "Все сразу!" ночные развлечения
02.20 фильм "МЕРТВЫЙ СОН"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

## იაპონური კროსვორდი

